2020 წლის ანგარიში

comcom.ge

კახა ბექაური – კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე	4
კომუნიკაციების კომისიამ ISO 9001:2015-ის სერტიფიკატი მიიღო	6
ComCom – სატელეკომუნიკაციო სფეროს არქიტექტორი	7
5G – ქვეყნის განვითარების ახალი შესაძლებლობა	9
საქართველო – რეგიონის ციფრული ჰაბი	10
საკანონმდებლო ცვლილებები	12
შპს „კავკასუს ონლაინის“ წილების უკანონო გასხვისება	14
ბაზარზე MVNO-ს დაშვება	15
Bitstream რეგულირება	19
M2M და IoT მომსახურებების განვითარება	20
სატარიფო პოლიტიკა	21
კორპორატიული სამომხმარებლო სეგმენტის კვლევა	22
Bulk შეტყობინებების ბაზრის რეგულირება	22
მობილური კომუნიკაციების ხარისხის კონტროლი	22
COVID-19-ის გავლენა სატელეკომუნიკაციო სფეროზე	23
ელექტრონული კომუნიკაციების დარგის განვითარების ტენდენციები	26
მაუწყებლობის დარგის განვითარების ტენდენციები	78
წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი	88
ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის ანალიზი	91
მაუწყებლების ფინანსური გამჭვირვალობა	92
ბავშვებისა და მოზარდების მავნე ზეგავლენისგან დაცვა	93
რადიომაუწყებლობის ბაზრის განვითარების სტრატეგია	94
მედიაწიგნიერების განვითარება	95
მედიააკადემიის მასტერკლასი	101
მედიასკოლა	102
მედიაკრიტიკა	104
მედიალაბი	105
საერთაშორისო თანამშრომლობა	109

დანართები*

- კომისიის სტრუქტურა
- კომისიის ბიუჯეტი
- მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა
- ლიცენზირება და ავტორიზაცია
- რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა
- კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები
- განხილული დავები
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება
- დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა
- სასამართლო დავები
- აუდიტის დასკვნა

comcom.ge

კახა ბექაური

კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე

წელიწადზე მეტია, რაც Covid-19-ის პანდემიით გამოწვეულ რეალობაში ვცხოვრობთ, პანდემიამ ჩვენი ქცევა სრულად შეცვალა. მთელი მსოფლიო დისტანციური ცხოვრების რეჟიმზე გადავიდა, რა დროსაც სატელეკომუნიკაციო სფეროს სტრატეგიული მნიშვნელობა და საჭიროება კიდევ უფრო ნათელი გახდა თითოეული ჩვენგანისთვის. პანდემიის პირობებში ყველა სფეროს მუშაობა სრულად ინტერნეტ სერვისებზე გადავიდა, შესაბამისად, გაჩნდა ახალი გამოწვევები და ტექნოლოგიების კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარების საჭიროება.

ამ ერთი წლის განმავლობაში, როდესაც ყველა სახელმწიფო უწყება, სასწავლო დაწესებულება და კერძო სექტორი დისტანციურად მუშაობდა, სატელეკომუნიკაციო სერვისების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო. სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისულ სიტუაციას ქართულმა სატელეკომუნიკაციო სექტორმა წარმატებით უპასუხა, რაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იქნა აღიარებული.

ჩვენთვის ყოველთვის ცხადი იყო, რომ ტელეკომუნიკაცია ის სფეროა, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში თავდაუზოგავ შრომას, განვითარებას, ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას მოითხოვს, რაშიც კომუნიკაციების კომისიას, სექტორთან ერთად, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. პანდემიის პირობებში კიდევ უფრო აქტუალური გახდა ჩვენი ინტერნეტის ხარისხის კონტროლის პლატფორმა. კომუნიკაციების კომისია მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდა ინტერნეტის ხარისხისა და სიჩქარის კონტროლს. www.sheamotsme.ge-ის საშუალებით, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ჩვენს მომხმარებლებს 24 საათიან რეჟიმში ჰქონდათ საშუალება შეემოწმებინათ, რამდენად შეესაბამებოდა მიწოდებული ინტერნეტის ხარისხი მასსა და პროვაიდერ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში კი, მათ პრობლემებს ოპერატიულად ვაგვარებდით. ჩვენ მიერ შექმნილი, მომხმარებლებზე ორიენტირებული პლატფორმის მნიშვნელობა რომ ძალიან დიდია, ამას 2020 წლის Freedom House-ს ანგარიშიც ადასტურებს. www.sheamotsme.ge, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის საუკეთესო ინსტრუმენტი, საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაცია Freedom House-ის ანგარიშში მოხვდა. საქართველო წარმოდგენილია, როგორც საუკეთესო მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ქვეყანამ პანდემიის დროს ინტერნეტ-თავისუფლების მაჩვენებლები გაიუმჯობესოს.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ჩვენთვის ასევე უმნიშვნელოვანესია კოლეგა მარეგულირებელი ორგანოების აღიარება. საამაყოა, რომ გასულ წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანებამ საქართველო რეგიონში ლიდერად დაასახელა, რაც ჩვენთვის კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. შესაბამისად, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რომ არსებული სტატუს კვო შევინარჩუნოთ, ეფექტურად ვუპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, წამყვან ქვეყნებთან ერთად, მოწინავე ადგილი გვეკავოს.

იმისთვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო განვითარდეს და ისეთი მნიშვნელოვანი სფეროები, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, ბიზნესი, კიდევ უფრო წარმატებული გახდეს, გასულ წელს კომუნიკაციების კომისიამ 5G ტექნოლოგიის დანერგვის მიმართულებით იმუშავა. ჩვენი ამოცანაა 2021 წელს საქართველოში, დანარჩენ განვითარებულ სამყაროსთან ერთად, 5G ტექნოლოგიის გამოყენება დავიწყოთ, ამისთვის კი გასული წელი ეფექტურად გამოვიყენეთ.

ბოლო წლებში კომუნიკაციების კომისიის უმთავრესი მიზანი და ამოცანაა, რომ საქართველო გლობალურ ციფრულ ეკონომიკას შეუერთდეს, გახდეს რეგიონში ჰაბი - ციფრული აბრეშუმის გზის პროექტში ევროპის და აზიის შემაერთებელი. მაშინ, როდესაც ციფრული ეკონომიკა ტრილიონობით აშშ დოლარს ითვლის, რაც მთელი მსოფლიოს ეკონომიკის 15%-ზე მეტია, ხოლო ციფრული აბრეშუმის გზის 100-ზე მეტი ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა ინფორმაციის გაცვლაა, ევროპასა და აზიას შორის საერთაშორისო ტრაფიკის გასატარებლად, საქართველო მსოფლიოსთვის მიმზიდველი ალტერნატივაა. მსოფლიო ბანკთან ერთად ვმუშაობთ, რომ საქართველო ციფრული აბრეშუმის გზის პროექტში ჩაერთოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში პლურალისტური მედიაგარემოს არსებობა. 2020 წელს საქართველოში პრესის თავისუფლების ინდექსი კიდევ უფრო გაიზარდა და ქვეყანა სიტყვის თავისუფლების კუთხით

წამყვან პოზიციას იკავებს. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის პროექტ „Freedom barometer”-ის ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში დაცულია სიტყვის თავისუფლება, მოქმედებს სამაუწყებლო, ბეჭდური და ონლაინ მედია, მოქალაქეებს კი მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ. საქართველოს მიერ აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და საინფორმაციო საზოგადოების სფეროებში მიღწეულ შედეგებს წარმატებულად აფასებს ევროკავშირი, რომელიც ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიღწევებს ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით, პოზიტიურ წინსვლად მიიჩნევს. საერთაშორისო აღიარება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თუ რაოდენ პლურალისტური, მრავალფეროვანი და თავისუფალი მედიაგარემოა საქართველოში, პლურალისტური მედიაგარემო და გარანტირებული სიტყვის თავისუფლება ჩვენი მთავარი მონაპოვარია, რაც, ბუნებრივია, სახელმწიფოს ლიბერალური მედიაპოლიტიკის შედეგია. პლურალისტური მედიაგარემოსა და განუსაზღვრელი არჩევანის პარალელურად, მედიასივრცე გაჯერებულია ნაკლებად პროფესიული, დაბალი სტანდარტის, ყალბი ახალი ამბებით, სიძულვილის ენით, შეურაცხყოფებით და უხამსობით. სამწუხაროდ, ეს დადასტურდა საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენ მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგებითაც.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა მთელს ევროპაში, ვინაიდან ქვეყანაში ყველაზე ლიბერალური მედიაპოლიტიკაა. რაც შეეხება უხამსობასა და სიძულვილის ენას, მას არაფერი აქვს საერთო გამოხატვის თავისუფლებასთან, ვინაიდან სამაუწყებლო ეთერში გინებისა და უხამსობის შემცველი გადაცემები თესავს აგრესიას, აღვივებს სიძულვილს, იწვევს საზოგადოების დაპირისპირებას, აღრმავებს ესკალაციას განსხვავებული შეხედულებების მქონე მოქალაქეებს შორის, ლახავს ადამიანის ღირსებას და ზიანს აყენებს მათ.

უფრო მეტიც, ყველას კარგად გვესმის, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ფუნდამენტია, სახელმწიფო ვერ განვითარდება თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის გარეშე. ცხადია, რომ გამოხატვის თავისუფლება განსაზღვრავს ქვეყნის თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ხარისხს. თუმცა, გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს და იცავს გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს, ითვალისწინებს უფლების შეზღუდვის საფუძვლებსაც, მათ შორის ისეთ ლეგიტიმურ შემთხვევებში, როდესაც გამოხატვის თავისუფლება კვეთს ზღვარს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა ადამიანის უფლების დარღვევას შორის. მრავალფეროვან მედიაგარემოსა და თავისუფალ არჩევანთან ერთად, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით. როგორც იცით, მედია მომსახურებების შესახებ ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტზე კომუნიკაციების კომისიამ ევროკომისიისა და EBRD-ის დაფინანსებით მოწვეულ ექსპერტებთან ერთად იმუშავა და ცვლილებების პაკეტი, რომელიც სიძულვილის ენის საკითხის რეგულირებას ითვალისწინებს, საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ 2018 წლის ბოლოს წარუდგინა, თუმცა ის საკანონმდებლო ინიციატივად ამ დრომდე არ ქცეულა. იმედს გამოვთქვამ, საქართველოს პარლამენტი დაიწყებს პროექტის განხილვას და საქართველო ევროპულ კანონმდებლობას კიდევ უფრო დაუახლოვდება.

მიმაჩნია, რომ ხვალინდელ საქართველოში უარი უნდა ვთქვათ უხამსობაზე, უარი უნდა ვთქვათ სიძულვილის ენაზე, უარი უნდა ვთქვათ მიკერძოებულობაზე და მიუკერძოებლობის სტანდარტები უნდა დავნერგოთ მედიაში. ამისთვის კი ბუნებრივია, საზოგადოების აქტიური ჩართულობაა საჭირო, რადგან მიგვაჩნია, რომ დასავლურ დემოკრატიაში მთავარ ღირებულებას სწორედ ინფორმირებული და მედიაწიგნიერი მოქალაქე წარმოადგენს. კომუნიკაციების კომისია აქტიურად განაგრძობს მუშაობას მედიაწიგნიერების დონის ამაღლების მიზნით და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეების შემდეგ, 2020 წელს ჩვენს მედიაწიგნიერების პროექტებში უკვე სტუდენტები ჩავრთეთ. დავიწყეთ თანამშრომლობა საჯარო და კერძო უნივერსიტეტებთან, სადაც უკვე სტუდენტები და აკადემიური პერსონალი გახდა ჩვენი პროექტების სამიზნე აუდიტორია. ამ მხრივ, მედიააკადემია ჩვენთან ერთად დაუღალავად მუშაობს. მედიასკოლა წარმატებით პასუხობს კოვიდპანდემიის გამოწვევას და როგორც მოქმედი, ისე დამწყები ჟურნალისტებისთვის უნიკალური პროექტი - ონლაინ მასტერკლასი დაიწყო. სალექციო ონლაინ კურსი ჟურნალისტიკით დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ და მიიღონ ცოდნა, თუ როგორ მზადდება და იქმნება მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტი. მჯერა, რომ ჩვენი ასეთი კომპლექსური მიდგომით შევძლებთ ერთიანად მაღალი მედიასტანდარტის დაწესებას.

კომუნიკაციების კომისია არის გარანტი, რომ ერთი მხრივ, ბაზრის მოთამაშეებს ჰქონდეთ სამართლიანი, თავისუფალი, კონკურენტული და განვითარების ხელშემწყობი გარემო, ხოლო მეორე მხრივ, თითოეულ მომხმარებელს - უწყვეტი და ხარისხიანი წვდომა სატელეკომუნიკაციო სერვისებზე. 2020 წლის ბოლოს კომუნიკაციების კომისიას ISO 9001:2015 სერტიფიკატი მიენიჭა, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწორია და ეს ნაბიჯები გვეხმარება კიდევ უფრო დავუახლოვდეთ საერთაშორისო სტანდარტებს, განვავითაროთ ტექნოლოგიები და რაც მთავარია, მუდმივად ვიყოთ აქტიურ კომუნიკაციაში მომხმარებლებთან, რომელიც ჩვენი მთავარი პრიორიტეტია.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ კომუნიკაციების კომისიის მიღწევები და წარმატებები ვერ განხორციელდებოდა ჩვენი თანამშრომლების ძალისხმევის გარეშე. ის ფაქტი, რომ კომუნიკაციების კომისიამ 2020 წელს ყველა გამოწვევას წარმატებით უპასუხა, ჩვენი გუნდის დამსახურებაა. მინდა მადლობა გადავუხადო კომუნიკაციების კომისიის თითოეულ თანამშრომელს ნაყოფიერი მუშაობისთვის. ჩვენთვის ეს მიღწევები და საერთაშორისო აღიარება ნამდვილად საამაყოა, თუმცა, კარგად ვაცნობიერებთ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც სატელეკომუნიკაციო სფეროს ეფექტიანი მუშაობისთვის გვაკისრია.

კომუნიკაციების კომისიამ ISO 9001:2015-ის სერტიფიკატი მიიღო

ტექნოლოგიურ ეპოქაში ქვეყნის წარმატებას მეტწილად ციფრული და ინოვაციური სერვისების განვითარება განსაზღვრავს, ციფრული ტრანსფორმაცია ყველა ინდუსტრიის პროგრესის საფუძველი გახდა.
თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისთვის უმნიშვნელოვანესია სატელეკომუნიკაციო და მედია სერვისების სწრაფი, ეფექტური დანერგვა და გამართული მუშაობა. საკომუნიკაციო სფეროს წარმატებული მუშაობისთვის საჭირო გარემოს და წინაპირობას სწორედ კომუნიკაციების კომისია ქმნის.
სწორედ ამ გამოწვევების ეფექტური მართვისთვის, მომხმარებლების ინტერესების დაცვისა და კანონით დაკისრებული ვალდებულებების საუკეთესოდ შესრულებისთვის, 2020 წლის ბოლოს ComCom-მა ISO 9001:2015 სერტიფიკატი მიიღო, რითაც დადასტურდა, რომ კომუნიკაციების კომისია ოქროს სტანდარტს ამკვიდრებს.

„კომუნიკაციების კომისია, ორგანიზაცია, რომელიც კანონით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებსა და ფუნქციებს მაქსიმალურად ეფექტიანად და საუკეთესოდ ასრულებს“

ეს საერთაშორისო აუდიტორული კომპანია - Bureau Veritas Certification-ის შეფასებაა, რომელმაც კომუნიკაციების კომისიას საერთაშორისო აღიარების დამადასტურებელი სერტიფიკატი მიანიჭა. ISO 9001:2015 სერტიფიკატის მიღება იმის დადასტურებაა, რომ კომუნიკაციების კომისია უწყვეტ რეჟიმში ცდილობს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებას, საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას, ტექნოლოგიურ განვითარებას და რაც მთავარია, მუდმივად ინარჩუნებს აქტიურ კომუნიკაციას მომხმარებლებთან - იღებს მათგან აუცილებელ უკუკავშირს და ითვალისწინებს მას გადაწყვეტილებების მიღებისას.
ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ყოველდღიურად ჩნდება ახალი გამოწვევები და საჭიროებები. კომუნიკაციების კომისიამ ამ გამოწვევებთან ეფექტურად გასამკლავებლად, ბოლო წლებში მასშტაბური სამუშაოები ჩაატარა. პირველ რიგში ComCom-მა აპარატის ორგანიზაციული გაძლიერება და ეფექტიანობის გაზრდა დაისახა მიზნად. ტრანსფორმაციის ყველა ეტაპი დინამიურად და უწყვეტად მიმდინარეობდა. სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მათ შორის ჩატარდა რეორგანიზაცია, შეიცვალა სტრუქტურა და დებულება, მოხდა ფუნქცია-მოვალეობათა ოპტიმიზაცია და გაიმართა ყველა შიდაორგანიზაციული პროცესი. ISO 9001:2015-თან შესაბამისობის სერტიფიკატის მიღება კი იმის დასტურია, რომ დღევანდელი კომუნიკაციების კომისია თავისი სტრუქტურით და მართვის მოდელით საუკეთესოდ ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.
ISO სტანდარტით საქმიანობა ასევე ადასტურებს იმასაც, რომ თანამედროვე და უკიდურესად ცვალებად გარემოში, კომუნიკაციების კომისია არის გარანტი, რომ ერთი მხრივ, ბაზრის მოთამაშეებს ჰქონდეთ სამართლიანი, თავისუფალი და განვითარების ხელშემწყობი გარემო, ხოლო მეორე მხრივ, თითოეულ მომხმარებელს - უწყვეტი და ხარისხიანი წვდომა სატელეკომუნიკაციო სერვისებზე.
კომუნიკაციების კომისიის შიდაორგანიზაციულ ტრანსფორმაციაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი USAID-მა შეიტანა პროექტ HICD-ის ფარგლებში. USAID-ის დახმარებით კომუნიკაციების კომისია კიდევ უფრო გაძლიერდა და დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს.

ComCom სატელეკომუნიკაციო სფეროს არქიტექტორი

ორგანიზაციული ცვლილებების შემდეგ, დღის წესრიგში კომუნიკაციების კომისიის რებრენდინგის საკითხი დადგა. სიმბოლურია, რომ 20 წლიანი ისტორია 2020 წელს ახალი ხედვით გაგრძელდა. კომუნიკაციების კომისია - ინოვაციური, გამბედავი, კომპეტენტური ორგანიზაცია, რომელიც დროს უსწრებს, შორს ხედავს და სიახლეების დანერგვას მუდმივად ხელს უწყობს. დღეს კომუნიკაციების კომისია მუშაობს ადამიანებისთვის, იმისთვის, რომ თითოეული მოქალაქისთვის უზრუნველყოს უფრო ეფექტური, კომფორტული და დროსთან შესაბამისობაში მყოფი კომუნიკაცია. სწორედ ეს იყო რებრენდინგის მიზანი და ამოცანა. თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, რებრენდინგი აუცილებელი და გარდაუვალი პროცესი იყო. სატელეკომუნიკაციო სფეროში 20 წლის წინ აბსოლუტურად სხვა გამოწვევები და საჭიროებები არსებობდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში სწორედ კომუნიკაციების საუკუნეში ვცხოვრობთ, ორგანიზაციის შექმნიდან 20 წლის შემდეგ, კომუნიკაციების კომისია სრულებით სხვა მოცემულობის წინაშე დადგა. თანამედროვეობისთვის ფეხის აწყობის გარდა, ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დაბალი ცნობადობა იყო. ჩატარებული კვლევისა და რებრენდინგის პროცესში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას არ ჰქონდა სათანადო ინფორმაცია კომუნიკაციების კომისიის როლსა და საკუთარ უფლებებზე. ამიტომაც, კომუნიკაციების კომისიის მიზანი იყო ორგანიზაცია უფრო ახლოს ყოფილიყო საზოგადოებასთან, იმ ადამიანებთან, რომლებსაც ემსახურება.

ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისიამ ციფრულ სარეკლამო სააგენტო „ლივინგსტონთან“ ერთად, განსაზღვრა ფილოსოფია და ვიზუალური სტილი, რომელიც შესაბამისობაშია ტექნოლოგიების ეპოქასთან.

> **კომუნიკაციების კომისია – არქიტექტორი, რომელიც განსაზღვრავს თამაშის წესებსა და მიმართულებას**

ორგანიზაცია, რომლის არსებობაც სატელეკომუნიკაციო სფეროსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ის სფეროს სტაბილურობისა და უწყვეტი განვითარების გარანტია. კომუნიკაციების კომისია ემსახურება ჯანსაღი კონკურენციის არსებობას ტელეკომ სფეროში და ყოველთვის იცავს საზოგადოების ინტერესს.

კომუნიკაციების კომისია არის ორგანიზაცია, რომელიც ტექნოლოგიების უწყვეტი დანერგვით და განვითარებით მომავალს ქმნის დღეს



რებრენდინგის შემდეგ სრულად განახლდა და მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული გახდა კომუნიკაციების კომისიის ვებ-გვერდი, სოციალურ ქსელებში შეიქმნა ახალი საკომუნიკაციო პლატფორმები, სადაც მომხმარებელს 24 საათიან რეჟიმში აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს უწყვეტი კავშირი კომუნიკაციების კომისიასთან, რომელიც სწრაფად რეაგირებს და მაქსიმალურად ცდილობს ყველა მომხმარებლის პრობლემის ოპერატიულად მოგვარებას.

Facebook - კომუნიკაციების კომისიის სოციალურ პლატფორმას 50,000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს. სოციალური ქსელის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს დაუკავშირდეს კომუნიკაციების კომისიას საკუთარი პრობლემით, ასევე მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია. ეს არის პლატფორმა, სადაც როგორც კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, სიახლეებისა და ღონისძიებების, ასევე ტელეკომ სფეროს ტენდენციების შესახებ მუდმივად ვრცელდება საინტერესო და ახალი ინფორმაცია.

Youtube - კომუნიკაციების კომისიის ვიდეო არხი, სადაც დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა მოკლედ და ამომწურავად, ვიდეო რგოლის საშუალებით მიიღონ დეტალური ინფორმაცია კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებებისა და ღონისძიებების შესახებ.

Linkedin - კომუნიკაციების კომისიის პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას გაიცნოს ComCom-ის გუნდი, ადამიანები, რომლებიც მოქალაქეების კეთილდღეობისთვის მუშაობენ.

Twitter - კომუნიკაციების კომისიის სოციალური პლატფორმა, სადაც საზოგადოებას ორგანიზაციის საერთაშორისო თანამშრომლობისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლია.

Instagram - კომუნიკაციების კომისიის სოციალური პლატფორმა, სადაც გამომწერებს აქვთ შესაძლებლობა კომუნიკაციების კომისიის 20 წლიანი მუშაობის პერიოდში მიღწეული წარმატებების და ტელეკომ სფეროს ტენდენციების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გაეცნონ.

ComCom ანალიტიკა - კომუნიკაციების კომისიის ინოვაციური სერვისი ტელეკომ სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის, რომლებსაც მარტივი ავტორიზაციით აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ანგარიშები ელექტრონულ კომუნიკაციებსა და მაუწყებლობის სფეროში არსებული ტენდენციების შესახებ.

Sheamotsme.ge – კომუნიკაციების კომისიის ინოვაციური სერვისი, რომელიც მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით შეიქმნა და რომელმაც კიდევ უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა პანდემიის პირობებში შეიძინა. ინტერნეტის ხარისხის კონტროლის პლატფორმა, როგორც მომხმარებელს, ასევე კომუნიკაციების კომისიას, საშუალებას აძლევს 24 საათიან რეჟიმში გაზომოს ფიქსირებული ინტერნეტის ხარისხი და სიჩქარე, დააკვირდეს, რამდენად იცავენ კომპანიები აბონენტების წინაშე აღებულ ვალდებულებებს. იმ შემთხვევაში კი, თუ მომხმარებლების ინტერესები ირღვევა, მათ ონლაინ რეჟიმში, მარტივად შეუძლიათ შეავსონ საჩივარი და პრობლემის მოსაგვარებლად კომუნიკაციების კომისიას მიმართონ. თავის მხრივ, კომუნიკაციების კომისია, დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, ხარისხიანი ინტერნეტ მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, მომხმარებლის პრობლემებს აგვარებს.



Sheamotsme.ge-ზე ჩაშვების დღიდან 557,694 მომხმარებელი შევიდა, ხოლო 2020 წელს ვებ-გვერდს 106,378 ვიზიტორი ჰყავდა.

2020 წელს sheamotsme.ge-ზე 7000-მდე ტესტი ჩატარდა, საიდანაც 300-მდე ხარვეზი და საჩივარი დაფიქსირდა.

5G - ქვეყნის განვითარების ახალი შესაძლებლობა

21-ე საუკუნეში, როდესაც ვითარდება და ინერგება ინოვაციური ტექნოლოგიები, უმნიშვნელოვანესია ამ გამოწვევებს ეფექტურად ვუპასუხოთ. ეკონომიკური განვითარების გზა ახალი თაობის ინტერნეტ ტექნოლოგიებზე გადის. შესაბამისად, 5G ტექნოლოგია აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანაში მნიშვნელოვანი სფეროების განვითარებისთვის. 5G - ეს არის უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიის ახალი თაობა, რომელიც უკვე არსებული ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, მომხმარებელს უფრო სწრაფ და ეფექტურ შესაძლებლობებს სთავაზობს. სიჩქარესთან ერთად, 5G მეტ გამტარუნარიანობას და ნაკლებ დაყოვნებას გულისხმობს, რომელიც შესაძლებელს ხდის, როგორც მცირე, ისე დიდ სივრცეში არსებული ათასობით მოწყობილობა ერთდროულად დააკავშიროს ერთმანეთს და ამუშაოს. 5G-ის მიერ შეთავაზებული კავშირი და გამტარუნარიანობა ხელს უწყობს ახალი, ინოვაციური მომსახურებების პოტენციალის ათვისებას, როგორც საზოგადოების, ასევე, სხვადასხვა სფეროსა და ბიზნესისთვის.

5G არ არის მხოლოდ ახალი თაობის ტექნოლოგია, ეს არის ტექნოლოგია, რომელიც მომსახურების და პროდუქტის მიხედვით, ზოგ შემთხვევაში 10-ჯერ, ზოგ შემთხვევაში კი 100-ჯერ უფრო მაღალი სიჩქარის კომუნიკაციას და კავშირს უზრუნველყოფს, ვიდრე წინა თაობის ტექნოლოგიები. 5G ტექნოლოგიის დანერგვა საკომუნიკაციო სექტორის გარდა, გარდაქმნის და სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანს ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებს, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა და სხვა. რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკას გააძლიერებს.

5G ტექნოლოგია ადამიანებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობებს გაიმარტივონ ცხოვრება და მიიღონ ისეთი მომსახურებები, რომლის რესურსი და შესაძლებლობაც აქამდე არ ჰქონდათ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც ახალი თაობის ინტერნეტი განავითარებს, ჯანდაცვას, ადამიანების ჯანმრთელობას ეხება. ევროპის წამყვან ქვეყნებში 5G ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნილი ე.წ ტელემედიცინის ინფრასტრუქტურა უკვე გამოიყენება და საშუალებას იძლევა დაინერგოს ახალი ტიპის სამედიცინო სერვისები. 5G აქტიურად გამოიყენება ჭკვიანი სასწრაფო დახმარების მანქანების მართვისთვის, სასწრაფო დახმარების მანქანა აღჭურვილია სპეციალური კომპიუტერით, რომელიც საშუალებას იძლევა პაციენტის მდგომარეობა შეაფასოს და საავადმყოფოში მისვლამდე გადასცეს ინფორმაცია სამედიცინო პერსონალს პაციენტის მდგომარეობის შესახებ, რაც პაციენტის დიაგნოსტირების პროცესში ზოგავს დროს.

5G მნიშვნელოვანია განათლების სისტემისთვის, რომელიც დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა პანდემიამ. ინოვაციური ტექნოლოგია განათლების სისტემას აძლევს საშუალებას უფრო ეფექტურად შეძლოს დისტანციური სწავლება, როგორც მოსწავლეებისთვის ისე სტუდენტებისთვის. ეს ტექნოლოგია იძლევა საშუალებას ბავშვები ვირტუალურად ისევ დაუბრუნდნენ სკოლებს და სწავლა ვირტუალურ "საკლასო ოთახებში" გააგრძელონ. 5G საშუალებას იძლევა სწავლებაში ჩაერთონ სმენა და მხედველობა დაქვეითებული ბავშვები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც 5G ტექნოლოგია მოაგვარებს, მუნიციპალური ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურაა. მაგალითად, ჭკვიანი შუქნიშნების არსებობა, საშუალებას აძლევს მძღოლებს იმოძრაონ საცობების გარეშე და უფრო სწრაფად მივიდნენ დანიშნულების ადგილზე. ჭკვიანი შუქნიშნები და საცობის პრობლემების დარეგულირება ამცირებს ავტოსაგზაო შემთხვევების ცდომილების ალბათობას. შესაბამისად, ადამიანები გაცილებით სწრაფად და უსაფრთხოდ შეძლებენ გადაადგილებას.

ეს იმ ინდუსტრიების მცირედი ჩამონათვალია, სადაც 5G გამოყენება უკვე ხდება. ახალი თაობის ტექნოლოგია კომერციულად უკვე გაშვებულია ავსტრიაში, ბელგიაში, ბულგარეთში, ჩეხეთში, დანიაში, ფინეთში, გერმანიაში, უნგრეთსა და ირლანდიაში, ასევე იტალიაში, ლატვიაში, ჰოლანდიაში, პოლონეთში, რუმინეთში, სლოვენიაში, ესპანეთში, შვედეთში, ნორვეგიაში, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში. ამასთან, ევროკავშირის მასშტაბით შერჩეული და გამოცხადებულია 20-ზე მეტი ე.წ. 5G სატესტო ქალაქი, სადაც ახალი თაობის ტექნოლოგიის გამოყენებით სხვადასხვა მომსახურების პილოტირება ხდება. მათ შორისაა: ბარსელონა, ბერლინი, ამსტერდამი, ბარი, ლონდონი, მადრიდი, მალაგა, მილანი, სტოკჰოლმი, ტალინი, ტურინი და საფრანგეთის 9 ქალაქი.

იმისთვის, რომ 2021 წელს საქართველომ, დანარჩენ განვითარებულ სამყაროსთან ერთად, 5G-ის გამოყენება დაიწყოს, წინა წელი ეფექტურად გამოვიყენეთ. აღნიშნულს ცხადყოფს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 5G ქსელების უსაფრთხოების შესახებ თანამშრომლობის გაფორმება. აშშ-ის მთავრობასთან საქართველოს თანამშრომლობა ხელს შეუწყობს 5G ქსელების უსაფრთხოებას, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და მონაცემთა დაცვას, პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მომავალი თაობის სანდო ინტერნეტ ეკოსისტემის, ციფრული სერვისების და მთლიანად, ციფრული ეკონომიკის განვითარებაში. იმისთვის, რომ ქვეყანამ 5G მომსახურების გამოყენება მალევე დაიწყოს და ყველა ეს სიკეთე საქართველოს მოქალაქეებმაც მიიღონ, კომუნიკაციების კომისიამ 2020 წელს აქტიური სამუშაოები ჩაატარა.

5G ტექნოლოგიის დასანერგად საჭირო სიხშირული რესურსის გაცემის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით საზოგადოებას კომუნიკაციების კომისიის ხედვა წარუდგინა და დაინტერესებული პირებისგან მოსაზრებებისა და კომენტარების მისაღებად საკონსულტაციო დოკუმენტი გამოაქვეყნა. საკონსულტაციო დოკუმენტი აუქციონის პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, მათ შორის 5G მომსახურებისთვის ხელმისაწვდომი სიხშირეების, საწყისი საფასურის, ლოტების, საქმიანობის დაწყების, დაფარვის და სხვა ვალდებულებების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მოიცავს. 5G-ის დანერგვისთვის საჭირო პარამეტრები და პირობები ევროკომისიის გადაწყვეტილებების და ევროპელი კოლეგა მარეგულირებლების გამოცდილების გათვალისწინებით განისაზღვრა, ხოლო სიხშირული რესურსის საფასური კომპანია “იუაის” (Ernst & Young) ექსპერტებმა დაიანგარიშეს. ყველა პროცესი გამჭვირვალედ, ტელეკომ ოპერატორების ჩართულობითა და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით ხორციელდებოდა.

ცნობილია, რომ სიახლეების დანერგვა მუდმივად იწვევს განხილვას და აზრთა სხვადასხვაობას, ასე იყო მობილური ტექნოლოგიების დანერგვის ყველა ეტაპზე (4G, 3G, 2G). მუხედავად ამისა, განვითარებული ქვეყნები, კვალიფიციური ავტორიტეტული ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ 5G შესაძლებლობებისა და განვითარების ახალი საფეხურია, რომელიც მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის საფუძველი გახდება. კომუნიკაციების კომისია საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებითა და მხარდაჭერით აგრძელებს მუშაობას 5G ტექნოლოგიის დანერგვის მიზნით.

2020 წლის სექტემბრის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით 5G კომერციულად 47 ქვეყანაშია ხელმისაწვდომი.

საქართველო - რეგიონის ციფრული ჰაბი



დღევანდელ ტექნოლოგიურ სამყაროში მომავლის ეკონომიკა ციფრულ აბრეშუმის გზაზე გადის. მსოფლიოში ციფრული ეკონომიკა ტრილიონობით აშშ დოლარს ითვლის, რაც მთელი მსოფლიო ეკონომიკის 15%-ზე მეტია. შესაბამისად, ციფრული აბრეშუმის გზის ქვეყნების ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა სწორედ ინფორმაციის თავისუფალი და შეუფერხებელი გაცვლაა.

ცნობილია, რომ აზიის ქვეყნები ევროპულ ინტერნეტზე ალტერნატიულ გასასვლელს ეძებენ.

ევროპასა და აზიას შორის საერთაშორისო ტრაფიკის გასატარებლად, საქართველო მსოფლიოსთვის მიმზიდველი ალტერნატივაა, ვინაიდან ციფრული აბრეშუმის გზის პროექტში, ამიერკავკასიის რეგიონში ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბებისთვის, სწორედ საქართველოს აქვს უნიკალური გეოპოლიტიკური და ინფრასტრუქტურული ბუნებრივი უპირატესობა. ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბების შემთხვევაში, საქართველო პირველ ეტაპზე ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ დოლარამდე შემოსავალს მიიღებს, რაც შემდგომ წლებში რამდენჯერმე გაიზრდება. გარდა ამისა, საქართველოს ევროპასა და აზიას შორის 370 ტერაბიტ/წამი გატარებული გლობალური ინტერნეტი და ევროპა - ახლო აღმოსავლეთს შორის ინტერნეტის გატარების 45%-იანი ბაზრის წილი ექნება. ამასთან, რეგიონში ინტერნეტ ტრანზიტის ბაზრის 75%-ს გლობალური ტექნოლოგიური გიგანტები დაიკავებენ. საქართველო მონაცემთა გაცვლის მნიშვნელოვანი სატრანზიტო კვანძი გახდება, რაც ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას გლობალურ ციფრულ ეკონომიკას შეუერთდეს.

საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა ევროპასთან პირდაპირი ინფრასტრუქტურული საზღვრით. რეგიონში საქართველო საერთაშორისო ტრანზიტის გამტარია სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, რომლებიც თავის მხრივ, ტრაფიკს ამისამართებენ ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიისკენ. სწორედ აღნიშნული მარშრუტების გახსნა ინტერნეტის საერთაშორისო მოცულობების გასატარებლად, ორი უმნიშვნელოვანესი ციფრული დერეფნის არსებობას გახდის შესაძლებელს: პირველი - ევროპიდან საქართველოს გავლით, სომხეთისა და შემდგომ ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით, და მეორე - ევროპიდან საქართველოს გავლით, აზერბაიჯანისა და შემდგომ სამხრეთ აზიის მიმართულებით. საქართველოს ბუნებრივი უპირატესობა აქვს, რომელიც ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს უკვე არსებული განვითარებული სატელეკომუნიკაციო მაგისტრალური ინფრასტრუქტურა, მათ შორის შავი ზღვის წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და კომერციული კონტრაქტები, რათა აქტიურად განავითაროს დერეფანი ევროპასა და აღმოსავლეთს შორის - სომხეთის გავლით, ასევე, ტრანს კასპიური დამაკავშირებელი გზით - აზერბაიჯანიდან კასპიის ზღვის გავლით, რომლის განხორციელება ახლო პერსპექტივაში მოიაზრება. იმისთვის, რომ სწორედ საქართველო იყოს ევროპისა და აზიის შემაერთებელი, რეგიონის ციფრული ჰაბი და გლობალური მონაცემების გაცვლის ცენტრად ჩამოყალიბდეს, კომუნიკაციების კომისია საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ბოლო სამი წელია აქტიურად მუშაობს. აბრეშუმის ციფრული გზის პროექტში საქართველოს როლი და პერსპექტივები მსოფლიო ბანკმა განიხილა და საქართველოს საბაზრო პოტენციალი შეაფასა. მსოფლიო ბანკმა ის პრიორიტეტები განსაზღვრა, რომელიც საქართველოსთვის, როგორც რეგიონული ციფრული დერეფნის განუყოფელი ნაწილისთვის, უმნიშვნელოვანესია. სწორედ მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა. ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, მათ შორის საქართველოს, როგორც რეგიონის ციფრული ჰაბის ფორმირებას და „მონაცემთა ცენტრის“ ჩამოყალიბებას გულისხმობს.

ცვლილება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში

ქვეყნის გეოგრაფიულ უპირატესობას რომ საფრთხე არ დაემუქროს, ამისთვის სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია არსებობდეს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც კრიტიკულ ინფრასტრუქტურას და ქვეყნის ინტერესებს დაიცავს. გამომდინარე იქედან, რომ ქვეყანაში არ არსებობს კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ კანონი (კრიტიკული ინფრასტრუქტურის კანონზე, სწორედ ახლა მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ), აუცილებელი გახდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესულიყო ცვლილებები. კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია დაცული იყოს კონკურენტული გარემო და მომხმარებლების ინტერესები.
სწორედ ამ სამი უმნიშვნელოვანესი საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების მიზნით, 2020 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს გაუჩნდა ქმედითი ინსტრუმენტი და დამატებითი უფლებამოსილება დაიცვას კრიტიკული ინფრასტრუქტურა და მომხმარებლის ინტერესები. კანონში შესული ცვლილებების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ტელეკომ ოპერატორები არ ასრულებენ საკანონმდებლო მოთხოვნებს, ან კომუნიკაციების კომისიის მიერ განსაზღვრულ სპეციფიკურ ვალდებულებებს ჯიუტად არღვევენ, სახელმწიფოს მიეცა აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრის ეფექტური მექანიზმი.
„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული პირველი ცვლილება - წილის ან აქტივების უნებართვოდ გაყიდვის დროს, კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიძლება ამოქმედდეს მას შემდეგ, რაც კომუნიკაციების კომისია წილის ან აქტივების უნებართვოდ გასხვისების გამო, კომპანიას 4-ჯერ დააკისრებს სანქციას, მაგრამ კომპანია მაინც არ შეასრულებს ვალდებულებას. ასეთ დროს კომუნიკაციების კომისიას ეძლევა უფლებამოსილება კომპანიაში სპეციალური მმართველი დანიშნოს. კანონმდებლობის მიხედვით, სპეციალური მმართველი ინიშნება ვიდრე კომპანია კანონის მოთხოვნებს და კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებას არ შეასრულებს.
ცვლილებების მიხედვით, კომუნიკაციების კომისიამ სპეციალური მმართველი შესაძლოა კიდევ ორი უმნიშვნელოვანესი დარღვევის შემთხვევაში დანიშნოს, თუ კომპანიები იმ სპეციფიკურ ვალდებულებებს არ შეასრულებენ, რომელიც მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიებს კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით აქვთ დაკისრებული. კერძოდ, თუ ავტორიზებული პირები ბაზარზე სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულებას დაარღვევენ და მომხმარებლებს არაგონივრულ ტარიფებს დაუწესებენ. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს კონტროლის ეფექტური მექანიზმი, რათა ოპერატორებმა მომხმარებელს მობილურ და ინტერნეტ მომსახურებებზე მაღალი ფასები არ დაუწესონ.
რაც შეეხება თავისუფალ დაშვებას, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ნებისმიერ მსურველ ავტორიზებულ პირს ბარიერების და ხელშეშლის გარეშე შეეძლოს შესვლა და ბიზნესის კეთება. მობილური კომუნიკაციების და ფიქსირებულ ინტერნეტ ბაზარზე უნდა იყოს მრავალფეროვანი არჩევანი და კონკურენტული გარემო, ამისთვის კი თავისუფალი დაშვებისა და სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მარტივად შესვლის უზრუნველყოფა აუცილებელი წინაპირობაა. თუ ბაზარზე არსებული მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიები ახალ მოთამაშეებს ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან და კანონის მოთხოვნას არ ასრულებენ, სანქციების შემდეგ, კომუნიკაციების კომისიას ექნება უფლებამოსილება ასეთ დროს ეფექტური მექანიზმი გამოიყენოს.
კანონში შესულ ცვლილებამდე, კომუნიკაციების კომისია უფლებამოსილი იყო მოეთხოვა სპეციალური მმართველის დანიშვნა (პირდაპირ დაჯარიმების გარეშეც კი, თუ წინასწარვე ცნობილი იყო, რომ დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფდა ვალდებულების შესრულებას), თუ ლიცენზირებული პირი არღვევდა სალიცენზიო პირობებს და ლიცენზიის გაუქმება უფრო მეტი ზიანის მომტანი იყო, ვიდრე მისი შენარჩუნება.
ასევე, კანონში ცვლილების შეტანამდეც, თუ ავტორიზებული პირი დაარღვევდა კანონმდებლობას, მათ შორის კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე გაყიდიდა წილს ან აქციებს, ან არ შეასრულებდა ვალდებულებებს, კომუნიკაციების კომისიას შესაძლებლობა ჰქონდა მისთვის შეეჩერებინა ავტორიზაცია პირველივე დაჯარიმების შემდეგ ისე, რომ არ გამოეყენებინა შემდგომი გაზრდილი ჯარიმები. ავტორიზაციის შეჩერების მექანიზმი, ცალკეულ შემთხვევაში, შეიძლება არ იყოს ეფექტური და ქმედითი, ვინაიდან კომპანიის მუშაობის გაჩერება პირდაპირ იწვევს მომხმარებლების სატელეკომუნიკაციო სერვისების გარეშე დატოვებას, ეს კი ვერ იქნება სახელმწიფოს მიზანი.

თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, ეს კარგად ჩანს ბოლო პერიოდში სატელეკომუნიკაციო სფეროში განვითარებული მოვლენების ფონზე. საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორი ოპერირებს, რომლებიც როგორც მობილურ, ისე ფიქსირებულ მომსახურებას უწევენ მომხმარებლებს. ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან, კანონის მოთხოვნების იგნორირების მცდელობას ჰქონდა ადგილი.
კერძოდ, 2019 წელს კომუნიკაციების კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანია „ბილაინი“ აპირებდა წილების გასხვისებას კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე. კომუნიკაციების კომისიამ აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე წერილით მიმართა კომპანია „ბილაინს“. წერილზე პასუხად კომპანიამ კომუნიკაციების კომისიას განუცხადა, რომ კანონის მათი ინტერპრეტაციითა და წაკითხვით, წილების გასხვისების შემთხვევაში, კომუნიკაციების კომისიის წინასწარ თანხმობას არ საჭიროებდნენ. კომუნიკაციების კომისიამ „ბილაინს“ კანონი განუმარტა და ტრანზაქცია არ განხორციელებულა. ამის შემდეგ, ასევე 2019 წელს, კომუნიკაციების კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ კომპანია „კავკასუს ონლაინს“ შეცვლილი ჰყავდა ბენეფიციარი მესაკუთრე და საკუთარი წილი კანონდარღვევით, კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე, ჰქონდა გასხვისებული.
აღნიშნული ფაქტები თვალსაჩინო მაგალითებია იმისა, თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს ჰქონოდა ეფექტური მექანიზმი, რათა უკანონო გასხვისებას ბაზარზე ნეგატიური გავლენა არ მოეხდინა. კერძოდ, კანონდარღვევას საფრთხე არ შეექმნა კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის, რომელიც შემდგომ ზიანს მიაყენებდა როგორც სახელმწიფო ინტერესებს, ისე მომხმარებლებს. უკანონო გასხვისების შემთხვევაში, არსებობდა ისეთი რისკები, როგორიცაა მთლიანად სატელეკომუნიკაციო სერვისებზე წვდომის და ბაზარზე კონკურენტული გარემოს ხელოვნურად შეზღუდვა. სწორედ ამ რისკებისგან დასაცავად, აუცილებელია კრიტიკული ინფრასტრუქტურის მქონე კომპანიების წილების გასხვისებამდე კომუნიკაციების კომისიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო უწყებას, ჰქონდეს საშუალება წინასწარ შეისწავლოს შესაძლო ტრანზაქცია და მხოლოდ მას შემდეგ გასცეს ნებართვა გასხვისებაზე, რაც დარწმუნდება, რომ ქვეყნის ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება და ეს ტრანზაქცია სატელეკომუნიკაციო ბაზარს არ დააზიანებს.

„სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი

2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ ,,სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი მოამზადა. კანონპროექტი, რომელიც კონკურენციის, ღია ხელმისაწვდომობის, თანასწორობის, არადისკრიმინაციულობის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს ეფუძნება, საქართველოს პარლამენტშია ინიცირებული. მიღების შემთხვევაში, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს მიეცემათ საშუალება ფართოზოლოვანი ქსელის განვითარების მიზნით, ისარგებლონ უკვე არსებული, სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურით, არადისკრიმინაციული და კონკურენტული პირობებით და ფასით, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს განვითარებას, ხარჯების ოპტიმიზაციის გზით შეამცირებს ქსელის განვითარების საფასურს, წაახალისებს სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს მომხმარებელს შესთავაზონ უფრო მაღალი ხარისხის მომსახურება შედარებით დაბალ ფასად, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს „საქართველოში ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიითა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული სტრატეგიული მიზნების მიღწევას და ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის განვითარებას.

შპს „კავკასუს ონლაინის“ წილების უკანონო გასხვისება

საქართველო საკმაოდ დივერსიფიცირებულ სატელეკომუნიკაციო, კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას ფლობს, მათ შორის არის შპს „კავკასუს ონლაინის“ მფლობელობაში არსებული მაგისტრალური ინფრასტრუქტურა, რომელიც შავი ზღვის ფსკერზე 1200 კილომეტრიან წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით რეგიონს პირდაპირ აკავშირებს ევროპასთან.
2019 წლის აგვისტოში კომუნიკაციების კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ კომპანია „კავკასუს ონლაინს“ შეცვლილი ჰყავდა 49% წილის მფლობელი ბენეფიციარი და საკუთარი წილი კანონდარღვევით, კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე, ჰქონდა გასხვისებული. კომპანიის მხრიდან დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ავტორიზებულმა პირმა, შერწყმის ან წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის გასხვისების შემთხვევაში, წინასწარი თანხმობა უნდა მიიღოს კომუნიკაციების კომისიისგან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2016 წელს, კომუნიკაციების კომისიამ „ნელგადო ლიმითედის“ მიერ „კავკასუს ონლაინის“ 44% წილის შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემისას, „კავკასუს ონლაინს“ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ, დამატებით ვალდებულებად განუსაზღვრა, რომ ბოლო ბენეფიციარ მესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული წილის ან აქციების გასხვისების განზრახვის შემთხვევაში, წინასწარი თანხმობის მოპოვების მიზნით, კომუნიკაციების კომისიისთვის მიემართა. აქედან გამომდინარე, „კავკასუს ონლაინმა“ დაარღვია როგორც კანონის მოთხოვნა, ისე კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება. კანონდარღვევის აღმოჩენის შემდეგ, კომუნიკაციების კომისიამ აღნიშნულ საკითხზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლის განმავლობაში კომუნიკაციების კომისიამ ამ საკითხზე რამდენიმე ადმინისტრაციული წარმოება გამართა, კომპანია „კავკასუს ონლაინის“ მხრიდან კანონი და კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებები არ შესრულებულა. კომუნიკაციების კომისია კომპანიისგან წილების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას და კანონისა და კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულებას ითხოვდა. 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის ოქტომბრამდე კომუნიკაციების კომისიას კომპანიის მიმართ გამოყენებული აქვს, როგორც გაფრთხილება, ისე ფინანსური სანქციები, მათ შორის 30,000 ლარის, 90,000 ლარის და სამჯერ 270,000 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ ფინანსურ ჯარიმებს კანონით დადგენილ ვადაში იხდიდა, მაგრამ წილებს პირვანდელ მდგომარეობაში, არ აბრუნებდა.

გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური ჯარიმები ეფექტური არ იყო, ვინაიდან კომპანია ჯარიმას იხდიდა, მაგრამ კანონს და კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებებს არ ასრულებდა, კომუნიკაციების კომისიას კანონით გათვალისწინებული კიდევ ორი ინსტრუმენტის გამოყენება შეეძლო. კერძოდ, კომუნიკაციების კომისიას ჰქონდა უფლებამოსილება კომპანიისთვის ავტორიზაცია შეეჩერებინა, რაც მილიონობით აბონენტს სატელეკომუნიკაციო მომსახურებების გარეშე დატოვებდა.

> „ავტორიზაციის შეჩერების შემთხვევაში, საქართველოში 2,5 მილიონ აბონენტს საკომუნიკაციო სერვისებზე წვდომა შეეზღუდებოდა, ამასთან, საფრთხე შეექმნებოდა მეზობელი ქვეყნების მილიონობით აბონენტის ინტერნეტით უზრუნველყოფას.“

ამას გარდა, კომპანიის საქმიანობის შეჩერება უარყოფითად აისახებოდა ინტერნეტის საერთაშორისო ტრანზიტზე და ნეგატიურ გავლენას მოახდენდა როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე სატელეკომუნიკაციო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისიამ გაუმართლებლად მიიჩნია ავტორიზაციის შეჩერება. კომუნიკაციების კომისიამ კანონით განსაზღვრული მეორე, უფრო მსუბუქი მექანიზმი გამოიყენა და კომპანიაში სპეციალური მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო, რათა „კავკასუს ონლაინს“, როგორც საბითუმო ინტერნეტის ბაზრის უმნიშვნელოვანეს მოთამაშეს, შეენარჩუნებინა სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა. კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, „კავკასუს ონლაინში“ სპეციალურ მმართველად „ოუფენ ნეტის“ ხელმძღვანელი, მარიამ სულაბერიძე იმ დრომდე დაინიშნა, ვიდრე კომპანიის კანონდარღვევით გასხვისებული წილის 49% პირვანდელ მდგომარეობაში არ დაბრუნდება და კანონის მოთხოვნა არ აღსრულდება.

ბოლო წლებში კომუნიკაციების კომისია, სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაციის მიზნით, უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს იღებს, რაც საბოლოო ჯამში, ბუნებრივია, მომხმარებლის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული და ქვეყანაში მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ბაზარზე კონკურენტული ფასების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

ბაზარზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვება

ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვებაა. მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი (MVNO) არის მობილური მომსახურების მიმწოდებელი ისეთი ოპერატორი, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ქსელი ან ინფრასტრუქტურა და მობილური მომსახურებების მიწოდებას ახორციელებს სხვა ოპერატორის ქსელის მეშვეობით.
ვირტუალური კომპანიები მობილურ ბაზარზე მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯების გარეშე შემოვლენ და დაიწყებენ ოპერირებას, რადგან ისინი უკვე არსებული მობილური ოპერატორების - „მაგთიკომის“, „სილქნეტის“ და „ბილაინის“ ქსელის გამოყენებით მიაწვდიან მომხმარებელს მომსახურებას.
ბაზარზე ახალი მოთამაშეების გაჩენა მომხმარებლებისთვის მობილური მომსახურების არჩევანის გაზრდას უზრუნველყოფს და ეტაპობრივად აისახება როგორც მომსახურების ხარისხზე, ისე - ფასებზე.



MVNO-ს შემოსვლით საზოგადოება ეტაპობრივად უფრო ხელმისაწვდომ ფასებს და მრავალფეროვან არჩევანს მიიღებს. საზოგადოებისთვის ეს ახალი შესაძლებლობაა, რომელიც ინოვაციურ პროდუქტებს, მომხმარებელზე მორგებულ სერვისებს და ახალ შეთავაზებებს გულისხმობს.

როდის და რატომ არის MVNO-ს დაშვება სატელეკომუნიკაციო ბაზარზე საჭირო და ეფექტური?

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლიდან კანონით ისედაც განსაზღვრული იყო ვირტუალური ოპერატორის დაშვების ვალდებულება, საქართველოში MVNO-ები ვერ განვითარდა. მცირე და საშუალო ოპერატორები წლების განმავლობაში მიმართავდნენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიებს და ვირტუალური ოპერატორის შექმნის მიზნით, ქსელზე დაშვებას სთხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ. სწორედ ამიტომ, კომუნიკაციების კომისიამ მიიღო ქმედითი გადაწყვეტილება და დააკონკრეტა ვირტუალური ოპერატორების დაშვების ვადები და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიებს ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება დაუწესა. შესაბამისად, მიმართვის შემთხვევაში, აღნიშნული კომპანიები ვალდებულები არიან საკუთარ ქსელზე ვირტუალური ოპერატორის დაშვება უზრუნველყონ.
აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების კომისია არ ერევა სატარიფო რეგულაციაში და ფასწარმოქმნის ნაწილს ოპერატორებს შორის კომერციულ საწყისზე ტოვებს.
კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებას, ასევე, საფუძვლად დაედო საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) განმარტებები და რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც, MVNO-ს დაშვების რეგულაციის დაწესებისას მარეგულირებლებმა უნდა გაითვალისწინონ ბაზარზე შესვლის ისეთი ბარიერები, როგორიც არის სიხშირული რესურსების სიმცირე და რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა. ასევე, უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ქსელის მფლობელი ოპერატორების მოგების მაღალი მარჯა. კერძოდ, იმ შემთხვევებში, თუ ქსელის მფლობელი კომპანიის საოპერაციო მარჯა 25%-ზე მაღალია, ეროვნულმა მარეგულირებელმა შეიძლება დააწესოს MVNO-ს დაშვების რეგულაცია.

საქართველოში კი გასულ წელს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების, კერძოდ, „მაგთიკომის“, „სილქნეტის“ და „ბილაინის“ საოპერაციო მარჯები (EBITDA) 40%-ზე მეტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციების კომისიამ ბაზრის ლიბერალიზაციისა და მომსახურებებზე ტარიფების გაიაფების მიზნით, წლების განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, კომპანიებს საკომუნიკაციო სერვისებზე ფასები არ შეუმცირებიათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაუქმდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების აქციზი, რაც კომპანიების საოპერაციო მარჯის ზრდაზე აისახა, თუმცა არ ასახულა საცალო ტარიფებზე.



სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაციისა და კონკურენციის გაჯანსაღების მიზნით, ბოლო წლებში კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, საქართველოში ყველაზე მოხმარებად მობილურ მომსახურებებზე, რაც მაგალითისთვის გულისხმობს ულიმიტო ხმოვანი ზარების და 5 გბ ინტერნეტის პაკეტს, საცალო ტარიფი საშუალოზე მაღალია, ხოლო მოხმარების მოცულობის ზრდასთან ერთად, მობილური ოპერატორების მიერ შეთავაზებული ტარიფების განაკვეთით საქართველოს პოზიცია უარესდება. აღნიშნული დასკვნა მსოფლიოში ცნობილმა კვლევითმა კომპანიამ Strategy Analytics-მა თავისი ტარიფებისა და ბენჩმარკინგის სამსახურის Teligen-ის მეშვეობით მოამზადა. მობილური და ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ბაზრის სეგმენტზე საცალო ტარიფების კვლევა 2020 წლის მე-2 კვარტლის სურათს ასახავს. კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაციის საჭიროება. სწორედ ბაზრის ლიბერალიზაციას და სატარიფო პოლიტიკის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მობილური ვირტუალური ოპერატორების დაშვების რეგულაცია.

Strategy Analytics-მა და Teligen-მა კვლევა მსოფლიოში აპრობირებული ბენჩმარკინგის მეთოდით ჩაატარეს. კვლევამ თვალნათლივ აჩვენა, რომ „მაგთიკომის“ და „სილქნეტის“ მობილური კომბინირებული მომსახურებების ფასი, ევროპის წამყვანი ქვეყნების ოპერატორების ფასებთან შედარებით, საშუალოზე მაღალია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბაზარზე არსებობს შედარებით დაბალ ფასიანი შეთავაზებებიც, რომელსაც მომხმარებელს კომპანია „ბილაინი“ სთავაზობს. ამის მიუხედავად, ბაზრის არსებითი წილი - 70% და მეტი, მაინც მაღალ ფასიანი მომსახურებების მქონე ოპერატორებს - „მაგთიკომს“ და „სილქნეტს“ უკავია.

2020 წლის ივნისში კომუნიკაციების კომისიამ ჩაატარა მობილური ხმოვანი მომსახურების საცალო ბაზრის კვლევა, რა დოსაც დადგინდა, რომ მობილური მომსახურებების ბაზარზე კონკურენცია შეზღუდულია. სატარიფო შეთავაზებები, რომელსაც მომხმარებელს კომპანიები „მაგთიკომი“ და „სილქნეტი“ სთავაზობენ, რადიკალურად განსხვავებულია მესამე ოპერატორის, კომპანია „ბილაინის“ შეთავაზებებისაგან. აღნიშნული ნათლად აჩვენებს, რომ მობილური მომსახურებების ბაზარზე ძლიერი კონკურენცია არ არის, როგორც შეთავაზებების, ისე სატარიფო საცალო პოლიტიკის ნაწილში. გასათვალისწინებელია, რომ საცალო ბაზარზე ოპერატორებს შორის აბონენტების პორტირება საკმაოდ დაბალია, რადგან კონკურენცია ხელმისაწვდომ ტარიფებზე შეზღუდულია.

აღნიშნული საკითხის გადაჭრა, ერთი მხრივ, საცალო სატარიფო რეგულაციითაა შესაძლებელი, რაც საერთაშორისო სტანდარტით რეგულირების ყველაზე ხისტი პრაქტიკაა, ხოლო მეორე მოდელი ბაზრის გახსნა და მაღალი კონკურენციაა. სწორდ ამას ემსახურება კომუნიკაციების კომისიის მიერ MVNO-ს დაშვების გადაწყვეტილება.

რაც შეეხება მობილური ინტერნეტის ფასებს საქართველოში, Visual Capitalist-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 1 გბ ინტერნეტის ფასის მსოფლიო რეიტინგში, საქართველოს 155 ქვეყანას შორის 31-ე ადგილი უკავია.

წარმოდგენილი კვლევები ნათლად აჩვენებს, რომ 2020 წლის მე-2 კვარტლის მონაცემებით, საქართველოში საერთაშორისო ბენჩმარკთან მიმართებით, ფასები მობილური კომბინირებული მომსახურების პაკეტებზე საშუალოზე მაღალია. შესაბამისად, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფისა და მომხმარებლისათვის უკეთესი მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების მიზნით, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე MVNO რეგულაციის ამოქმედება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

რა შესაძლებლობებს სთავაზობს MVNO მომხმარებელს?

ქსელური ოპერატორებისგან MVNO იმით განსხვავდება, რომ ის მომხმარებელს განსხვავებულ და მათ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას სთავაზობს.
მობილური ვირტუალური ოპერატორები სტანდარტული სატელეკომუნიკაციო მომსახურებების გარდა, მომხმარებლებს ისეთ ნიშურ, მაღალტექნოლოგიურ და კომბინირებულ სერვისებს სთავაზობენ, როგორებიცაა: ელექტრონული სიმბარათების (eSIM) საშუალებით გლობალურ ფიჭურ სერვისებზე წვდომა; IoT ტექნოლოგიის გამოყენებით ისეთი მოწყობილობების დისტანციურად მართვისა და გამოყენების შესაძლებლობა, როგორებიცაა ტრეკერები, ავტომობილები, გარემოს ხარისხის კონტროლის სენსორები, ჯანმრთელობის მონიტორინგის მოწყობილობები და სხვა.

1300-ზე მეტი MVNO მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში, რომელთა ბაზრის წილი 7.5%-ია



მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში 1300-ზე მეტი მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი არსებობს, რომელთა საბაზრო წილი 63,3 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც დაახლოებით მსოფლიო მობილური სატელეკომუნიკაციო ბაზრის 7.5%-ია. ყველაზე მეტი - 139 ვირტუალური ოპერატორი ამერიკის შეერთებულ შტატებშია. MVNO-ების რაოდენობით მეორე ადგილზე - 135 ვირტუალური ოპერატორით, გერმანიაა. მსოფლიოს 80-მდე ქვეყანას შორის, სატელეკომუნიკაციო სფეროში ყველაზე დიდი საბაზრო წილი აბონენტებით ვირტუალურ ოპერატორებს დანიაში უკავიათ.

არსებული პროგნოზებით, 2022 წლისთვის MVNO-ების რაოდენობა 18%-ით გაიზრდება და 260 მილიონიან სააბონენტო ბაზას მიაღწევს. 2025 წლისთვის კი შემოსავლები წლიურად საშუალოდ 7.3% გაიზრდება და 89,9 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

საინტერესოა მსოფლიო გამოცდილება და ტენდენცია, თუ როგორ ნაწილდება სატელეკომუნიკაციო ბაზარზე MVNO-ს წილი. მაგალითად, 2018-2019 წლის მონაცემებით, ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა დანია, ვირტუალური ოპერატორები 18 წელზე მეტია არსებობენ და 50-მდე MVNO-ს აბონენტებით ბაზრის 34%, ხოლო შემოსავლებით - 7% უკავია. გერმანიაში სულ 135 აქტიური ვირტუალური ოპერატორია, რომლებიც აბონენტების მიხედვით, ბაზრის მხოლოდ 20% ფლობენ, ხოლო შემოსავლებით - 28%-ს. ყველაზე მეტი MVNO ამერიკის შეერთებულ შტატებშია და მიუხედავად იმისა, რომ MVNO-ები 17 წელია ამერიკის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შევიდნენ, მათ ბაზრის მხოლოდ 4.7% დაიკავეს.

უმეტეს ქვეყანაში, სადაც ვირტუალური ოპერატორი არსებობს, შემუშავებული იყო შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო. მაგალითად, ნორვეგიაში დღესაც არსებობს აუცილებელი MVNO რეგულაცია, მათ შორის სატარიფო და კომერციულ საწყისებზე დაშვებისთვის დაწესებული ვალდებულებები. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩეხეთი, გერმანია და საფრანგეთი MVNO სავალდებულო დაშვება - სატელეკომუნიკაციო ლიცენზიის აუცილებელ პირობაში იყო გაწერილი, რამაც შესაძლებელი გახადა ამ ბაზრების ლიბერალიზაცია, ხოლო MVNO-ებს ქსელურ ოპერატორებთან კომერციული პირობებით კონტრაქტების დადების საშუალება მისცა. გასათავლისწინებელია ისიც, რომ ევროპის სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე სწორედ MVNO-ების სავალდებულო შესვლა გახდა წინაპირობა, რამაც ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს საშუალება მისცა დაეწყოთ საცალო მომსახურებების დე-რეგულაცია. ევროპის მარეგულირებლებმა სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაცია სწორედ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების სავალდებულო დაშვებით მოახერხეს.

ვირტუალური ოპერატორის სავალდებულო დაშვებასთან დაკავშირებით, ტელეკომ ოპერატორებმა ალტერნატიული კვლევები დაუკვეთეს და დასკვნები წარმოადგინეს. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და მსოფლიოს 20 წლიანი გამოცდილების საფუძველზე იქნა მიღებული, კომუნიკაციების კომისიამ დამატებით კვლევა საერთაშორისო კომპანია „იუაის“ (Ernst & Young) დაუკვეთა.

კომპანია „იუაის“ მიერ მომზადებული დასკვნა სატელეკომუნიკაციო ბაზრის სიღრმისეულ კვლევას ეყრდნობა და ითვალისწინებს კონკურენციის

მარეგულირებელ საერთაშორისო პრაქტიკას, ასევე მოიცავს MVNO-ს გავლენების ანალიზს როგორც საერთაშორისო, ისე ქართულ ბაზარზე, მათ შორის, პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით. დოკუმენტი ასახავს რეგულაციების შესაბამისობას ტელეკომუნიკაციისა და ფინანსურ სექტორებს შორის და მოიცავს MVNO-ს სავალდებულო დაშვების რეკომენდაციებს. ასევე, ასახავს ვირტუალური ოპერატორის დაშვების გადაწყვეტილების მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისობას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის საჭიროებებთან. დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ვირტუალური ოპერატორის დაშვების შედეგად სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ახალი მოცემულობის შეფასებას, მათ შორის, სხვა სექტორის მოთამაშეების შემოსვლის გავლენის ანალიზს. დასკვნა ადასტურებს, რომ ვირტუალური ოპერატორის შემოსვლა ქართულ სატელეკომუნიკაციო სექტორში, ახალი მოთამაშეების გაჩენას და სექტორში კონკურენციის წახალისებას გამოიწვევს, რაც მთლიანად სექტორისთვის, მათ შორის ქსელური ოპერატორებისთვის, პოზიტიურ შედეგს მოიტანს. საკონსულტაციო დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ არ გამოვლინდა MVNO-ს დაშვებასთან დაკავშირებული რისკები.

სატელეკომუნიკაციო სექტორის რეგულაციები, კანონქვემდებარე აქტები და გადაწყვეტილებები, ასევე კონკურენციის სამართლის ჩარჩო და სხვა სექტორული მარეგულირებლების კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები (როგორიცაა ეროვნული ბანკის რეგულირების სფერო) - ყველა ეს ინსტრუმენტი MVNO-ს სავალდებულო დაშვებამდეც განსაზღვრავდა ბაზარზე ახალი მოთამაშეების შემოსვლის და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის წესებს.

„იუაის“ დასკვნის მიხედვით, MVNO-ს არ გააჩნია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული რისკები, რადგან ახალ მოთამაშეებზე ვრცელდება იგივე რეგულაცია, რომელიც სავალდებულოა ქსელის ოპერატორებისთვის, ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემებით სარგებლობასთან დაკავშირებული დარღვევები MVNO-ების საქმიანობის შემთხვევაშიც მკაცრად რეგულირდება. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ დეტალურ რეკომენდაციას გასცემს საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირი (ITU). შესაბამისად, როგორც ქსელის ოპერატორი, ისე ვირტუალური ოპერატორი, ვალდებულია აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების სტანდარტებს და დაიცვას პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნები. კვლევაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოს მასშტაბით MVNO-ების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების დარღვევების სერიოზული შემთხვევები არ გამოვლენილა.

„იუაის“ დასკვნაში მკაფიოდაა მითითებული, რომ არსებობს ყველა მარეგულირებელი ჩარჩო - როგორც ფინანსური, ისე კონკურენციის სამართლის, რათა ბაზარზე სუბსიდირების რისკები აღიკვეთოს. შესაბამისად, პირდაპირი და ჯვარედინი რისკები რომ შესაძლოა ბანკები MVNO-ს შექმნით შევიდნენ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე და სუბსიდირება მოახდინონ, „იუაი“-ს დასკვნით, არსებული რეგულაციების მოქმედების შემთხვევაში არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ MVNO-ს დაშვება ბაზრის წილზე და მოცულობაზე ქსელურ ოპერატორებს საფრთხეს არ უქმნის, რადგან, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, MVNO-ები ბაზრის საშუალოდ 7%-ზე ნაკლებს იკავებენ და, შესაბამისად, ფინანსურად დამაზიანებელი სექტორისთვის არ იქნება.

„იუაის“ ფინანსური მოდელირების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 5%-დან 28%-მდე (მაქსიმუმი დაფიქსირებული ევროკავშირში) საბაზრო წილებით, MVNO-ს ექნება მინიმალური გავლენა MNO-ზე საქართველოში. დასკვნაში აღნიშნულია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის გათვალისწინებით, ტელეკომ სექტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული საფრთხე ყველაზე ნაკლებად ქსელის ოპერატორებს ემუქრება. რეკომენდაციის მიხედვით, ტელეკომ სექტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისიამ დეტალურად უნდა აკონტროლოს ბაზარი და საჭიროების შემთხვევაში, გადადგას დაუყოვნებელი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს MNO-ს ქსელის სტაბილური ფუნქციონირება. კომპანია „იუაის“ დასკვნა აჯამებს ბაზარზე არსებულ კონკურენციას და აღნიშნავს, რომ კონკურენციის გაჯანსაღებას სწორი რეგულაციები სჭირდება.

Bitstream რეგულირება

მობილური მომსახურების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნასთან ერთად, კომუნიკაციების კომისია ბოლო წლებში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ ბაზრის ლიბერალიზაციისთვისაც. კომუნიკაციების კომისიის მიზანია ქართული კანონმდებლობა სრულფასოვნად დაუახლოვდეს ევროპულს. ევროკავშირი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ბაზარზე Bitstream რეგულირებას სავალდებულოდ მიიჩნევს. საცალო ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესებისა და ქსელის საბითუმო ელემენტებზე დაშვების მიზნით, ქვეყანამ Bitstream რეგულირება უნდა დაიწყოს. კერძოდ, ფიქსირებულ ბაზარზე ვირტუალური ოპერატორების თავისუფალი დაშვება უნდა მოხდეს.

2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ დაასრულა საკონსულტაციო პროცესის პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავდა ინტერნეტის საბითუმო მომსახურებების, მათ შორის, Bitstream-ის საბითუმო მომსახურებების ბაზრის წინასწარ კვლევას.

აღნიშნული პროცესი კომუნიკაციების კომისიამ ჯერ კიდევ 2019 წელს დააინიცირა და საკონსულტაციო კომპანია Grant Thornton-თან ერთად, ჩაატარა კვლევა, რის შედეგადაც შეისწავლა როგორც ფიქსირებული ინტერნეტის საბითუმო ბაზრის სეგმენტი, ისე ქსელის ტოპოლოგია და დანახარჯების მოდელი.

კვლევას წინ უძღოდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაკვეთით საკონსულტაციო კომპანიების Grant Thornton-ისა და Analysys Mason-ის მიერ საქართველოში შემდგომი თაობის ქსელებთან დაშვების (NGA) შესახებ მომზადებული საკონსულტაციო დოკუმენტი, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა.

კვლევამ აჩვენა, რომ ტექნოლოგიური უპირატესობის და ინვესტიციების გაწევის თვალსაზრისით, ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზარი მაღალი სტრუქტურული ბარიერებით ხასიათდება. აღნიშნულ ბაზარზე შესვლა მაღალ საინვესტიციო ხარჯებთან და ქსელის მშენებლობის ხანგრძლივ პროცესთანაა დაკავშირებული. ეს მოცემულობა გამძაფრებულია იმ გარემოებით, რომ ინტერნეტის საბითუმო ბაზარზე Bitstream დაშვება არ ხორციელდება. შესაბამისად, აუცილებელია მოხდეს ინტერნეტის საბითუმო მომსახურებების, მათ შორის, ე.წ. Bitstream-ის სავალდებულო დაშვების ინიცირება. როგორც ცნობილია, აღნიშნული ბაზარი აუცილებელ რეგულირებას დაქვემდებარებული მომსახურების ბაზრების ჩამონათვალში რჩება ევროკომისიის ბოლო რეკომენდაციის შესაბამისად. კომუნიკაციების კომისია აქტიურად აგრძელებს ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე კონკურენციის შესწავლას და ანალიზის საფუძველზე, მარეგულირებელ ჩარჩოს განსაზღვრავს.

M2M და IoT მომსახურებების განვითარება

ფართოზოლოვანი ინტერნეტისა და 5G ტექნოლოგიის განვითარების შედეგად, მსოფლიოში M2M და IoT მომსახურებების განვითარების მზარდი ტენდენცია უფრო და უფრო ნათელი ხდება.

M2M (Machine-to-Machine – მოწყობილობებს შორის კავშირი) ეს არის მომსახურება, რომელიც ავტომატურ რეჟიმში, ან ადამიანის მინიმალური ჩარევით, ახდენს მონაცემთა გადაცემას და კავშირს მოწყობილობებს, პროგრამულ აპლიკაციებს, ან მოწყობილობებსა და აპლიკაციებს შორის.

IoT (Internet of Things – საგანთა ინტერნეტი) არის ინფრასტრუქტურა, რომელიც უნიკალური იდენტიფიკატორის მქონე სხვადასხვა მოწყობილობებსა და სისტემებს აკავშირებს ერთმანეთთან, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემას და დამუშავებას.

უკვე წლებია მსოფლიო მასშტაბით ტექნოლოგიურად მოწინავე ქვეყნები, აღნიშნული მომსახურებების განვითარებისთვის, ცალკე ნუმერაციის რესურსს გამოყოფენ, რაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს M2M და IoT მომსახურებებზე მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ბაზრის განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისთვის ნუმერაციის რესურსის ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს. 2020 წელს ძალაში შევიდა კომუნიკაციების კომისიის დადგენილება, რომლის მიხედვითაც M2M/IoT მომსახურებების ნუმერაციის რესურსად - 708xxxxxx – 729xxxxxx განისაზღვრა, ხოლო საბონენტო ნომრისთვის ტარიფი - 0,25 ლარი დადგინდა. ავტორიზებულ პირებს მიეცათ ვადა და მათ 2020 წლის 1 თებერვლიდან მომხმარებლებზე M2M/IoT მომსახურებებზე ახალი ნუმერაციის გაცემა დაიწყეს.

გამომდინარე იქიდან, რომ M2M/IoT მომსახურებები თვისობრივად განსხვავდება ტრადიციული მობილური მომსახურებებისგან და ასევე, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მკვეთრად იზრდება მოთხოვნა ამ მომსახურებებზე, მოსალოდნელი შედეგების შესაფასებლად, მნიშვნელოვანია მოხდეს მათი ტრადიციული მომსახურებებისგან დამოუკიდებელი მონიტორინგი და ანალიზი. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ M2M/IoT მომსახურებებისთვის ნუმერაციის ცალკე რესურსის გამოყოფის გადაწყვეტილება, არსებული მდგომარეობის გაანალიზებისა და ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე მიიღო. აღნიშნული ცვლილება ავტორიზებულ პირებს მისცემს საშუალებას, ეფექტურად აღრიცხონ M2M/IoT მომსახურებების შესახებ მონაცემები, შეიმუშაონ მათზე მორგებული სატარიფო გეგმები, ხოლო კომუნიკაციების კომისიას ექნება შესაძლებლობა, მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია, გააანალიზოს, შეაფასოს მისი განვითარების თავისებურებები და ხელი შეუწყოს ბაზრის ამ სეგმენტზე კონკურენციის, თანამედროვე ტექნოლოგიური მიმართულებებისა და ინოვაციური მომსახურებების დანერგვას.

სატარიფო პოლიტიკა

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და სატარიფო ხელმისაწვდომობის შენარჩუნების მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო - „მაგთიკომი“, „სილქნეტი“ და „ვიონი საქართველო“ (ბრენდული სახელი „ბილაინი“) მობილურ მომსახურებებზე ტარიფებს კომუნიკაციების კომისიის თანხმობის გარეშე ვეღარ გააძვირებენ.

კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული ახალი რეგულაცია მობილურ ხმოვან და ინტერნეტ მომსახურებებს, ასევე მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (SMS) ეხება. კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება უზრუნველყოფს, რომ კომპანიებმა მომხმარებლებს არაგონივრულად მაღალი ფასები ვერ დაუწესონ, ასევე შეინარჩუნონ უკვე არსებული, ხელმისაწვდომი პირობები.

კომუნიკაციების კომისიამ აღნიშნული გადაწყვეტილება მობილური ქსელით საცალო მომსახურებების ბაზარზე არსებული კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგად მიიღო. კვლევის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ შეისწავლა „მაგთიკომის“, „სილქნეტის“ და „ბილაინის“ საცალო ბაზრის სეგმენტზე არსებული შეთავაზებები და მობილური მომსახურებების ბაზარზე აბონენტების საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის დეტალური ანალიზი ჩაატარა. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულ ბაზარზე არსებული შეთავაზებები, განსაკუთრებით ხმოვანი მომსახურებების ნაწილში, არასაკმარისად დივერსიფიცირებულია აბონენტების მოთხოვნილების საპასუხოდ. შესაბამისად, აბონენტი ხშირად იძულებულია შეიძინოს მომსახურების კომბინირებული პაკეტი ისე, რომ ამ პაკეტის სრულ რესურსს არ იყენებდეს.

კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან, სატარიფო შეთავაზებების ნაწილში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ფასების გაზრდის მცდელობა. კომუნიკაციების კომისიის მოწოდების შემდეგ, კომპანია „მაგთიკომისგან“ განსხვავებით, კომპანია „სილქნეტმა“ პროცესი შეაჩერა. მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ მყისიერად დაიწყო მობილური ბაზრის კვლევა და „მაგთიკომს“ კვლევის დასრულებამდე ტარიფების ცვლილების პროცესის შეჩერების ვალდებულება დააკისრა.

კომუნიკაციების კომისიამ საცალო სეგმენტზე არსებული შეთავაზებების პირობები შეისწავლა და აბონენტების ქცევისა და მოთხოვნების დეტალური ანალიზი ჩაატარა. კვლევამ აჩვენა, რომ „მარტივი 25“ „მაგთიკომის“ ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პაკეტია, რომელსაც აბონენტები ძირითადად, ულიმიტო ხმოვანი მომსახურებებისთვის იყენებენ, ხოლო ამ პაკეტით შეთავაზებული ინტერნეტის მოცულობა მომხმარებლებისთვის საკმარისი არ არის და მათ დამატებით პაკეტების შეძენა უწევთ. შესაბამისად, “მაგთიკომის“ მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ახალი 30 ლარიანი პაკეტი, რომელიც კომპანიის მიერ, დაანონსდა, როგორც „მარტივი 25“-ის გაუმჯობესებული ვერსია, სინამდვილეში მომსახურების გაძვირება იყო, რადგან აბონენტებს დამატებითი ინტერნეტ მომსახურების შეძენა მაინც უწევდათ და ფაქტობრივად, იმავე ხმოვანი მომსახურებებისთვის გაზრდილ საფასურს გადაიხდიდნენ. შესაბამისად დადგინდა, რომ „მაგთიკომის“ მიერ დაანონსებული ყველაზე მოთხოვნადი შეთავაზების - „მარტივი 25“-ის გაუქმება და „მარტივი 30“-ის შემოღება, ცალსახად იწვევდა აბონენტებისთვის მომსახურების გაძვირებას და არჩევანის შეზღუდვას. ორივე შეთავაზების პირობებში, მომხმარებელში 30 ლარიანი პაკეტი პოპულარობით არ სარგებლობდა და უპირატესობას მაინც 25 ლარიან პაკეტს ანიჭებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „მარტივი 25“-ის გაუქმება აბონენტების დიდი ნაწილისთვის ბაზარზე არსებული მომსახურებების არჩევანის შეზღუდვას და მომსახურების გაძვირებას გულისხმობდა.

კვლევის დასრულების შედეგად, კომუნიკაციების კომისიამ კომპანია „მაგთიკომს“ აღნიშნული პაკეტის ძალაში დატოვების ვალდებულება განუსაზღვრა.

კორპორატიული სამომხმარებლო სეგმენტის კვლევა

მობილური და ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, 2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებისა და ფუნქციების ფარგლებში, კორპორატიული სეგმენტის კვლევა დაიწყო და ამ სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მიერ შეთავაზებული მომსახურებების პირობები შეისწავლა.

კორპორატიული სეგმენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ფიზიკური პირი აბონენტების სეგმენტისგან, როგორც საჭიროებების, ისე მოთხოვნების მიხედვით. შესაბამისად, აუცილებელი გახდა, ბაზარზე კორპორატიული კლიენტებისთვის შეთავაზებული მომსახურებების კანონმდებლობითა და კომუნიკაციების კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან შესაბამისობის შესწავლა. კორპორატიული სეგმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისია კვლევის ფარგლებში სწავლობს მომხმარებლისთვის შემუშავებული და შეთავაზებული ყველა პირობის ერთობლიობას, მათ შორის: მომსახურების სახეს, მოცულობას, ხარისხობრივ პარამეტრებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფასს. კომუნიკაციების კომისია კვლევის შედეგებს 2021 წელს გამოაქვეყნებს და საზოგადოებას ბაზარზე არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის ხედვას წარუდგენს.

Bulk შეტყობინებების ბაზრის რეგულირება

არასტანდარტული სახის ე.წ. Bulk SMS-ებით მომსახურების საბითუმო ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესებისა და მცირე და საშუალო ოპერატორების ინტერესების დაცვის მიზნით, 2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო.

აღნიშნულ სეგმენტზე ჩატარებული კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგად, კომუნიკაციების კომისიამ არასტანდარტული სახის შეტყობინებებთან დაკავშირებული პირობები განსაზღვრა, მათ შორის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ოპერატორებად კომპანიები: „მაგთიკომი“, „სილქნეტი“ და „ბილაინი“ დაადგინა, რომლებსაც მცირე და საშუალო ოპერატორებისთვის მომსახურების არადისკრიმინაციული პირობებით დაშვების ვალდებულება განესაზღვრათ, მათ შორის, მომსახურების ხელმისაწვდომობის, ხარისხის, ტარიფებისა და მიწოდების ვადების მიმართულებით.
კომუნიკაციების კომისიის აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო, კომპანია ,,გლობალ სელის“ მოთხოვნა „მაგთიკომის“, „სილქნეტისა“ და ,,ბილაინის“ მიერ მისთვის შეთავაზებული Bulk sms-ის მომსახურების შესახებ სახელშეკრულებო პირობების გონივრულობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის შესწავლა.
კომუნიკაციების კომისიამ კვლევის შედეგად, საბითუმო რეგულაცია შემოიღო და არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინებების მომსახურების საფასურის განსაზღვრის არადისკრიმინაციული წესი დაადგინა, რაც მცირე ოპერატორებს A2P ტიპის SMS მომსახურების კონკურენტულ ფასად შეძენის შესაძლებლობას აძლევს.

მობილური კომუნიკაციების ხარისხის კონტროლი

მობილური მომსახურების ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის გაძლიერებისა და მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ 2020 წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მობილური სერვისების მონიტორინგი დაიწყო.

მონიტორინგი საერთაშორისო პრაქტიკისა და რეკომენდაციებით განსაზღვრული სპეციალური პარამეტრების მიხედვით ტარდება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ოპერატორის GSM/UMTS/LTE ქსელების პარალელურ რეჟიმში შემოწმებას ითვალისწინებს. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა მიიღოს დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, კონკრეტული ოპერატორის მომსახურების ხარისხის, ქსელის დაფარვის გეოგრაფიული არეალის, განხორციელებული ხმოვანი ზარების შესახებ. მონიტორინგი ასევე, ადგენს მონაცემების გადაცემის სიჩქარეს და ინტერფერენციის დონეებს.
2020 წლის განმავლობაში კომუნიკაციების კომისიამ საქართველოს ცხრავე რეგიონში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ჩაატარა მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ხარისხის კვლევა. კვლევების საფუძველზე მომზადდა 20 ანგარიში, რომელიც კომუნიკაციების კომისიის ვებ გვერდზეა გამოქვეყნებული.
საზოგადოების ინფორმირებულობისთვის კომუნიკაციების კომისია მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებს სოციალურ პლატფორმებზე აქვეყნებს, რაც ბაზარზე არსებული ტენდენციებისა და მომსახურებების ხარისხის ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, მონიტორინგის შედეგები ეხმარება კომპანიებს შეაფასონ ბაზარზე არსებული სურათი და ამის მიხედვით გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი, ხოლო მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი.

COVID-19-ის გავლენა სატელეკომუნიკაციო სფეროზე

2020 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გლობალური პანდემია ოფიციალურად გამოაცხადა. COVID-19-ით გამოწვეულმა რეალობამ, სხვა სფეროებთან ერთად, სატელეკომუნიკაციო ბაზარსა და აბონენტების ქცევაზეც მოახდინა გავლენა. მსოფლიოს მასშტაბით დაწესებულმა შეზღუდვებმა, სხვა ინდუსტრიებთან შედარებით, ტელეკომ ბიზნესი ნაკლებად დააზარალა, რაც იზოლაციის პირობებში დისტანციური მუშაობით გამოწვეულმა სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა.

პანდემიის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა როგორც ფიქსირებულ და მობილურ ინტერნეტზე, ასევე ხმოვან და სატელევიზიო მომსახურებაზე.

პანდემიის ნეგატიური ეფექტი ყველა ინდუსტრიას დაეტყო, სატელეკომუნიკაციო კომპანიებმა, როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში, შემოსავლების კლება აჩვენეს, თუმცა სატელეკომუნიკაციო ბაზარი ეკონომიკური კრიზისის პირობებში სხვა ინდუსტრიებზე მდგრადი აღმოჩნდა.

უფრო დეტალურად, მიუხედავად მთლიანი ტრაფიკის მკვეთრი ზრდისა, მსოფლიო მასშტაბით ზრდას ადგილი არ ჰქონია კომპანიების შემოსავლებში, განსაკუთრებით კი მობილური მომსახურებების ნაწილში.

ფიქსირებულ ინტერნეტზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, მოგზაურობებისა და ფრენის შეზღუდვებიდან გამომდინარე, შემცირდა როუმინგული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის დროს, როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოში სატელეკომუნიკაციო კომპანიები გადამწყვეტ ფუნქციას ასრულებდნენ. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ტელეკომ სფერო უზრუნველყოფდა დისტანციურად მუშაობის, სწავლის და ყველა სხვა მომსახურების გამართულ და შეუფერხებელ მიღებას. ქართულმა სატელეკომუნიკაციო ბაზარმა, მომხმარებლების მხარდაჭერის მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, კერძოდ, კომპანიებმა მომხმარებლებს უწყვეტი კომუნიკაციის მიზნით, ხელმისაწვდომ ფასად ულიმიტო პაკეტები შესთავაზეს. ტელეკომ ოპერატორებმა განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობის საფუძველზე, მასწავლებლებს, მოსწავლეებს და სტუდენტებს დისტანციური სწავლისთვის 20 მბ ინტერნეტი სპეციალურ ფასად - 10 ლარად შესთავაზეს. ამას გარდა, სატელეკომუნიკაციო კომპანიებმა გამოავლინეს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილ ფონდში სოლიდური თანხები ჩარიცხეს. გარდა ამისა, Stopcov ფონდში კომუნიკაციების კომისიამ და აპარატის თანამშრომლებმა ერთად 600 ათას ლარზე მეტი შეიტანეს.

პანდემიის პირობებში საინტერესო დინამიკა დაფიქსირდა ტრაფიკის გადანაწილების კუთხით. იზოლაციის პირველი კვირის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით 10%-დან 70%-მდე გაიზარდა ტრაფიკი, ასევე შეიცვალა ტრადიციული სურათი და ნაცვლად საღამოს საათებში გაზრდილი მოხმარებისა, დღის განმავლობაშიც არსებული ტრაფიკი თითქმის გაუტოლდა საღამოს მონაცემებს.

რაც შეეხება საქართველოს, მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდა 2020 წლის განმავლობაში 119% იყო, ხოლო ფიქსირებული ინტერნეტის მოხმარება 35%-ით გაიზარდა.
კოვიდ-19-ის პირობებში, მსოფლიო მასშტაბით, სატელეკომუნიკაციო სერვისებში შემოსავლების მიხედვით, ყველაზე დიდი ვარდნა ფიზიკური პირი აბონენტების მომსახურების სეგმენტზე მოდის. წინა წელთან შედარებით, როდესაც შემოსავლების დაგეგმილი ზრდა 13,9 მილიარდი აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო, პანდემიის პირობებში 11,3-14,8 მილიარდი აშშ დოლარით კლებაზე შეიცვალა.

რაც შეეხება ქართულ სატელეკომუნიკაციო ბაზარს, პანდემიით გამოწვეული შემოსავლების კლების ტენდენცია ქართულ ბაზარზეც აისახა, კერძოდ, მობილური მომსახურებების ნაწილში 2%-მდე შემოსავლების კლებას ჰქონდა ადგილი, ხოლო ფიქსირებულ ბაზარზე - 5%-მდე კლებას.

უფრო დეტალურად, საქართველოში პანდემიის დასაწყისში მობილური ხმოვანი მომსახურების ტრაფიკი, მობილური და ფიქსირებული ინტერნეტ[1] ტრაფიკები 2020 წლის მარტში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რეკორდულად გაიზარდა, რაც გამოცხადებულმა შეზღუდვებმა, ე.წ „ლოქდაუნმა“ განაპირობა. საგანგებო მდგომარეობა 23 მაისს გაუქმდა, რის შედეგადაც ზაფხულის პერიოდში ივნისი-აგვისტოს თვეებში მობილური ხმოვანი მომსახურების ტრაფიკი ჩვეულ ნიშნულს დაუბრუნდა. ხოლო სექტემბრის თვიდან ტრაფიკი კვლავ გაიზარდა როგორც მობილურ ხმოვან, ისე მობილურ და ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურებებზე. აღნიშნული მატება დაწესებულმა წერტილოვანმა შეზღუდვებმა, ასევე, სკოლებისა და უნივერსიტეტების სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში გადასვლამ გამოიწვია.

მობილური მომსახურების ხმოვანი ტრაფიკი (მლნ წუთი)



	იან	თებ	მარ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოემ	დეკ
2018	785	735	829	799	853	844	877	870	832	843	787	827
2019	790	734	815	802	864	844	873	861	833	867	801	833
2020	776	759	877	803	828	851	878	854	864	890	889	912

მობილური მომსახურების ინტერნეტ ტრაფიკი (ტბ)



	იან	თებ	მარ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოემ	დეკ
2018	6,374	5,367	4,739	4,433	4,623	4,851	5,740	6,413	5,379	5,310	5,244	5,524
2019	5,653	5,129	5,814	5,847	6,293	6,790	8,408	9,550	8,288	8,515	8,223	9,238
2020	10,872	10,503	13,031	15,671	15,720	14,556	17,195	19,672	17,363	18,280	19,118	20,356

[1]ფიქსირებული ინტერნეტის ტრაფიკში აღებულია ხუთი დიდი კომპანიის ტრაფიკი („მაგთიკომი“, „სილქნეტი“ და „ახალი ქსელების ჯგუფი“

ფიქსირებული მომსახურების ინტერნეტ ტრაფიკი (ტბ)



	იან	თებ	მარ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოემ	დეკ
2018	110,674	109,184	118,150	110,508	110,442	109,096	106,698	103,296	110,088	115,484	116,655	122,936
2019	157,397	151,277	167,935	160,154	163,591	159,896	160,074	153,348	163,619	169,215	173,391	185,293
2020	199,558	186,264	236,904	230,666	220,997	195,746	204,539	199,567	217,980	239,182	254,174	272,090

ინტერნეტ ტრაფიკი, 2020 წელი (ტბ)



	იან	თებ	მარ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოემ	დეკ
ფიქსირებული	199,55	186,26	236,90	230,66	220,99	195,74	204,53	199,56	217,98	239,18	254,17	272,09
მობილური	10,872	10,503	13,031	15,671	15,720	14,556	17,195	19,672	17,363	18,280	19,118	20,356

COVID პანდემიით გამოწვეული სირთულეები სატელევიზიო მედიასაც მნიშვნელოვნად შეეხო. როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოში პანდემიის პირობებში მოქალაქეების ინფორმირებულობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სატელევიზიო მედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის ფონზე, რომ მასშტაბურად ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია კორონა ვირუსთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მედიის წარმომადგენლები უწყვეტ რეჟიმში, ხშირ შემთხვევაში საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად, აწვდიდნენ საზოგადოებას ინფორმაციას, როგორც მსოფლიოში არსებული ვითარების, ისე ახალი რეგულაციების, რეკომენდაციებისა და წესების შესახებ.
პანდემიის გავლენა აისახა სატელევიზიო მედიის სარეკლამო შემოსავლებზეც. 2020 წლის კომერციულმა სარეკლამო შემოსავალმა, გასულ წელთან შედარებით, 9%-ით ნაკლები შეადგინა, საიდანაც დიდი ნაწილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სარეკლამო შემოსავლების კლებამ განაპირობა. პანდემიის დასაწყისში კომუნიკაციების კომისიამ სარეკლამო შემოსავლების პროგნოზი გააკეთა, რომლის მიხედვითაც პანდემიით გამოწვეულ შემოსავლების კლებას, პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული შემოსავლები დააბალანსებდა. პროგნოზი დადასტურდა და მაუწყებლებმა 2020 წელს, რომელიც საარჩევნო წელი იყო, პოლიტიკური რეკლამის ხარჯზე ჯამურად 11%-იანი ზრდა მიიღეს.



2020 წელს ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი 1,153 მლნ ლარია, საიდანაც საცალო შემოსავალმა 961 მლნ ლარი შეადგინა.
ბოლო 5 წლის განმავლობაში, საცალო შემოსავლის წლიური ზრდა[2] 4%-ია.

[2]წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)



2020 წელს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში სულ 295 მოქმედი[3] პირი დაფიქსირდა. დარგში 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 3-მა პირმა მიიღო (A კატეგორიის[4] კომპანიები) და მათ მიერ მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა მთლიანი შემოსავლის 84% შეადგინა. იმ პირების ჯამური შემოსავალი კი, რომლებმაც 2020 წელს 100,000 ლარზე ნაკლები შემოსავალი მიიღო (E კატეგორიის 177 პირი) 1%-ია. ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ერთმა პირმა C კატეგორიიდან B კატეგორიაში გადაინაცვლა, კერძოდ შპს „სქაიტელმა“, რომლის შემოსავალმა 10 მლნ ლარს გადააჭარბა.

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა რაოდენობა სეგმენტების მიხედვით



ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა შემოსავლის განაწილება სეგმენტების მიხედვით



[3]მოქმედად განიხილება პირი, რომელსაც წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციებიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა
[4]ტრადიციულად განიხილება შემდეგი კატეგორიები:

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები

მობილური კომუნიკაციები[5]

აღნიშნული მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ ერთ მომხმარებელს ერთზე მეტი მობილური ნომერი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელმა ზუსტად იცის ბაზარზე არსებული ტარიფები და, საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა მომსახურებაზე მისთვის ხელსაყრელ ქსელს იყენებს.

საქართველოში მობილური მომსახურების ბაზარზე პენეტრაცია მაღალია და

148%-ს შეადგენს[6]

მობილური აბონენტების[7] რაოდენობამ 2020 წლის ბოლოს

5.1 მლნ შეადგინა

[5]მონაცემები აღებულია 2021 წლის 2 აპრილის მდგომარეობით.
[6]საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს 5 წლის ასაკიდან პირებს.
[7]აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან გაწეულია რაიმე სახის მობილური მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩაუთვლელად)

სააბონენტო სიმკვრივე

2016 **160%**

2017 **159%**

2018 **158%**

2019 **156%**

2020 **148%**



აბონენტების რაოდენობა (მლნ)

2016 **5.52**

2017 **5.50**

2018 **5.46**

2019 **5.38**

2020 **5.10**[8]

[8]კლების მიზეზი, ძირითადად, ფიზიკური პირი აბონენტების შემცირებაა. ასევე, შემცირებულია როუმინგის აბონენტების რაოდენობა და ისეთი აბონენტების რაოდენობაც, ვინც ერთზე მეტ SIM ბარათს მოიხმარს. ამას გარდა, სს "სილქნეტმა" განაახლა საბილინგო სისტემა

2020 წლის ბოლო კვარტალში იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობამ მთლიანი აბონენტების 25% შეადგინა, რაც ჯამურად 1,3 მილიონია.

აბონენტების რაოდენობა ტიპების მიხედვით (მლნ)



ფიზიკური
იურიდიული

აბონენტების განაწილება



ფიზიკური
იურიდიული



ბაზრის წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით



[9]2018 წლის ბოლოს განხორციელდა "სილქნეტისა" და „ჯეოსელის" შერწყმა



2020 წელს, მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 490 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2019 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 1.9%-ით - 9 მლნ ლარით ნაკლებია. საცალო შემოსავლებში შპს „მაგთიკომის“ საბაზრო წილი 45%, სს „სილქნეტის“ -36%, ხოლო შპს „ვიონი საქართველოს“ - 18%-ია. 2019 წელთან შედარებით, შემოსავლების საბაზრო წილი გაზრდილი აქვს სს „სილქნეტს“ (0.6% ზრდა).

ბაზრის წილი საცალო შემოსავლების მიხედვით[10]





2020 წელს მობილური შემოსავლების 73% ფიზიკურმა პირებმა დააგენერირეს, ხოლო 27% -იურიდიულმა პირებმა. იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლები კვლავ მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

[10]დამრგვალების გამო, შესაძლებელია მონაცემები 100%-მდე არ ჯამდებოდეს

მობილური შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში

2020 წელს საქართველოში მობილური შემოსავლების ზრდის განაკვეთი მშპ ზრდის[11] განაკვეთთან მიმართებაში, შემცირდა.



ARPU[12]

2020 წლის მონაცემების მიხედვით, თვის განმავლობაში ერთი აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა (დღგ-ს გარეშე) 8.6[13] ლარი შეადგინა.



[11]მონაცემთა წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2020 წლის წინასწარი მონაცემებით
[12]ARPU – Average Revenue per User, საშუალოდ ერთი აბონენტისგან მიღებული შემოსავალი
[13]2020 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით

2020 წლის ყოველთვიური საშუალო ARPU



	იან	თებ	მარ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოემ	დეკ
საშუალო ARPU	8.3	7.8	8.2	7.2	7.7	8.3	9.0	9.2	8.9	9.1	8.6	8.6
მაგთიკომი	9.4	8.7	9.2	8.2	8.8	9.4	10.1	10.5	10.1	10.3	9.7	9.8
სილქნეტი	8.5	8.2	8.8	7.4	8.1	8.9	9.7	9.9	9.5	9.8	9.0	9.2
ვიონი საქართველო	6.0	5.6	5.9	5.1	5.6	5.8	6.4	6.3	6.2	6.2	6.0	6.1

ოპერატორების ჭრილში 2020 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ARPU-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შპს „მაგთიკომს“ აქვს, შემდეგ - სს „სილქნეტს“, ხოლო მობილურ კავშირზე ყველაზე მცირე თანხას შპს „ვიონი საქართველოს“ აბონენტები ხარჯავენ. ამასთან, შპს „მაგთიკომის“ და შემდეგ სს „სილქნეტის“ მაჩვენებელი წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო შპს „ვიონი საქართველოსი“ - შემცირებული.



2020 წელს იურიდიული პირი აბონენტების ARPU[14]-ს მაჩვენებელი გაზრდილია და აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებელს, რაც 2018 წელს ფასწარმოქმნის რეგულირების გამკაცრებასთან და ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსწორების შედეგია.



2020 წლის ARPU აბონენტების ტიპების მიხედვით



	იან	თებ	მარ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოემ	დეკ
● ფიზიკური	8.1	7.6	8.0	6.9	7.6	8.2	9.0	9.2	8.9	9.0	8.5	8.6
● იურიდიული	8.8	8.4	8.8	7.9	8.3	8.6	9.1	9.2	9.0	9.2	8.7	8.9

[14]IV კვარტლის საშუალო ARPU

ხმოვანი ტრაფიკი და MOU

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს ჯამური გამავალი ხმოვანი ტრაფიკი 2.7%-ით გაიზარდა და 10.2 მლრდ წუთი შეადგინა. გაზრდილია MOU[15] მაჩვენებელიც. 2020 წლის საშუალო MOU[16]-მ 184 წუთი შეადგინა.

საშუალო MOU

2016	174
2017	161
2018	167
2019	167
2020	184

ხმოვანი ტრაფიკი (მლრდ წუთი)

2016	10.28
2017	9.62
2018	9.88
2019	9.92
2020	10.18



ხმოვანი ტრაფიკი (მლრდ წუთი)

203	ბიეინი
184	სილქნეტი SILKNET
173	მაგთი MAGTI

მობილური ოპერატორების ჭრილში, 2020 წლის IV კვარტლის MOU-ს მონაცემები განსხვავებულია. საშუალოდ თვეში ყველაზე მეტს შპს „ვიონი საქართველოს“ აბონენტები საუბრობენ, რაც კომპანიის მიერ შეთავაზებული შედარებით დაბალი ტარიფებითაა გამოწვეული, შემდეგ სს „სილქნეტის“ მომხმარებლები, ხოლო ყველაზე ცოტას - შპს „მაგთიკომის“ აბონენტები საუბრობენ.

[15]MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა.
[16]IV კვარტლის საშუალო

მობილური ინტერნეტი

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ყოველ წელს მნიშვნელოვნად იზრდება. 2016 წლიდან 2020 წლის ბოლომდე საშუალოდ მობილური ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის წლიურმა ზრდამ 7.1%[17] შეადგინა.
2020 წლის ბოლოსთვის, ინტერნეტ მომსახურებით მობილური ქსელის აბონენტების უკვე 3.3 მლნ სარგებლობს.

სწრაფი ტემპით იზრდება მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა, რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განპირობებული:

- საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო იზრდება მობილური ინტერნეტ ტექნოლოგიების მოხმარება, რაც მოსახლეობაში ციფრული უნარ-ჩვევების განვითარებითაა გამოწვეული. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდა თაობში;
- გაზრდილია მოთხოვნილება ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის წვდომაზე;
- დინამიკაში მუდმივად იცვლება მობილური მომხმარებლის ქცევა სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მოხმარების კუთხით;
- სულ უფრო მეტი მომსახურება გადადის ონლაინ/ციფრულ სივრცეში, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოხმარების ზრდას.

[17]წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)



მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სიმკვრივის მაჩვენებელი საქართველოს მოსახლეობასთან[18] მიმართებაში კიდევ უფრო მაღალია და 2020 წლის ბოლოსთვის 94% შეადგინა.

- მობილური ინტერნეტის მომხმარებლები
- სიმკვრივე მოსახლეობაში
- სიმკვრივე მობილურ აბონენტებში

2020 წლის ბოლოსთვის ყველაზე მეტი მობილური ინტერნეტ მომხმარებელი სს „სილქნეტს“ ჰყავდა

	2016	2017	2018	2019
მაგთიკომი 1.08 მლნ	**0.93**	**0.98**	**0.98**	**1.01**
სილქნეტი 1.17 მლნ	**1.04**	**0.93**	**1.14**	**1.19**
ბილაინი 1.00 მლნ	**0.50**	**0.69**	**0.84**	**0.99**

[18]საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს 5 წლის ასაკიდან პირებს

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კომპანიების მიხედვით



თუმცა, კომპანიების ჭრილში, აბონენტთა საერთო რაოდენობაში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების წილის მაჩვენებლები განსხვავებულია. პირველ ადგილზე არის შპს „ვიონი საქართველო“, მობილურ ინტერნეტს კომპანიის აბონენტების **75%** მოიხმარს. ასეთი მაღალი მაჩვენებელი მობილურ ინტერნეტზე შეთავაზებული ტარიფებით და მომხმარებელთა სეგმენტითაა განპირობებული. ამავე მონაცემებით, მეორე ადგილს **69%**-ით სს „სილქნეტი“, ხოლო მესამე ადგილს შპს „მაგთიკომი“ - **52%**-ით იკავებს.

2020 წელს მობილური ინტერნეტ ტრაფიკი რეკორდულად მზარდია. მობილური მომსახურების აბონენტებმა 188 პეტაბაიტამდე მობილური ინტერნეტი მოიხმარეს. ეს მოცემულობა განპირობებულია როგორც მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის, ასევე, ბაზარზე ახალი თაობის ტელეფონების რაოდენობის ზრდით, 4G ქსელისა და მომსახურების განვითარებით, რასაც დაემატა ინტერნეტზე გაზრდილი მოთხოვნა პანდემიიდან გამომდინარე.

2016 წლიდან 2020 წლის ბოლომდე მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის საშუალო წლიური ზრდა 56%[19] -ს შეადგენს.



[19]წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)

2020 წელს ყველაზე დიდი რაოდენობის ინტერნეტი შპს „მაგთიკომის“ აბონენტებმა მოიხმარეს. საშუალო ყოველთვიური მოხმარება 7.0 გბ-ს შეადგენს, რაც წინა წელთან შედარებით 107%-ით მეტია. 2020 წლის IV კვარტლის მონაცემებით, შპს „მაგთიკომის“ აბონენტები ყველაზე მეტ ინტერნეტს -11.2[20] გბ-ს მოიხმარენ. სს „სილქნეტის“ აბონენტები ყოველთვიურად - 5.3 გბ ინტერნეტს მოიხმარენ, ხოლო შპს „ვიონი საქართველოს“ აბონენტები - 4.6 გბ-ს იყენებენ.

მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება (გბ)



მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება კომპანიების მიხედვით (გბ)

[20]IV კვარტლის მონაცემებით, შპს „მაგთიკომის“ მობილური მომსახურების აბონენტები მთლიანი მობილური ინტერნეტ მომხმარებლების 33% -ს შეადგენს, ხოლო 2020 წელს გენერირებული მობილური ინტერენტ ტრაფიკის მიხედვით, შპს „მაგთიკომის“ აბონენტები მთლიანი ინტერნეტ ტრაფიკის 48% -ს აგენერირებენ

4G ტექნოლოგიის დანერგვასთან ერთად, იკლებს 2G და 3G ტექნოლოგიებით მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის რაოდენობა. 2020 წელს მთლიანი მობილური ინტერნეტ ტრაფიკის 85% უკვე 4G ტექნოლოგიაზე მოდის.



4G ტრაფიკის წილი ჯამურ მობილურ ტრაფიკში

4G ტექნოლოგიით მობილური ინტერნეტის მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შპს „ვიონი საქართველოს“ აქვს, შემდეგ შპს „მაგთიკომს“ და ბოლოს - სს „სილქნეტს“.

სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერი

2020 წლის ბოლოსთვის, სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აქტიური აბონენტების რაოდენობამ 286 ათასი შეადგინა, რაც ჯამური იურიდიული პირი აბონენტების 23%-ია.

იურიდიული პირი აბონენტები (ათასი)





იურიდიული პირი აბონენტების განაწილება

● სხვა იურიდიული ● კონსოლიდირებული

2020 წელს იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებულ ჯამურ - 130 მლნ ლარის შემოსავალში, 37 მლნ ლარი კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტებისგან იყო მიღებული.

შემოსავალი იურიდიული პირი აბონენტებისგან (მლნ ლარი)



კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების ყოველთვიური ARPU საშუალოდ 2.5 ლარით აღემატება სხვა იურიდიული პირი აბონენტების ARPU[21]-ს. 2.1 ლარი სხვაობა არის კონსოლიდირებულის აბონენტების და ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებლებს შორის.





2020 წლის ბოლოსთვის, კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტების 67% მოიხმარს მობილურ ინტერნეტს, სხვა იურიდიული პირი აბონენტებისთვის, ეს მაჩვენებელი ანალოგიურად 67%-ს შეადგენს. ფიზიკურ პირ აბონენტებში მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კი 55%-ია.

[21] IV კვარტლის საშუალი ARPU

კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტები მეტი ოდენობით მობილურ ინტერნეტს მოიხმარენ სხვა კორპორატიულ პირებთან შედარებით. ბოლო წლების განმავლობაში პირველად, ერთი ფიზიკური პირი აბონენტის მიერ თვეში ინტერნეტის საშუალო მოხმარებამ გაუსწრო როგორც იურიდიული, ისე კონსოლიდირებული ტენდერის ერთი აბონენტის საშუალო მოხმარებას.



კონსოლიდირებულის აბონენტები, ასევე, ყველაზე მეტს საუბრობენ. 2020 წელს ისინი მობილურზე საუბარს თვეში საშუალოდ 343 წუთს[22] უთმობდნენ. სხვა იურიდიული პირი აბონენტები - 203 წუთს, ხოლო ფიზიკური პირი აბონენტები - 167 წუთს საუბრობდნენ.



[22] IV კვარტლის საშუალო

როუმინგი

გასული როუმერების რაოდენობა (ათასი)



როუმინგის მომსახურების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სეზონზე. ზოგადად, ყველაზე მეტი მომხმარებელი III კვარტალში ფიქსირდება. 2018 წელთან შედარებით, 2019 წლის III კვარტალში, საქართველოდან გასული როუმერების რაოდენობაში 15%-იანი ზრდაა. მიუხედავად იმისა, რომ როუმინგის მოხმარების ტენდენცია კლებისკენ არის წასული, 2019 წელს საქართველოდან გასული მოგზაურების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც აისახა როუმერების რაოდენობის ზრდაზეც. ასევე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ოპერატორების შემოთავაზებები და როუმინგი უფრო ხელმისაწვდომი გახდა შემცირებული ტარიფების გამო. 2020 წელს კი მსოფლიოში გავრცელებული პანდემიიდან გამომდინარე, რასაც საზღვრების ჩაკეტვა მოჰყვა, მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოდან როგორც გასული, ისე შემოსული როუმერების რაოდენობა.



შემოსავალი როუმინგიდან (მლნ ლარი)

6.2
შემოსული
როუმერები

2.5
გასული
როუმერები

2020 წლის IV კვარტალში, მობილური აბონენტების 1%-მა გამოიყენა როუმინგული მომსახურება. სულ როუმინგული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2020 წელს 8.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი მობილური საცალო შემოსავლის 2%-ია.

ყველაზე მეტი თანხა, 2020 წელს 0.47 მლნ ლარი, როუმინგულ მომსახურებაზე საქართველოდან გასულმა როუმერებმა თურქეთში დახარჯეს, რასაც ხელს უწყობს თურქეთის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის გამოყენება საბოლოო დანიშნულების ადგილამდე. ასევე, ტოპ ქვეყნებია: გერმანია, რუსეთის ფედერაცია, იტალია, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ესპანეთი, სომხეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

ტოპ 10 ქვეყანა გასული როუმერებისთვის (მლნ ლარი)



2020 წელს საქართველოში ყოფნის დროს, მობილურ მომსახურებაზე ყველაზე დიდი თანხა რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულმა როუმერებმა - 0.7 მლნ ლარი დახარჯეს. ტოპ ქვეყნების სიაშია: თურქეთი, საფრანგეთი, უკრაინა, იაპონია, საუდის არაბეთი, შვედეთი, ირლანდია, ავსტრია და შვეიცარია.

ტოპ 10 ქვეყნის ჩამოსული როუმერების ხარჯები (მლნ ლარი)



მობილური ნომრების პორტირება

2020 წელს მობილური ოპერატორების ქსელებში 46 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა, რაც 2019 წელთან შედარებით, 6 ათასი პორტირებული ნომრით ნაკლებია.

პორტირებული ნომრების რაოდენობა (ათასი)



გადმოპორტირებული აბონენტების რაოდენობა (ათასი)



მობილური აპარატების განაწილება მწარმოებლების მიხედვით

%	მწარმოებელი
39.31%	Samsung
27.67%	სხვა
13.70%	Apple
8.81%	HUAWEI
7.04%	Microsoft/ Nokia
1.34%	Lenovo
0.68%	LG
0.51%	Sony/ Errcson
0.44%	TCT
0.27%	HTC
0.26%	ZTE

მობილური კომუნიკაციების 2020 წლის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

მობილური მომხმარებლების სიმკვრივე საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებაში **148%**-ს შეადგენს



5.1
მილიონი SIM-ბარათი

აბონენტები მობილურზე თვეში საშუალოდ
184 წუთს საუბრობენ

მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში
7.0 გბ-ს შეადგენს

მობილურ მომსახურებაზე აბონენტები თვეში საშუალოდ
8.8 ლარს ხარჯავენ

8.7
ფიზიკური პირი

8.9
იურიდიული პირები

ფიქსირებული ფართოზოლოვანი[23] ინტერნეტ მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება, როგორც აბონენტების რაოდენობით, ისე შემოსავლების კუთხით, მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ვითარდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია და იზრდება მისი სიმკვრივე აბონენტების მთლიან რაოდენობაში. 2020 წელს, გასული წლის მსგავსად, აბონენტების რაოდენობა უფრო მეტად გაიზარდა რეგიონებში, ვიდრე დედაქალაქში. თბილისში ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი თითქმის გაჯერებულია. რეგიონალურ ქალაქებსა და სოფლებში, განსაკუთრებით იქ, სადაც ვითარდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი, ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება.

2020 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობამ მილიონს მიაღწია, კერძოდ, **998** ათასი აბონენტი შეადგინა.

ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა + 6%

იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა + 4.4%



2019 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 6.1%-ით (57 ათასი აბონენტი) გაიზარდა: ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა - 6%-ით, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა - 4.4%-ით.

ამასთან, ბოლო სამი წლის განმავლობაში წლიური ზრდის ტემპი[24] ფიზიკური პირი აბონენტებისთვის 14%-ს შეადგენს, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 10%.

[23]ITU-ს განმარტებით - ეს არის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა გადაცემა განხორციელდეს 256 კბ/წმ ან მეტი სიჩქარით

[24]წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)





ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა 2020 წელს **54** ათასით გაიზარდა და წლის IV კვარტლის მონაცემებით, **950** ათასს მიაღწია. შესაბამისად, გაიზარდა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებში[25] და ამ მაჩვენებელმა **85,7%** შეადგინა.

[25]ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე, პროცენტულ მაჩვენებლებში

2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული ზრდა - 211%, შპს „სქაიტელს“ ჰქონდა. აღნიშნულის მიზეზი 2020 წლის ბოლოს კომპანიაში განხორციელებული შერწყმა/შეძენაა, კერძოდ: შპს „მიკრონეტი“, შპს „აირკონექტი“, შპს „MAXNET“-ი და შპს „თრიალეთი- ნეტი“ შეერწყა ერთმანეთს. მეორე ადგილზეა 6,5% ზრდით შპს „მაგთიკომი“. ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის მიხედვით, მესამე ადგილს სს „სილქნეტი“ იკავებდა. 2020 წელს მისი აბონენტების რაოდენობა 1%-ით გაიზარდა.

ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)

მაგთიკომი[26]
2020 - **458**
2019 - **430**
2018 - **365**
2017 - **287**
2016 - **188**

სილქნეტი
2020 - **285**
2019 - **282**
2018 - **275**
2017 - **284**
2016 - **265**

ახალი ქსელების ჯგუფი
2020 - **57**
2019 - **65**
2018 - **65**
2017 - **70**
2016 - **84**

სქაიტელი
2020 - **53**
2019 - **17**
2018 - **13**
2017 - **7**
2016 - **3**

სხვა
2020 - **97**
2019 - **102**
2018 - **104**
2017 - **94**
2016 - **105**

[26]“მაგთიკომის“ 2016 წლის აბონენტების რაოდენობაში შედის „დელტა-ნეტის“ საცალო აბონენტების რაოდენობა; “ახალი ქსელების“ ჯგუფში გაერთიანებულია „ახალი ქსელების“, „ახტელის“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ აბონენტების რაოდენობა. ისინი ურთიერთდამოკიდებული, აფილირებული პირები არიან.

2020 წელს IV კვარტლის მდგომარეობით, სს „სილქნეტის“ იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობამ 19.8 ათასი შეადგინა. კომპანია ამ ტიპის აბონენტების რაოდენობით პირველ ადგილზეა. მეორე ადგილს შპს „მაგთიკომი“ 12,9 ათასი აბონენტით იკავებს. ამასთან, 2020 წელს მნიშვნელოვნად გაზრდილია შპს „სქაიტელის“ იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა.

იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)



2020 წელს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი 5%-ით გაიზარდა და 277 მლნ ლარი შეადგინა.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)



ფიზიკური პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავალი მთლიანი ოდენობის 72%-ს შეადგენს მაშინ, როცა ამ ტიპის აბონენტების რაოდენობა მთლიანი ბაზრის 95%-ია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იურიდიული პირი აბონენტების მომსახურების საფასური მნიშვნელოვნად აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების მიერ გადახდილ სააბონენტო გადასახადს.

შემოსავლისა და აბონენტების გადანაწილება აბონენტების ტიპების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან შემოსავლის 89%-ს ბაზრის ოთხი მოთამაშე აგენერირებს მაშინ, როდესაც გასულ წლებში იგივე მაჩვენებელს მხოლოდ სამი კომპანია ფლობდა, ხოლო დანარჩენი 13,8% ნაწილდება 318 კომპანიაზე. შპს „მაგთიკომს“ შემოსავლის მიხედვით ბაზრის - 46.6% უკავია, სს „სილქნეტს“ – 34.8%, შპს „ახალი ქსელების“ ჯგუფს – 4.7% და შპს „სქაიტელს“ - 2.9%.

შემოსავლის გადანაწილება კომპანიების მიხედვით



განცალკევებულად ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავლის წილების მიხედვით, კომპანიების გადანაწილება ფიზიკური პირი აბონენტების მიხედვით - შპს „მაგთიკომის“ წილი 50%-ია, სს „სილქნეტის“ – 31,2%, ხოლო იურიდიულ პირებში განაწილება ასეთია: შპს „მაგთიკომის“ - 37,5% და სს „სილქნეტის“ - 44,2 %.

ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება



იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება



● მაგთიკომი ● სილქნეტი ● ახალი ქსელების ჯგუფი ● სხვა ● სქაიტელი

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლისა და მშპ-ის (მთლიანი შიდა პროდუქტი) ზრდის პროცენტული მაჩვენებლები, გასულ წელთან შედარებით, 2020 წელს მკვეთრად განსხვავებულია.



2020 წლის IV კვარტალში ფიზიკური პირი აბონენტების ARPU (თვეში ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი) 18.2 ლარს შეადგენდა. შემცირებულია იურიდიული პირების ARPU, რომელმაც 137,31 ლარი შეადგინა.



2020 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისში, რეგიონებში არსებულ ARPU-ს 67%-ით აღემატება. დედაქალაქში თვეში ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, თითქმის არ გაზრდილა, რეგიონებში კი 4%-ით გაიზარდა.



ფიზიკური პირი აბონენტების ARPU ყველაზე მაღალი ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზეა და ის 18.51 ლარს შეადგენს. xDSL ტექნოლოგიაზე ერთი აბონენტის დანახარჯი საშუალოდ თვეში 17,98 ლარია, Wi-Fi-ზე - 15 ლარი, ხოლო ფიქსირებულ LTE ტექნოლოგიაზე - 13,93 ლარი.



	2016	2017	2018	2019	2020
FTTx	20.9	17.5	16.9	18.6	18.51
xDSL	18.8	17.6	17.4	17.5	17.98
Wi-Fi	16.5	16.6	15.3	15.7	15.00
ფიქს.LTE	16.3	14.9	15.7	14.7	13.93

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU(ლარი) ტექნოლოგიების მიხედვით

2020 წლის ბოლო მონაცემებით, ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებას სულ 160 სუბიექტი ეწეოდა[27]. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მომსახურებას აბონენტებს - 74 კომპანია, WiFi ტექნოლოგიით - 127, xDSL-ით - 8, ფიქსირებული LTE ტექნოლოგიით - 1 ავტორიზებული პირი აწვდიდა.

ფიზიკური პირი აბონენტების უმეტესი ნაწილი (84%) ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობდა, მას მოსდევს Wi-Fi ტექნოლოგია – 11%-ით, შემდეგ კი xDSL - 3% და ფიქსირებული LTE – 2%.

[27]მოიცავს კომპანიებს, რომელთაც ყავდათ 1 აბონენტი მაინც

საქართველოში 2020 წელს, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობებში 75% შეადგინა.[28]
იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით, მცირედით განსხვავდება. აქ Wi-Fi და xDSL ტექნოლოგიას შედარებით უფრო დიდი წილი უჭირავს, ვიდრე ფიზიკური პირი აბონენტების სეგმენტზე.

ფიზიკური პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით



იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით



ბოლო 5 წლის განმავლობაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის (ფიზიკური და იურიდიული პირი) აბონენტების რაოდენობის წლიური ზრდა[29] 15,6%-ია. აბონენტების რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი Wi-Fi ტექნოლოგიას უჭირავს, თუმცა, წინა წელთან შედარებით, 5,8%-ით შემცირდა, რისი მიზეზიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურების ქსელის განვითარება და შესაბამისად, მისი ხელმისაწვდომობის ზრდაა. 2016 წლიდან წელიწადში საშუალოდ 36,7%-ით იკლებს xDSL ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა.

აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)



[28]ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა გაყოფილი შინამეურნეობების რაოდენობაზე
[29]წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)

2020 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების (ფიზიკური პირი) აბონენტების 57% შპს „მაგთიკომის“ მომსახურებით სარგებლობდა, 31% - სს „სილქნეტის“, სხვა ოპერატორების წილი ჯამში 11,4%-ს შეადგენს.



რაც შეეხება xDSL ტექნოლოგიას, აბონენტების 86% „სილქნეტის“ მომხმარებელი იყო, „ახალი ქსელების“ - 7%, „ახტელის“ - 5%, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 2%-ს შეადგენდა.



[30]„ახალი ქსელები“, „ახტელი“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ ურთიერთდამოკიდებული, აფილირებული პირები არიან

ოპტიკურ-ბოჭკოვანი და xDSL ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად დიდია ბაზრის იმ მოთამაშეების რიცხვი (127 კომპანია), რომლებიც ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას Wi-Fi ტექნოლოგიით ახორციელებენ. 2020 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ამ ტექნოლოგიაზე აბონენტების ყველაზე დიდი წილი - 36% შპს „სქაიტელს“ აქვს.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის განვითარება შესაძლებელს ხდის აბონენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტ მომსახურება. 2020 წლის ბოლოს საქართველოში ყველაზე მეტი აბონენტი სარგებლობდა ინტერნეტ მომსახურებით, რომლის დეკლარირებული სიჩქარე[31] 10 მბ/წმ-დან 29 მბ/წმ-მდე შუალედში იყო. ამ აბონენტების წილმა 67% შეადგინა. შესაბამისად, მცირდება ძირითადად რეგიონებში არსებული 9 მბ/წმ-მდე დიაპაზონის სიჩქარის ინტერნეტის მქონე აბონენტების წილი.

აბონენტების რაოდენობის გადანაწილება დეკლარირებული სიჩქარის დიაპაზონების მიხედვით



10 მბ/წმ-დან 29 მბ/წმ-მდე დიაპაზონის სიჩქარის ინტერნეტის მქონე აბონენტების წილი ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაში მეტია და 70% აღწევს. LTE, Wi-Fi და xDSL ტექნოლოგიებზე დომინირებს 1 მბ/წმ-დან 9 მბ/წმ-მდე დიაპაზონი, რაც ამ ტექნოლოგიების ტექნიკური შეზღუდვებითა და მახასიათებლებით არის გამოწვეული.

აბონენტების რაოდენობის გადანაწილება ტექნოლოგიებისა და სიჩქარეების მიხედვით



[31]ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ნაწილში სიჩქარეების ანალიზისას იგულისხმება აბონენტებისთვის შეთავაზებული ინტერნეტ მომსახურების კომპანიების მიერ დეკლარირებული სიჩქარე

განსხვავებულია იურიდიული და ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის გადანაწილება ინტერნეტ მომსახურების სიჩქარეების დიაპაზონების მიხედვით. იურიდიული პირების შემთხვევაში, დომინირებს 0-დან 9 მბ/წმ-მდე დიაპაზონი (54%), ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში 10 მბ/წმ-დან 29 მბ/წმ (66%). აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირი აბონენტების შემთხვევაში კომპანიების მიერ ხდება ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის სიჩქარის დეკლარირება.

ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობის განაწილება დეკლარირებული სიჩქარეების მიხედვით



ფიზიკურ პირ აბონენტებში დეკლარირებული სიჩქარეების გადანაწილების ანალიზი (განცალკევებულად, არა დიაპაზონების მიხედვით) გვიჩვენებს, რომ 2020 წელს, თბილისში ყველაზე პოპულარული 20 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტ პაკეტია. იზრდება იმ აბონენტების რაოდენობა, რომლებიც 30 მბ/წმ-იან სიჩქარის ინტერნეტით სარგებლობენ, რაც ძირითადად, გამოწვეულია კომპანიების მიერ სატარიფო გეგმების ცვლილებით.

ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით - თბილისი



რეგიონებში იზრდება მოთხოვნა მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე. იმ აბონენტების რაოდენობა, რომლებიც 20 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობენ, 322 ათასია.

ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით - რეგიონები



2020 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 445 ათასი (45%) აბონენტი თბილისშია, ხოლო 553 ათასი (55%) - რეგიონებში.

2020 წელს, წინა წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობის 8.2%-იანი ზრდა დაფიქსირდა რეგიონებში, მაშინ, როცა თბილისში აბონენტების რაოდენობა 3.2%-ით გაიზარდა. აღნიშნული ზრდა ბოლო პერიოდში ძირითადად შპს „მაგთიკომზე“ მოდის.

აბონენტების ზრდის ტენდენცია თბილისსა და რეგიონებში (აბონენტების რაოდენობა, ათასი)

[32]2016 წლის მონაცემებში „მაგთიკომის“ აბონენტების რაოდენობაში შედის „დელტა-ნეტის“ საცალო აბონენტების რაოდენობა; „ახალი ქსელების ჯგუფში“ გაერთიანებულია „ახალი ქსელების“, „ახტელის“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ აბონენტების რაოდენობა



აბონენტების რაოდენობა რეგიონებში (ათასი)



	2016	2017	2018	2019	2020
სქაიტელი	3	7	14	20	56
მაგთიკომი[32]	43.4	104.2	169.3	215.6	234.0
სილქნეტი	144.7	160.3	145.0	145.1	142.9
ახალი ქსელების ჯგუფი	54.2	40.7	33.9	33.5	28.7
სხვა	101.8	91.0	95.6	95.5	91.4

2020 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ინტერნეტის სიმკვრივე (აბონენტების რაოდენობის შეფარდება შინამეურნეობების რაოდენობაზე, პროცენტულ მაჩვენებლებში) თბილისში 122%-ია, რაც ძირითადად გამოწვეულია ერთ ოჯახში რამდენიმე ინტერნეტ მომსახურების არსებობით (სხვადასხვა პროვაიდერისგან),[33] აღნიშნული მიზეზების გამო, ინტერნეტის სიმკვრივის მაჩვენებელი დიდია აჭარაში და 110% შეადგენს, რაც ძირითადად, ბათუმში არსებული აბონენტების მიერ ინტერნეტის მაღალი მოხმარებითაა გამოწვეული. რეგიონებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია.

ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე თბილისსა და რეგიონებში



[33]ასევე, ერთ-ერთი მიზეზია ქირით ან იჯარით გაცემულ/საიჯაროდ განსაზღვრულ უძრავ ქონებაში არსებული ინტერნეტ მომსახურება და რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები მოსახლეობის აღრიცხვიანობა

2020 წლის ბოლოს საქართველოს ხუთი დიდი ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი) ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა ქვეყნის აბონენტების რაოდენობის 61%-ს შეადგენს. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა xDSL ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა აღნიშნულ ქალაქებში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტების წილმა კი 95% შეადგინა.

აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიბის[34] მიხედვით (ოპტიკური, xDSL და Wi-Fi) საქართველოს 5 დიდ ქალაქში (ათასი)



აღსანიშნავია, რომ ხუთივე დიდ ქალაქში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების წილი ქალაქის ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მთლიან რაოდენობაში 86%-ზე მეტია, ყველაზე დიდი წილი კი, რუსთავსა და ფოთში ფიქსირდება - 97% და 96%.

აბონენტების გადანაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქსა და სხვა დასახლებებში ტექნოლოგიების მიხედვით



[34]ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე არ არის LTE ტექნოლოგია, ვინაიდან 2016-2017 წლების მონაცემებში ეს ტექნოლოგია დასახლებული პუნქტების მიხედვით, გამიჯნული არ არის

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი - 50% თბილისშია. საქართველოს ხუთ დიდ ქალაქზე ჯამში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში) ამ ტექნოლოგიის მომხმარებელთა 68% მოდის, დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე კი - 32%. აღნიშნული განაწილების ძირითადი მიზეზი რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეზღუდული ხელმისაწვდომობაა, თუმცა, პროგრესი შეინიშნება. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობაში იმ აბონენტების წილი, რომლებიც საქართველოს 5 დიდ ქალაქს გარეთ არიან, 2019 წელს 28% იყო, 2020 წელს კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა 32% შეადგინა.

ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების გადანაწილება



ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში ხელმისაწვდომია[35], ხოლო საქართველოში არსებული 3385 სოფლიდან, ისეთი სოფლების რაოდენობა, სადაც ინტერნეტს ერთი აბონენტი მაინც მოიხმარს, 65%-ია.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობა დასახლებებში (ცხრილში მოცემულია დასახლებების რაოდენობა)



საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა[36] დაახლოებით 196 ათასია, მაშინ, როცა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა 47 ათასს შეადგენს. რაც ნიშნავს, რომ ბიზნეს სუბიექტების მხოლოდ 24%-ს აქვს ინტერნეტ მომსახურება. აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ იურიდიული პირებისათვის განკუთვნილი მომსახურება გაცილებით ძვირია, ვიდრე მსგავსი მომსახურება ფიზიკური პირებისთვის, შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები ხშირად ამჯობინებენ ისარგებლონ ფიზიკური პირებისთვის შეთავაზებული ინტერნეტ მომსახურებით.
ამ მონაცემებით თბილისში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების 38%-ს აქვს ინტერნეტ მომსახურება.

მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის გადანაწილება მათ შორის



არ აქვს ინტერნეტი	45,444	14,807	4,428	9,340	1,097	20,775	11,029	12,300	4,625	7,314	3,980
აქვს ინტერნეტი	31,968	3,314	918	1,659	225	3,237	1,734	1,335	721	1,457	519
აქტიური ბიზნეს სუბიექტების რ-ბა	77,412	18,121	5,346	10,999	1,322	24,012	12,763	13,635	5,346	8,771	4,499

[35]ხელმისაწვდომობაში იგულისხმება დასახლებაში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 1 მაინც აბონენტის არსებობა (ფიზიკური ან იურიდიული).
[36]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ფიქსირებულ ინტერნეტთან კომბინაციაში სხვა საკომუნიკაციო სერვისების მოხმარება

საქართველოში ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებასთან ერთად, აბონენტები ამ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის სხვა სერვისებითაც სარგებლობენ. რამდენიმე მომსახურებას ერთად ძირითადად სს „სილქნეტი“, შპს „მაგთიკომი“ და „ახალი ქსელების ჯგუფი“ სთავაზობენ. ინტერნეტ მომსახურებასთან კომბინაციაში მაუწყებლობის ტრანზიტის (IPTV ტექნოლოგია), ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების (PSTN და VoIP ტექნოლოგია) და მობილური მომსახურების მოხმარება 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, კვლავ ანალოგიურ სურათს გვაძლევს: ინტერნეტ მომსახურების მომხმარებელი ფიზიკური პირი აბონენტების ყველაზე დიდი წილი (54%) ინტერნეტ მომსახურებასთან ერთად, მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურებით სარგებლობს[37]; სამი მომსახურების კომბინაციაში დომინირებს ინტერნეტის, ტელევიზიის და მობილური მომსახურების კომბინაცია (11%), თუმცა სამმაგი კომბინაციის აბონენტების ჯამური რაოდენობა დაკლებულია; ერთი პროვაიდერის ოთხი მომსახურებით აბონენტების უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობს (0.03%).

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მოხმარება ცალკე და სხვა სერვისებთან კომბინაციაში (სილქნეტის, მაგთიკომის, ახალი ქსელების ჯგუფის აბონენტები)



[37]ანალიზში მონაწილეობს სს „სილქნეტის“, შპს „მაგთიკომისა“ და „ახალი ქსელების ჯგუფის“ ფიზიკური პირი აბონენტები

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება[38]



საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე გამოიყენებოდა სადენიანი, უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიები. 2020 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სულ 25 კომპანია ოპერირებდა. ფიქსირებული სადენიანი ტექნოლოგიით მომსახურებას აწვდიდა 9 ავტორიზებული პირი, უსადენოთი – 2, VoIP-ით - 24[39].



2020 წლის IV კვარტალში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 378 ათასი შეადგინა. 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 27%-ით (141 ათასი აბონენტი) შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტების (შესაბამისად, შემოსავლებისა და ტრაფიკის) შემცირება მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად, მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და ამით გამოწვეული OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია.
აბონენტების რაოდენობა შემცირდა სადენიან და უსადენო ტექნოლოგიაზე, გაიზარდა VoIP ტექნოლოგიაზე.



ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებზე 2020 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, 28%[40]-ია. გასულ წელს აღნიშნული მაჩვენებელი 41%-ს შეადგენდა. ოპერატორების მხრიდან, განსხვავებით მობილური მომსახურების პირობებისა, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ფიქსირებულ მომსახურებას არ მოიხმარს, მისთვის სატელეფონო ნომრის/ხაზის გაუქმება მოკლე ვადაში არ ხდება, რაც მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს აბონენტების რაოდენობის შენარჩუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა.

[38]მონაცემები აღებულია 2021 წლის 5 მარტის მდგომარეობით.
[39]ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების რაოდენობის ჯამს
[40]ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებით მოსარგებლე ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა შეფარდებულია ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება, მცირედით მზარდია შემოსავალი მხოლოდ VoIP ტექნოლოგიაზე.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)



საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)



ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკის კლების ტენდენციაც გრძელდება. თუ 2019 წელს იგი 520 მლნ წუთს შეადგენდა, 2020 წელს მან 464 მლნ წუთი შეადგინა, შემცირდა 11%-ით.





ფიქსირებული სადენიანი და VoIP სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობის მიხედვით, ლიდერობს სს „სილქნეტი“. ხოლო ფიქსირებულ უსადენო ტექნოლოგიაზე დომინანტური წილი შპს „მაგთიკომს“ უჭირავს. VoIP ტექნოლოგიაზე, სს „სილქნეტის“ გარდა, ბაზრის შედარებით დიდი მოთამაშეები შპს „ჯეონეთი“, შპს „ინექსფონი“ და შპს „მაიფონი“ არიან.







მაუწყებლობის ტრანზიტი[41]

2020 წლის მეოთხე კვარტალში მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღები 732.4 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 0.2%-ით (1.2 ათასი აბონენტი) მეტია. 2014 წლის შემდეგ აბონენტების რაოდენობის ყოველწლიური საშუალო ზრდა 8.3%-ია.



	აბონენტის რაოდენობა (ათასი)	სააბონენტო სიმკვრივე
2014	461.9	41.6%
2015	476.1	42.9%
2016	486.4	43.9%
2017	612.2	55.2%
2018	694.4	62.6%
2019	730.8	65.9%
2020	732.4	66.0%

შესაბამისად, გაიზარდა სააბონენტო სიმკვრივეც - მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობებზე[42] 66.0% შეადგინა.

მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებულმა საცალო შემოსავლის წლიურმა ოდენობამ 121.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 7%-ით (7.8 მლნ ლარი) მეტია. საცალო შემოსავლების ყოველწლიური საშუალო ზრდა, 2014 წლის შემდეგ, 14%-ია.



[41]მონაცემები წარმოდგენილია 2021 წლის 1-ლი მარტის მდგომარეობით
[42]მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

2020 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, IPTV ტექნოლოგია მაუწყებლობის ტრანზიტის კვლავ ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მისი წილი წინა წელთან შედარებით, 1%-ით გაიზარდა და 76% გახდა. IPTV-ის საცალო შემოსავლების წილიც მთლიან შემოსავალში 2%-ით გაიზარდა და 85%-ს შეადგენს.

აბონენტების განაწილება ტექნოლოგიის მიხედვით (IV კვარტლის მონაცემები)



საცალო შემოსავლის განაწილება ტექნოლოგიის მიხედვით



აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)[43]



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
IPTV	164.9	161.6	193.8	357.1	482.9	547.2	556.6
თანამგზავრული	139.4	131.0	120.3	116.2	93.6	69.1	54.5
DVBT	0.1	0.1	0.1	5.3	18.8	33.2	39.6
რადიოსიხშირული	68.1	120.3	112.2	90.5	56.8	44.8	39.3
კოაქსიალური	85.4	58.4	54.0	40.6	25.6	28.0	26.5
ინტერნეტ ტელევიზია	3.9	4.5	6.0	2.5	16.7	8.6	15.5

[43]2016 წელს კომპანია "მაგთიკომმა" შეიძინა კომპანია "კავკასუს ონლაინის" საცალო სეგმენტი. 2015 წლიდან მოყოლებული საქართველო გადასულია ციფრულ მაუწყებლობაზე

საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
IPTV	22.0	30.9	37.1	48.6	72.6	93.9	103.1
რადიოსიხშირული	5.6	10.4	13.8	13.0	9.3	6.6	5.6
თანამგზავრული	9.7	7.6	7.2	7.5	6.9	6.0	5.6
კოაქსიალური	11.7	8.4	7.6	6.4	5.7	4.0	3.3
ინტერნეტ ტელევიზია	0.0	0.0	0.0	0.1	1.2	2.3	2.8
DVBT	0.1	0.1	0.2	0.2	0.2	0.5	0.7

წლის ჭრილში, თვის საშუალო ARPU გაზრდილია IPTV, თანამგზავრულ და DVBT ტექნოლოგიებში.



საშუალო წლიური ARPU ტექნოლოგიების მიხედვით



2020 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2019 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, IPTV-ის აბონენტების რაოდენობა 1%-ით, ხოლო საცალო შემოსავლების წლიური ოდენობა 10%-ით გაიზარდა.





IPTV მომსახურებას 2020 წლის ბოლო კვარტალში, ძირითადად, ორი ოპერატორი - შპს „მაგთიკომი“ (57%) და სს „სილქნეტი“ (38%) აწვდიდა.



2020 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2019 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, თანამგზავრული ტექნოლოგიის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა - 21%-ით, კოაქსიალურის - 5%-ით, ხოლო რადიოსიხშირული ტექნოლოგიის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა - 12%-ით შემცირდა.

თანამგზავრული, რადიოსიხშირული და კოაქსიალური ტექნოლოგიების მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა (ათასი)







ტრანზიტული მომსახურების საცალო შემოსავლები 2019 წელთან შედარებით, შემცირდა



თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული ტექნოლოგიების ტრანზიტის წლიური საცალო შემოსავლები შემცირდა: თანამგზავრული კლება - 8%, კოაქსიალური კლება - 17%, რადიოსიხშირული კლება - 15%.



სააბონენტო შემოსავლის განაწილება ხელშეკრულების ტიპის მიხედვით

- ფიზიკური
- იურიდიული

ტრანზიტორებმა, 2020 წელს, სააბონენტო შემოსავლის 98% ფიზიკური პირებისგან მიიღეს, იურიდიულ პირებს კი მხოლოდ 2% ეკუთვნით. შედარებისათვის, 2019 წელს ეს მაჩვენებელი 97% და 3% იყო. ორივე შემთხვევაში აბონენტების გადანაწილება ერთგვარია და აბონენტების 99%-ს ფიზიკური პირები შეადგენდნენ.



აბონენტების გადანაწილება ხელშეკრულების ტიპის მიხედვით

- ფიზიკური
- იურიდიული

მულტიპლექს მომსახურება

2020 წლის დეკემბერში საქართველოში სულ 25 მულტიპლექსის ოპერატორი საქმიანობდა, თუმცა, მულტიპლექსის მომსახურებით კომერციული შემოსავალი მხოლოდ 11-მა მათგანმა მიიღო. დანარჩენი ოპერატორები საკუთარ არხებს/არხს ავრცელებდნენ, შესაბამისად, მულტიპლექსით კომერციულ მომსახურებას არ ეწეოდნენ. მულტიპლექსით მომსახურებიდან ოპერატორებმა შემოსავლის სახით წლის განმავლობაში 6.5 მლნ ლარი მიიღეს, რომლის ძირითადი ნაწილი „სტერეო+“-ზე და „საქართველოს ტელერადიოცენტრზე“ მოდიოდა



ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები

2020 წელს ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის[44] ოდენობა 187.82 მლნ ლარს შეადგენს, რაც 24%-ით ნაკლებია 2019 წლის იმავე მაჩვენებელზე.



[44]მოიცავს მობილური და ფიქსირებული (სადენიანი და უსადენო) მომსახურების ქსელსა და მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებაში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობას.
[45]კაპიტალური ინვესტიციები მოიცავს იმ კომპანიების მონაცემებს, რომელთა წლიურმა შემოსავალმა ჯამში 2020 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მთლიანი შემოსავლის 91% შეადგინა

ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება ქსელის ტიპების მიხედვით



ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების მიხედვით, ტოპ 3 კომპანიაა: შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“ და შპს „ვიონი საქართველო“. მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია მთლიანი ოდენობის 97%-ს შეადგენს.

ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ. ლარი)



2020 წელს მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის ყველაზე დიდი წილი სს „სილქნეტზე“ მოდის, ფიქსირებულ მომსახურებაშიც (ფიქსირებული ფართოზოლოვანი, ფიქსირებული სატელეფონო, მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურება) ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე სს „სილქნეტია“.





მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით





ფიქსირებულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება

2020 წლის მონაცემებით, კაპიტალური ინვესტიციის უდიდესი ნაწილი ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე და აპარატურაზე მოდის.



- აპარატურა
- მაუწყებლობის კონტენტი (ლიცენზიის საფასურის ჩათვლით)
- პროგრამული უზრუნველყოფა
- სხვა
- ფიზიკური ინფრასტრუქტურა



- აპარატურა
- პროგრამული უზრუნველყოფა
- სხვა
- ფიზიკური ინფრასტრუქტურა

2020 წელს მაუწყებლობის დარგში 112 მოქმედი[46] პირი დაფიქსირდა. მათი ჯამური შემოსავალი (სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლების გათვალისწინებით) 239.6 მლნ ლარია. 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 6-მა პირმა მიიღო (B კატეგორიის[47] კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 82% იყო, ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, ვინც 2020 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 59 პირი) მთელი შემოსავლების 1% შეადგენდა.



[47]განვიხილავთ შემდეგ კატეგორიებს:

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები



2020 წელს კი, იმ მაუწყებლების რაოდენობა, რომლებსაც არც სახელმწიფო დაფინანსება და არც „სხვა არასამაუწყებლო შემოსავალი“ მიუღიათ, სულ 107 პირი იყო. მათმა ჯამურმა შემოსავალმა კი 115.8 მლნ ლარი შეადგინა. 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 3-მა პირმა მიიღო (B კატეგორიის კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 58% იყო, ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, ვინც 2020 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 57 პირი) მთელი შემოსავლების 1% შეადგენდა.

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში მაუწყებლობდა 106 სამაუწყებლო არხი. აქედან ეროვნული ღია საეთერო სატელევიზიო მაუწყებელი იყო 18. ამას ემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის და აჭარის ტელევიზიის სამი არხი. შესაბამისად, 2020 წელს სულ 21 ღია საეთერო სამაუწყებლო არხი მაუწყებლობდა.

2020 წლის განმავლობაში, საქართველოში სულ მოქმედი 89 სატელევიზიო და 53 რადიო მაუწყებელი იყო.

2020 წელს მაუწყებლობიდან[50] მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 115.8 მლნ ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი 2019 წელს 91.3 მლნ ლარი იყო.
მიღებული შემოსავლიდან, 108.6 მლნ ლარი სატელევიზიო მაუწყებელზე, ხოლო 7.2 მლნ ლარი - რადიო მაუწყებელზე მოდის.

[46]მოქმედად განვიხილავთ პირს, რომელსაც წლის განმავლობაში მაუწყებლობიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა
[48\49]პროცენტები არ ჯამდება 100-მდე, რაც განპირობებულია დამრგვალებებით.
[50]იგულისხმება ყველა ტიპის შემოსავალი, გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლისა





2020 წელს მაუწყებლობიდან (ტელევიზია და რადიო) მიღებულმა ჯამურმა სარეკლამო[51] შემოსავალმა 82.0 მლნ ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი 2019 წელს 76.3 მლნ ლარი იყო.

[51]რეკლამა აერთიანებს 5 კატეგორიას - კომერციული რეკლამა, სპონსორობა, ტელეშოპინგი, განცხადებები და პროდუქტის განთავსება

სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლები



2020 წლის სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლებმა 75,2 მილიონამდე ლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით, 7,6 მილიონი ლარით მეტია.

2020 წლის დასაწყისში კომუნიკაციების კომისია ამბობდა, რომ ბიზნეს სექტორის პასიურობის მიუხედავად, სარეკლამო ბაზარზე 2020 წელს შემოსავლების მკვეთრი კლება არ დაფიქსირდებოდა, რადგან მაუწყებლების კომერციული რეკლამიდან შემცირებულ შემოსავლებს, პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული შემოსავლები დაუბალანსებდა. კომუნიკაციების კომისიის პროგნოზი გამართლდა და პანდემიის მიუხედავად, 2020 წელს მაუწყებლებს ჯამურად სარეკლამო შემოსავლებში 11%-იანი მატება აქვთ, საიდანაც 13,9 მილიონი ლარი ფასიანი პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული თანხაა. 2018 წელს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს პოლიტიკურმა პარტიებმა მაუწყებლებს მხოლოდ 8 მლნ ლარის რეკლამა დაუკვეთეს.

რაც შეეხება მხოლოდ კომერციულ რეკლამას, 2020 წლის დინამიკა კვარტლების მიხედვით ასეთია: პირველ კვარტალში მაუწყებლებმა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 11%-ით მეტი შემოსავალი მიიღეს, მეორე კვარტალში კი 39%-იანი კლება დაფიქსირდა, მესამე კვარტალში დინამიკა შეიცვალა და მაუწყებლებს 7%-იანი მატება ჰქონდათ, ხოლო მეოთხე კვარტალში - 3%-იანი კლება. ჯამურად, წლის ჭრილში, კომერციული რეკლამიდან მიღებულმა შემოსავალმა, წინა წელთან შედარებით, 9%-ით ნაკლები შეადგინა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომერციული რეკლამიდან მიღებული შემოსავლების კლება, პოლიტიკური რეკლამიდან მიღებულმა შემოსავლებმა დააბალანსა.

2020 წლის სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების ანალიზი აჩვენებს, რომ კომერციული რეკლამიდან მიღებული შემოსავლების ყველაზე დიდი კლება 2020 წლის მეორე კვარტალში მოხდა. გასათვალისწინებელია, რომ ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც პანდემიიდან გამომდინარე, ქვეყანაში მასშტაბური შეზღუდვები დაწესდა და ყველა სფერო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, მათ შორის, როგორც რეკლამის დამკვეთები, ისე მაუწყებლები. ახალ რეალობასა და გამოწვევებზე გადაწყობას გარკვეული დრო დასჭირდა, მესამე კვარტალში კი, როგორც ამას კომისია ვარაუდობდა, სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი ჩვეულ ნიშნულს დაუბრუნდა და 7%-იანი მატება დაფიქსირდა.

პანდემიის გარდა, კომერციული სარეკლამო შემოსავლების ჯამური კლება, დიდწილად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე მოდის, ვინაიდან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს 2020 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 9,3 მილიონიანი კლება ჰქონდა, ხოლო საზოგადოებრივ მაუწყებელს - 0,344 მილიონიანი. რაც შეეხება სხვა მაუწყებლებს, 2020 წელს კომერციული სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხები მაუწყებლების მიხედვით, ასეთია:

ტელეკომპანია „იმედმა“ სარეკლამო შემოსავლებიდან 29 მილიონი ლარი მიიღო, საიდანაც 3,3 მილიონი ლარი პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული შემოსავალია; ტელეკომპანია „რუსთავი 2”-მა - 12,8 მილიონის სარეკლამო შემოსავალი მიიღო, საიდანაც 2,1 მილიონი ლარი პოლიტიკური რეკლამა იყო; ტელეკომპანია „მთავარმა არხმა“ 11,1 მილიონი ლარი სარეკლამო შემოსავალი მიიღო, საიდანაც 4,3 მილიონი ლარი პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული შემოსავალია; „ტელეკომპანია პირველმა“ 6,2 მილიონი ლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღო, საიდანაც 1,9 მილიონი ლარი პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული თანხაა; „ჯი-დი-ეს თი-ვიმ“ 2,8 მილიონი ლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღო, საიდანაც 0,5 მილიონი ლარი პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული შემოსავალია; ტელეკომპანია „ფორმულამ“ 2,3 მილიონი ლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღო, საიდანაც პოლიტიკურმა რეკლამამ 0,4 მილიონი ლარი შეადგინა; ტელეკომპანია „პოსტვ“-მ ჯამში 1,6 მილიონი ლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღო, საიდანაც 0,3 მილიონი პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული თანხებია.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 1,1 მილიონი ლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღო, ფასიანი პოლიტიკური რეკლამა კი არ ჰქონია; „სილქნეტის“ მიერ სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხა 1,4 მილიონი ლარია, არხს ფასიანი პოლიტიკური რეკლამა არ განუთავსებია; „სეტანტა ჯორჯიამ“ 0,76 მილიონი ლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღო, ფასიანი პოლიტიკური რეკლამა კი არ ჰქონია; სარეკლამო შემოსავლების 8% სხვა მაუწყებლებზე გადანაწილდა.



სატელევიზიო სარეკლამო ბაზარზე 2020 წელს, წლების განმავლობაში არსებული სურათი შეიცვალა, კერძოდ, ბოლო წლებში სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების 70%-ზე მეტს ორი მაუწყებელი - ტელეკომპანია „იმედი“ და „რუსთავი 2“ იკავებდა. 2017 წელს „იმედს“ სარეკლამო ბაზრის 35% ეკავა, „რუსთავი 2“-ს - 41%, 2018 წელს „იმედს“ ბაზრის 34% ჰქონდა, „რუსთავი 2“-ს - 41%, 2019 წელს იმედს - 40%, „რუსთავი 2“-ს - 33%. 2020 წელს აღნიშნული სურათი შეიცვალა და სარეკლამო ბაზრის 79% უკვე 4 მაუწყებელი: ტელეკომპანია „იმედი“, „რუსთავი 2“, „მთავარი არხი“ და „ტელეკომპანია პირველი“ იკავებს.

სატელევიზიო მაუწყებლობებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით

სპონსორობა
4%

რეკლამა
60%

სხვა
13%

მაუწყებლის მფლობელის შემოწირულობა
22%

აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული ჯამური[52] შემოსავლის 64%-ს რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა.

სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული ჯამური სარეკლამო შემოსავლის ძირითად წყაროს რეკლამა, პროდუქტის განთავსება და სპონსორობა შეადგენდა.

სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული სარეკლამო შემოსავლების გადანაწილება კატეგორიების მიხედვით



- რეკლამა
- პროდუქტის განთავსება
- განცხადებები
- სპონსორობა
- ტელეშოფინგი

[52]გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არა სამაუწყებლო შემოსავლისა

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების[53] ოდენობის მიხედვით, 2020 წელს ყველაზე დიდი წილი ტელეიმედს ეკავა - 27%, მას მოსდევდა მთავარი არხი - 21%, რუსთავი 2 - 13%, სილქ მედია - 8%, ტელეკომპანია პირველი - 6%, ფორმულა - 4%, GDS და აჭარასპორტი - 3%, სხვა მაუწყებლების შემოსავლების ჯამურმა წილმა 15% შეადგინა.

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით



[53]გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არა სამაუწყებლო შემოსავლისა

შენიშვნა: პროცენტები შეიძლება არ ჯამდებოდეს ზუსტად 100-ზე, რაც გამოწვეულია დამრგვალებებით

პირდაპირ რეჟიმში და გადახვევის რეჟიმში ყურებადობის ქცევა

2020 წელს, ერთი ადამიანი საშუალოდ დღის განმავლობაში სატელევიზიო გადაცემებს დაახლოებით 166 წუთის განმავლობაში უყურებდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლიდან წლამდე იზრდება გადახვევის ფუნქციის გამოყენებით ყურებადობა.



ერთი ადამიანის მიერ, საშუალოდ ერთ დღეში გადაცემების ყურებადობა პირდაპირ ეთერში

ტელევიზორთან გატარებული 139 წუთიდან პირდაპირ რეჟიმში ყურებით, ერთი ადამიანი საშუალოდ დღეში 39 წუთს ტელესერიალებს უთმობდა. აღნიშნული დრო 2019 წელთან შედარებით, 5 წუთით ნაკლებია.

2020 წელს, 2018 წელთან შედარებით, საინფორმაციო გადაცემების ყურება 6 წუთით გაიზარდა. 2019 წელთან შედარებით კი - 3,5 წუთით.



გადახვევის ფუნქციის გამოყენებით, საშუალოდ ერთი ადამიანი ყველაზე ხშირად სატელევიზიო სერიალის ჟანრს ახვევს, რომელიც 2018 წელთან შედარებით, საშუალოდ 1,4 წუთით არის გაზრდილი, თუმცა 2019 წელთან შედარებით, თითქმის 1 წუთით შემცირდა. ყოველწლიურად იმატებს საინფორმაციო გამოშვებების და თოქ შოუების გადახვევაც.

რაც შეეხება რადიო მაუწყებლებს, 2020 წელს რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლებმა 6,8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 23%-ით ნაკლებია. 2019 წელს რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავალი 8.8 მლნ ლარი იყო. შემოსავლის კლება დიდწილად პანდემიას უკავშირდება.



რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ძირითად წილს - 99.9%-ს წარმოადგენდა რეკლამა და სპონსორობა, ძალიან მცირე წილი კი პროდუქტის განთავსებასა და განცხადებებს ეკავა.

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით





რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების განაწილება კომპანიების მიხედვით[54]

რადიო მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2020 წელს ყველაზე დიდი წილი - 55% „რადიო ჰოლდინგ ფორტუნას“ ეკავა, მას მოსდევდა „რადიო იმედი“ - 11%, რადიოცენტრი პლუსი- 6%, ქართული რადიო - 5%, „ჯეო მედია“ - 4%, მდ ჯგუფი და ჩვენი რადიო - 3%-3%, სხვა რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 14% შეადგინა.

[54]პროცენტები შეიძლება არ ჯამდებოდეს ზუსტად 100-ზე, რაც გამოწვეულია დამრგვალებებით

2020 წელს მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების[55] ოდენობამ 22,82 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის იმავე მაჩვენებელს 17%-ით აღემატება.





[55]კაპიტალური ინვესტიციების ოდენობაში შედის იმ მაუწყებლების მონაცემები, რომლებმაც წლიურად მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს



2020 წელს მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის კატეგორიებში კომპანიების წილი





სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები

2020 წელს მაუწყებლების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების[56] სახით გადახდილმა თანხამ 37,496,203 ლარი შეადგინა, ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ შეტანილმა თანხამ - 286,178,002 ლარი. რაც შეეხება ლიცენზირებიდან მიღებულ შემოსავალს, სულ 2020 წელს კომუნიკაციების სფეროდან სახელმწიფო ბიუჯეტში 101,418 ლარი შევიდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმის[57] სახით ბიუჯეტში 1,110,407 ლარი ჩაირიცხა. სულ 2020 წელს კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 324,886,030 ლარი შევიდა.

[56]საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი (სასოფლო-არასასოფლო)
[57]ადმინისტრაციული ჯარიმები იხ. დანართი 8

წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

კომუნიკაციების კომისიამ 2020 წელს საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის რაოდენობრივთან ერთად, პირველად თვისებრივი მედია მონიტორინგი ჩაატარა. კომუნიკაციების კომისია მონიტორინგს 24 საათიან რეჟიმში, პირველი სექტემბრიდან 21 ნოემბრის (მათ შორის მეორე ტური) ჩათვლით ახორციელებდა. თვისებრივი მონიტორინგი 6 საერთო ეროვნულ მაუწყებელს, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას, რუსთავი 2-ს, ტელეიმედს, ტელეკომპანია პირველს და მთავარ არხს ჩაუტარდა.

კომუნიკაციების კომისიის მონიტორები ევროპის საბჭოს მედიაექსპერტმა, ორგანიზაცია „მემო 98“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, რასტო კუზელმა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად გადაამზადა. ექსპერტმა მონიტორებს საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თვისებრივი მედიამონიტორინგის განხორციელების თავისებურებები და სპეციფიკა გააცნო.

- რასტო კუზელი

2020 წელს „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის დადგენილებაში ცვლილებები შევიდა, რომელიც საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 2020 წლის 02 ივლისს შესულმა ცვლილებებმა გამოიწვია. დადგენილებაში ცვლილებებით დაზუსტდა საარჩევნო კოდექსით საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული, საარჩევნო კამპანიის, საარჩევნო აგიტაციისა და დებატების მაუწყებლების მიერ გაშუქების დეტალები. წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის დაწყებამდე კომუნიკაციების კომისიამ მაუწყებლებს ვალდებულებები კიდევ ერთხელ შეახსენა და კანონმდებლობის დაცვისკენ მოუწოდა.

რა ვალდებულებები აქვთ მაუწყებლებს კანონმდებლობით, რა უნდა გაითვალისწინონ წინასაარჩევნო პერიოდის პროცესის გაშუქებისას და როგორ უნდა დაიცვან საარჩევნო პროცესის დროს კანონის მოთხოვნები - ამ თემებზე ევროპის საბჭოს ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, საპარლამენტო არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით, ასევე 20-მდე რეგიონულ მაუწყებელს ჩაუტარდა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისთვის შესაბამისი ინსტრუქციები მიიღეს.

2020 წლის საქართველოს პარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგისას მონიტორები **წინასაარჩევნო რეკლამას, წინასაარჩევნო დებატებს, ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს,** ასევე, **წინასაარჩევნო აგიტაციას** და **საზოგადოებრივი აზრის კვლევებს** აკვირდებოდნენ.

6 საერთო ეროვნული მაუწყებლის თვისებრივი მონიტორინგისას, დაკვირვება განხორციელდა სამაუწყებლო სტანდარტების:

თვისებრივი მონიტორინგი საუკეთესო დროს, კერძოდ

19:00 საათიდან
24:00 საათამდე

პერიოდს მოიცავდა.

„წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ პლურალისტურ და მრავალფეროვან წინასაარჩევნო მედიაგარემოში მედიის ნაწილი პოლარიზებულია, ნაწილი კი სიძულვილის ენით, უცენზურო გამონათქვამებითა და უხამსობითაა გაჯერებული. კომუნიკაციების კომისიის დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო პერიოდს ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“ და აჭარის ტელევიზია აშუქებდა, ხოლო „იმედი“, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ - პოლიტიკურად მიკერძოებულად. კერძოდ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაცული იყო ეთიკური და პროფესიული სტანდარტები, საინფორმაციო პროგრამებში აისახებოდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ამომრჩევლის ინფორმირებულობას. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ ეთიკური სტანდარტების დაცვით აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს, გადაცემებში დაცული ჰქონდა ბალანსი და არ ხდებოდა შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს მეტწილად, ეთიკური სტანდარტების შესაბამისად აშუქებდნენ და იცავდნენ მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნებას. წინასაარჩევნო პერიოდში „ტელეიმედი“, ძირითადად, პოზიტიური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა მმართველი პარტიისა და მთავრობის მიმართ და მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენდა ოპოზიციის მიმართ. „ტელეიმედის“ ეთერში ოპოზიციას აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა არ ეძლეოდა.“

„რაც შეეხება „ტელეკომპანია პირველს“ და „მთავარ არხს“, მაუწყებლები წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ნეგატიურ ტონს ინარჩუნებდნენ მმართველი პარტიის მიმართ. „ტელეკომპანია პირველი“ ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენდა ოპოზიციური პარტიების მიმართ, ხშირად ახდენდა მანიპულაციას და არღვევდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს. „მთავარი არხი“ დაუფარავად გამოხატავდა მიკერძოებულ პოზიტიურ დამოკიდებულებას ოპოზიციის მიმართ, ასევე არხის ჟურნალისტების მხრიდან პირდაპირ ისმოდა პოლიტიკური მოწოდებები. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ „მთავარი არხის“ ეთერი გაჯერებული იყო სიძულვილის ენით და ხდებოდა აგრესიული განცხადებების, უცენზურო ლექსიკის და უხამსობის ტირაჟირება. მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ მაუწყებლებს რეკომენდაციებიც მისცა. გამომდინარე იქედან, რომ ყველაზე დიდ პრობლემად უხამსობის შემცველი გადაცემები გამოვლინდა, კომუნიკაციების კომისიამ მაუწყებლებს მოუწოდა, არ მოახდინონ უხამსობის ტირაჟირება, რათა არ დაირღვეს კანონი და ადამიანის ძირითადი უფლებები, არ მოხდეს საზოგადოებაში აგრესიის, სიძულვილისა და დაპირისპირების გაღრმავება.“

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით, საქართველოს ყველაზე ლიბერალური მედიაპოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო აქვს მთელს ევროპაში. რაც შეეხება უხამსობასა და სიძულვილის ენას, მას არაფერი აქვს საერთო გამოხატვის თავისუფლებასთან, ვინაიდან მაუწყებლების მიერ ეთერში უხამსობისა და სიძულვილის ენის შემცველი გადაცემები თესავს აგრესიას, იწვევს საზოგადოების დაპირისპირებას, აღრმავებს ესკალაციას განსხვავებული შეხედულებების მქონე მოქალაქეებს შორის, ლახავს ადამიანის ღირსებას და ზიანს აყენებს მათ. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისია მომავალშიც აქტიურად დააკვირდება მაუწყებლების ეთერში უხამსობის განთავსების საკითხს და მასზე კანონით დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცავს ადამიანის ძირითად უფლებებს.

2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში 3 რაოდენობრივი და 3 თვისებრივი ანგარიში გამოქვეყნდა

საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამო 8 მაუწყებლის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი 7-მა არხმა დაარღვია და ეთერში წინასაარჩევნო დებატები არ განათავსა

პლურალისტურ და მრავალფეროვან წინასაარჩევნო მედიაგარემოში მედიის ნაწილი პოლარიზებული, ნაწილი კი - სიძულვილის ენით და უცენზურო გამონათქვამებით იყო გაჯერებული

ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამების ანალიზი



საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგის პარალელურად, კომუნიკაციების კომისიამ წინასაარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამების ანალიზი ჩაატარა. ანალიზმა აჩვენა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში პირველ და მეორე ტურებში სატელევიზიო არხებზე განთავსებული უფასო პოლიტიკური რეკლამის დაახლოებითი ღირებულება 62.5 მილიონი ლარი იყო. აღნიშნულ დროში მაუწყებლებს რომ თანხა ფასიანი რეკლამის პირდაპირპროპორციულად მიეღოთ, მათი შემოსავალი ჯამში დაახლოებით 62.5 მილიონი ლარით გაიზრდებოდა. ფასიანი პოლიტიკური რეკლამის საერთო ღირებულებამ, მაუწყებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 13.9 მილიონი ლარი შეადგინა. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მაუწყებლებმა თითქმის 30,000 წუთი უფასო პოლიტიკური რეკლამა განათავსეს, ფასიანი რეკლამა კი - 9,620 წუთი, რაც უფასოზე სამჯერ ნაკლებია.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ წინასაარჩევნოდ ფასიანი პოლიტიკური რეკლამიდან ყველაზე დიდი შემოსავალი - 4,270,075 ლარი, „მთავარმა არხმა“ მიიღო, სადაც ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფმა წუთში საშუალოდ 5,583 ლარი შეადგინა. „მთავარ არხზე“ ფასიანი პოლიტიკური დროის 66.2% „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო, რაც არხის შემოსავლების 62.9%-ს შეადგენდა. „მთავარმა არხმა“ უფასო პოლიტიკურ რეკლამას საერთო დროის 8.1% დაუთმო და დაახლოებით 13.5 მილიონი ლარის რეკლამა განათავსა უფასოდ.

წინასაარჩევნო პერიოდში ფასიანი პოლიტიკური რეკლამიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით, მეორე ადგილზე „ტელეიმედია“, რომლის შემოსავალმაც 3,327,974 ლარი შეადგინა, არხზე ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფი წუთში საშუალოდ 3,902 ლარი იყო. „ტელეიმედზე“ ყველაზე მეტი ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დრო - 71.6% „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, რამაც არხის შემოსავლების 67.5% შეადგინა. „ტელეიმედმა“ უფასო პოლიტიკურ რეკლამას საერთო დროის 8.3% დაუთმო და დაახლოებით 9.7 მილიონი ლარის რეკლამა განათავსა უფასოდ.

„რუსთავი 2“-ის შემოსავალმა ფასიანი პოლიტიკური რეკლამიდან 2,065,163 ლარი შეადგინა, ხოლო არხზე ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფი წუთში საშუალოდ 3,672 ლარი იყო. „რუსთავი 2“-ზე ყველაზე მეტი ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დრო - 67.4% „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, რაც არხის შემოსავლების 60.9%-ს შეადგენდა. „რუსთავი 2“-მა უფასო პოლიტიკურ რეკლამას საერთო დროის 8.6% დაუთმო, შესაბამისად, არხმა დაახლოებით 9.5 მილიონი ლარის რეკლამა განათავსა უფასოდ.

„ტვ პირველის“ შემოსავალმა 1,865,753 ლარი შეადგინა, არხზე ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფი წუთში საშუალოდ 3,978 ლარი იყო. „ტვ პირველზე“ ყველაზე მეტი ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დრო - 37.1% „სტრატეგია აღმაშენებელს“ დაეთმო, თუმცა, არხის შემოსავლების ყველაზე დიდი წილი „ლელო საქართველოს“ ეკუთვნის - 27.6%. „ტვ პირველმა“ უფასო პოლიტიკურ რეკლამას საერთო დროის 8.6% დაუთმო და დაახლოებით 10.3 მილიონი ლარის რეკლამა განათავსა უფასოდ.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა ჯამში 17-მა პოლიტიკურმა გაერთიანებამ 34 არხზე განათავსა, ხოლო უფასო - 42-მა საარჩევნო სუბიექტმა

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი მაუწყებლები ვალდებული არიან წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყოფილი საეთერო დროის თაობაზე კომუნიკაციების კომისიას ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი და გაწეული მომსახურება. 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამების ანალიზი სწორედ მაუწყებლების მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. ასევე, უფასო პოლიტიკური რეკლამის საბაზრო ღირებულების დადგენა სარეკლამო ჭრებისათვის, იმ ღირებულების მინიჭებით განხორციელდა, რომელიც თავად მაუწყებლებს ჰქონდათ დადგენილი შესაბამის სამაუწყებლო გადაცემებში.

მაუწყებლების ფინანსური გამჭვირვალობა

7 წლიანი დავის შემდეგ, ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, მაუწყებლებმა 2013 წელს მიღებული მედიის ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ კანონის აღსრულება დაიწყეს. ეს ის კანონია, რომლის აღუსრულებლობის გამო, საქართველო არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი, მათ შორის, ისეთი მაღალი ტრიბუნიდან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტია. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 2017, 2018 და 2019 წლების ანგარიშებში ქვეყანას კანონით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო აკრიტიკებდა.

ეს მაშინ, როდესაც კომუნიკაციების კომისია 7 წლის განმავლობაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებას და მაუწყებლების ფინანსური გამჭვირვალობის კანონის შესრულებას ითხოვდა. 2013 წელს მაუწყებლების ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ მიღებული კანონის მთავარი მიზანი, მაყურებლების ინფორმირება იყო, იმისთვის, რომ საზოგადოებას არაწინასაარჩევნო პერიოდშიც ჰქონოდა დეტალური ინფორმაცია მედიის დაფინანსების წყაროების შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია იმის შესახებ, რომელ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პირს რა თანხა მიაქვს ამა თუ იმ მაუწყებელში და ვის ინტერესებს შეიძლება ემსახურებოდეს მედია საშუალება. მაყურებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა არხის სარედაქციო პოლიტიკის ანალიზი გააკეთოს, გააანალიზოს დაფინანსების წყაროების გავლენა მაუწყებლების სარედაქციო პოლიტიკაზე, რათა დაიცვას საკუთარი თავი შესაძლო მანიპულაციისგან.

მას შემდეგ, რაც კომუნიკაციების კომისიამ მაუწყებლების ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ კანონის აღსრულება მოითხოვა, 2013 წელს „რუსთავი 2“-ის მაშინდელმა მენეჯმენტმა, რომელიც ახლა „მთავარ არხს“ წარმოადგენს, ასევე „ტელეიმედმა“, ტელეკომპანია „მაესტრომ“, „ევროპა პლუსმა“, „ქართულმა რადიომ“, „სტუდია მაესტრომ“ და სამოქალაქო განათლების ფონდმა „ტაბულამ“ კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება ერთად გაასაჩივრეს. რამდენიმე მაუწყებლის ინტერესებს სასამართლოში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავდა.

რამდენიმე წლიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, 2017 წლის ბოლოს, მაუწყებლებმა კომუნიკაციების კომისიის წინააღმდეგ სასამართლოს პირველი ინსტანცია წააგეს. ერთადერთი, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მაშინდელი მენეჯმენტი იყო. კომუნიკაციების კომისიამ სასამართლოს ორი ინსტანცია მოიგო და ახლა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება.

ორი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილების შემდეგ, მაუწყებლებმა კანონით განსაზღვრული ფორმების შევსება დაიწყეს.

2020 წლის პირველი სექტემბრიდან კომუნიკაციების კომისიამ მშობლებს არასრულწლოვნების ინტერნეტში არსებული მავნე ზეგავლენისგან დაცვის ეფექტური მექანიზმი მისცა. ახალი რეგულაციებით მშობლებს მიეცათ შესაძლებლობა მიმართონ ინტერნეტ პროვაიდერ კომპანიებს და შეზღუდონ ისეთ ვებ-გვერდებზე წვდომა, რომელიც საფრთხის შემცველია ბავშვებისთვის.

ინტერნეტის გარდა, კანონში შესული ცვლილებები მაუწყებლებზეც ვრცელდება. მაუწყებლობის ნაწილში კანონპროექტის განხილვის დროს, კომუნიკაციების კომისიამ პარლამენტს შენიშვნები რამდენჯერმე წარუდგინა, რომელთა ნაწილის გათვალისწინებაც კანონმდებლების მიერ არ მომხდარა. კანონპროექტი ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით და ჩართულობით მოამზადა.
კომუნიკაციების კომისიამ ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების მოწესრიგების შესახებ დებულება დაამტკიცა, რომელსაც საფუძვლად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ დაედო. დებულების მიხედვით, განისაზღვრა საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების წესები და ვალდებულებები, როგორც ინტერნეტ პროვაიდერი კომპანიების, ისე ვებ-გვერდების მფლობელი კომპანიების მიმართ.

კომუნიკაციების კომისიამ ვებ-გვერდების მფლობელ კომპანიებს დააკისრა ვალდებულება საკუთარ ვებ-გვერდებს მიანიჭონ შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდება, კერძოდ, რომელი ასაკობრივი კატეგორიისთვისაა განკუთვნილი მათ ვებ-გვერდზე განთავსებული აუდიო-ვიზუალური პროდუქცია.
ის ვებ-გვერდები, რომლებსაც განთავსებული აქვთ ფილმები, ანიმაციური ფილმები, სერიალები, პროგრამები და თამაშები, ვალდებული არიან გაუკეთონ სპეციალური ასაკობრივი ნიშანდებები, რომლებიც განსაზღვრულია 18 წლამდე, 15 წლამდე, 12 წლამდე და 7 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებელ პროგრამებზე. კომუნიკაციების კომისია ადგენს ბავშვებისთვის საფრთხის შემცველი ინტერნეტ ვებ-გვერდების სპეციალურ სარეიტინგო სიას და საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს.
კომუნიკაციების კომისია შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ახორციელებს ინტერნეტ ვებ-გვერდების მონიტორინგს, იმისთვის, რომ დამატებითი ფილტრი შექმნას და გააკონტროლოს, რამდენად ჯეროვნად ასრულებენ კომპანიები საკუთარ ვალდებულებებს.

გარდა ამისა, ბავშვებისა და მოზარდების მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით, ამავე კანონით, მაუწყებლები ვალდებული არიან საკუთარი ბადე დაგეგმონ ისე, რომ აღნიშნული ასაკობრივი გადაცემები ეთერში დღის კონკრეტულ პერიოდში განთავსდეს.

ტელეკომპანიები ვალდებული არიან საკუთარ ეთერში არ განათავსონ
18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა 6:00 საათიდან 24:00 საათამდე
15 წლამდე არასრულწლოვნისთვის - 6:00 საათიდან 23:00 საათამდე
12 წლამდე არასრულწლოვნისთვის - 6:00 საათიდან 21:00 საათამდე
7 წლამდე არასრულწლოვნისთვის - 6:00 საათიდან 21:00 საათამდე.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდება, ვებ-გვერდები 1000 ლარით, კანონდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი 3000 ლარით დაჯარიმდებიან. ხოლო ტელევიზიები პირველ ჯერზე 2500 ლარით, ან მაუწყებლის წლიური შემოსავლის არაუმეტეს 0.5%-ის ოდენობით დაჯარიმდებიან, კანონდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, კომუნიკაციების კომისია უფლებამოსილია მაუწყებელს კვლავ ჯარიმა დააკისროს, ან ავტორიზაცია შეუჩეროს.

რადიომაუწყებლობის ბაზრის განვითარების სტრატეგია

რადიომაუწყებლობის ეფექტური ზონალური დაყოფის მიზნით, რათა სატელევიზიო მაუწყებლობის მსგავსად, რადიომაუწყებლობის ბაზარიც უფრო მეტად მრავალფეროვანი და კონკურენტული იყოს, კომუნიკაციების კომისია ბოლო წლების მანძილზე აქტიურად მუშაობს. რადიომაუწყებლობისთვის განკუთვნილი ამოწურვადი სიხშირული რესურსის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ 2020 წელს დაასრულა მუშაობა „ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ" დადგენილებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე კერძო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად კონკურსების გამოცხადების სტრატეგიის პროექტი გამოაქვეყნა. სტრატეგიით დადგენილი ცვლილებები არ ეხება უკვე არსებულ და გაცემულ ლიცენზიებს, რომლებსაც 10+10, ანუ ჯამში 20 წლიანი მოქმედების ვადა აქვს კანონით განსაზღვრული. ახალი პროცედურები და ცვლილებები მხოლოდ ახალ რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის ახალ მაძიებლებს შეეხებათ.

დოკუმენტი განსაზღვრავს კომუნიკაციების კომისიის ხედვას კერძო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად კონკურსების გამოცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს ეფუძნება, მათ შორის, ამოწურვადი სიხშირული რესურსის მაქსიმალურად ეფექტურად, რაციონალურად და ოპტიმალურად გამოყენებას, დასახლებული პუნქტების მაქსიმალურად მოცვას რადიომაუწყებლობის სიგნალით, მოქმედი კერძო საეთერო რადიომაუწყებლების სამაუწყებლო არეალის გაფართოებას და ასევე, აღნიშნულ ბაზარზე ახალი მაუწყებლების შემოსვლას. აღნიშნული ცვლილებები ადგენს 15 სამაუწყებლო ზონას. ახალ ზონალურ დაყოფასთან ერთად დაწესებული დაფარვის ვალდებულებებიდან გამომდინარე, მოხდება არა მხოლოდ დიდი ქალაქების, არამედ თითოეულ ზონაში არსებული მცირე დასახლებული პუნქტების რადიოსიგნალით დაფარვა. მცირე დასახლებული პუნქტები დღეს მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მოუსმინონ რადიოს, ვინაიდან რადიომაუწყებლობისთვის მოქმედი ლიცენზიები, ძირითადად, გაცემულია დიდ ქალაქებზე.

კომუნიკაციების კომისია ლიცენზიების გაცემას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გეგმიურად, 2 წელიწადში ერთხელ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე მოახდენს. კონკურსში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ ის რადიო მაუწყებლებიც, რომლებსაც ლიცენზიის მოქმედების ვადა ეწურებათ და სურვილი აქვთ კვლავ მოიპოვონ რადიომაუწყებლობის ლიცენზია.

კომუნიკაციების კომისია, ახალი ზონალური დაყოფის შემდეგ, კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაატარებს საზოგადოებრივი აზრის კვლევას ახალი ზონების მიხედვით, რის შემდეგაც განახლებულ თავისუფალ სიხშირულ რესურსს გამოაქვეყნებს და კერძო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად გამოაცხადებს შესაბამის კონკურსებს. კონკურსში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ ის რადიო მაუწყებლებიც, რომლებსაც ლიცენზიის მოქმედების ვადა მეორედ ეწურებათ და სურვილი აქვთ კვლავ მოიპოვონ რადიომაუწყებლობის ლიცენზია.

რადიომაუწყებლობის ბაზარზე კონკურენციის გაჯანსაღებას და მომხმარებლისთვის უკეთესი რადიო მომსახურების მიწოდებას მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ციფრული აუდიო მაუწყებლობის DAB განვითარება. 2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ ციფრული აუდიო მაუწყებლობის მუშაობის პრინციპები და არსებული სტანდარტების მსოფლიო პრაქტიკა შეისწავლა, მათ შორის მოხდა ტექნიკური მახასიათებლებისა და DAB სისტემის მეშვეობით მონაცემთა გადაცემის საშუალებების აპრობირებული აპლიკაციების შესწავლა. მიმდინარეობს მუშაობა ციფრული მაუწყებლობის განვითარების სტრატეგიაზე.
ციფრული რადიომაუწყებლობის სტრატეგია იქნება სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც კომუნიკაციების კომისია დაგეგმავს შესაბამისი ლიცენზირების და ავტორიზაციის, აგრეთვე მიწისზედა ციფრული რადიოსამაუწყებლო ქსელის ოპერირებისთვის უფლების მინიჭების საკითხებს.

ქვეყანაში მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების განვითარების მიმართულებით, კომუნიკაციების კომისიის მნიშვნელოვანი როლი და ეფექტური მუშაობა არაერთხელ იქნა აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

სწორედ მედიაწიგნიერების წარმატებული პროექტები გახდა იმის საფუძველი, რომ კომუნიკაციების კომისია 2021 წელს ევროკავშირის პროექტს - „დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა: კრიტიკული აზროვნების განვითარება განათლებაში“ განახორციელებს. 2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის დაფინანსება მიიღო და პროექტის ფარგლებში, თბილისსა და რეგიონებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, საჯარო სკოლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებს მედიაწიგნიერების მიმართულებით გადაამზადებს. პედაგოგები მიიღებენ ცოდნას დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის ნეგატიური ზეგავლენისა და მათგან თავის დაცვის მექანიზმების შესახებ. ისინი ისწავლიან იმ პრაქტიკულ მეთოდებს, თუ როგორ უნდა ამოიცნონ დეზინფორმაცია მედიაწიგნიერების უნარ-ჩვევების გამოყენებით. ამასთან, სასწავლო სემინარები მათ დაეხმარება და მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ ამომწურავი და გააზრებული ინფორმაცია ევროპული ღირებულებებისა და საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შესახებ. საბოლოო შედეგი კი კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარების განვითარებაა, რაც ციფრულ ეპოქაში თითოეულ მოქალაქეს სჭირდება.

Log-in Georgia - სახელმწიფოს და მსოფლიო ბანკის საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი

კიდევ ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, საყოველთაო ინტერნეტიზაციაა. პროექტი საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა.

პროექტის პირველი კომპონენტი ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის გაზრდას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას და ციფრული განვითარებისთვის მხარდამჭერი გარემოს გაუმჯობესებას ითვალისწინებს. პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოს 1000 სოფლის 500,000 მოქალაქეს, მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში, ექნებათ შესაძლებლობა ფართოზოლოვან, მაღალი ხარისხის ინტერნეტს დაუკავშირდნენ და ისარგებლონ ისეთი ციფრული სერვისებით, როგორებიცაა: ელექტრონული ჯანდაცვა, დისტანციური სწავლება, ელექტრონული მმართველობა და ა.შ.
პროექტის ეფექტურობის მისაღწევად 2020 წელს, კომუნიკაციების კომისიის მხრიდან, მნიშვნელოვანი სამუშაო იქნა გაწეული. პროექტში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით, შემუშავდა პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელო, გაფორმდა პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება და შემუშავდა პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა.
Log-in Georgia-ს პროექტს კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერით, ხუთი წლის განმავლობაში Open Net-ი განახორციელებს.
მეორე კომპონენტი, რომელსაც კომუნიკაციების კომისია განახორციელებს, მოსახლეობისთვის ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობაა.
ციფრული სერვისების სწორი გამოყენება, დისტანციური სწავლებისა და ტელემედიცინის განვითარება, ციფრული საფინანსო სერვისებისა და ელექტრონული კომერციის ხელშეწყობა, ტურიზმის, მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის გაფართოება - ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ შესაძლებლობებისა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ციფრული ეკონომიკის განვითარებით მიიღებს.

კომუნიკაციების კომისია წინასწარ შერჩეულ სოფლებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოსახლეობას ტრენინგებს ჩაუტარებს, ასევე განახორციელებს მიზნობრივ ინტერვენციებს სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის. კომუნიკაციების კომისია სპეციალური ტრენინგ-პროგრამებით დაეხმარება მოქალაქეებს, ტექნოლოგიების გამოყენებით, განივითარონ შესაბამისი ციფრული უნარ-ჩვევები და შეძლონ სახელმწიფოს სხვადასხვა ელექტრონული სერვისით სარგებლობა. ასევე, ჩატარდება სპეციალური ღონისძიებები ქალების, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. პროექტის ფარგლებში, განსახორციელებელი ღონისძიებების შედეგად, სოფლის მოსახლეობა და რეგიონში მოქმედი საწარმოები უზრუნველყოფილი იქნებიან იმ თანაბარი შესაძლებლობებით, რითიც ქალაქის მოსახლეობა სარგებლობს.

მედიაწიგნიერება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

მედიაწიგნიერების განვითარებისა და ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფად ეთნიკური უმცირესობები განისაზღვრა, რაც მომდევნო წლებში კომუნიკაციების კომისიის მთავარი პრიორიტეტი იქნება.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მედიაწიგნიერების პროექტების განხორციელება კომუნიკაციების კომისიამ 2020 წელს დაიწყო. მედიაწიგნიერება, როგორც დეზინფორმაციასთან ბრძოლის მთავარი იარაღი - კომუნიკაციების კომისიამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ახალი სასწავლო მასალა შექმნა, რომელიც სწორედ მედიაწიგნიერების უნარების განვითარებითა და გამოყენებით სტერეოტიპებისა და სოციალური მედიის მავნე ზეგავლენებთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლას ისახავს მიზნად.

ტრენინგების ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების 100-ზე მეტი წარმომადგენელი გადამზადდა, რომლებმაც გაიღრმავეს ცოდნა და მიიღეს დეტალური ინფორმაცია მედიაწიგნიერების ძირითადი არსის და პრინციპების შესახებ. ასევე, მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორია მედიაწიგნიერების როლი სტერეოტიპებით გამოწვეულ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში და როგორ უნდა ვებრძოლოთ დეზინფორმაციას თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში.

“დეზინფორმაციის ზეგავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე და მისი პრევენციის მნიშვნელობა” - ეს იყო ერთ-ერთი პირველი ტრენინგი, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტია „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“, რომლის მიზანიც ტრენერების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდები სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და მიწვეულ ექსპერტებს შეხვდნენ, გაიღრმავეს ცოდნა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ევროპული ფასეულობების, ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების და მისწრაფებების შესახებ. პროექტის შემდგომ ეტაპზე გადამზადებული ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, თავად ჩაატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და თემის ლიდერებთან.

პროექტები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, მთავრობის ადმინისტრაციასთან და კომუნიკაციების კომისიასთან თანამშრომლობით, ასევე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG), „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის” (PITA) და ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა.

მედიაწიგნიერება და ციფრული წიგნიერება უნივერსიტეტებში

კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების, ასევე ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ მედიაწიგნიერების პროექტების განხორციელება უნივერსიტეტებში 2020 წლიდან დაიწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - ეს ის უნივერსიტეტებია, რომელთა 700-მდე სტუდენტი მედიაწიგნიერების პროექტებში უკვე ჩაერთო.

2020 წელს, კომუნიკაციების კომისიასთან თანამშრომლობის შედეგად, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა (BTU) ახალი საგნის - „ციფრული წიგნიერება და კიბერეთიკა“ სწავლება დაიწყო და საგანს 100-ზე მეტი სტუდენტი უკვე დაეუფლა. ამასთან ერთად, 2019-2020 სასწავლო წლიდან, მედიაწიგნიერების საფუძვლებსა და ძირითად მიმართულებებს უნივერსიტეტის ყველა ის სტუდენტი სწავლობს, რომელიც სასწავლო პროგრამის ფარგლებში, ბიზნეს-კომუნიკაციასა და სტრატეგიულ კომუნიკაციას ეუფლება. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის 500-მდე სტუდენტმა მედიაწიგნიერების საფუძვლები უკვე შეისწავლა.

ციფრული წიგნიერების, როგორც ახალი საგნის სწავლება, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც კომუნიკაციების კომისიასა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შორის მედიაწიგნიერების განვითარების ერთობლივი პროექტების ფარგლებში უკვე მიღწეულია. სასწავლო წლის დაწყებამდე, კომუნიკაციების კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, რეკომენდაციები შემუშავდა მედიაწიგნიერების სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ახალი სილაბუსის დახვეწისა და განვითარებისთვის.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, ერთობლივ პროექტებში აკადემიური პერსონალი და სტუდენტები არიან ჩართული. საგანმანათლებლო სესიები სტუდენტებს ნამდვილი და ყალბი ინფორმაციის გარჩევაში ეხმარება. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ მედიაწიგნიერების კონკურსში „ნამდვილი თუ მოგონილი?!“, ხოლო შემდგომ ეტაპზე, სასწავლო კომპონენტის განხორციელება სწორედ მათი თანამონაწილეობით, სკოლებში მოხდება.

კომუნიკაციების კომისიის დახმარებით, სტუდენტები ასევე, მედიაწიგნიერების პროექტის - „მედიის ეკონომიკა“ ფარგლებში, მედიის ეკონომიკის საერთაშორისო გამოცდილების ახალ მიდგომებს ეუფლებიან. ამ მიმართულებით თანამშრომლობა, როგორც საგანმანათლებლო კომპონენტს, ისე სტარტაპების მიმართულებით, ერთობლივ მუშაობას გულისხმობს.

მედიაწიგნიერების განვითარება მოზარდებში

მედიაწიგნიერების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა და მათი ცნობიერების ამაღლებაა, ვინაიდან ტექნოლოგიების ეპოქაში მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მოზარდების ონლაინ სივრცეში მავნე ზეგავლენისგან დაცვისა და მათი ინტერნეტში უსაფრთხო ნავიგაციის მიზნით, კომუნიკაციების კომისია განათლების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2018 წლიდან უმნიშვნელოვანეს პროექტებს ახორციელებს.



Happy Onlife - ონლაინ აპლიკაცია, რომელიც დაწყებითი და უფროსი კლასის მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს ინტერნეტში უსაფრთხო ნავიგაციას და ციფრული მედიის უსაფრთხოდ გამოყენების წესებს ასწავლის. აპლიკაციის მიზანია, ბავშვებმა და მოზარდებმა თამაშით ისწავლონ ციფრული მედიის უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი გამოყენება, ონლაინ კონტენტის კრიტიკული შეფასება და ანალიზი. ამასთან ერთად, Happy Onlife ხელს უწყობს მშობლებსა და მასწავლებლებს, აქტიურად იზრუნონ მოსწავლეების მედიაწიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებაზე და დაიცვან ისინი კიბერბულინგისგან. აპლიკაცია Happy Onlife ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, როგორებიცაა კიბერბულინგი, ინფორმაციის წყაროს კრიტიკულად შეფასება, მშობელთან, მასწავლებელთან, უფროსებთან კომუნიკაცია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პირადი მონაცემების ონლაინ სივრცეში დაცვა.

2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ მედიააკადემიასთან ერთად, აპლიკაციისთვის თარგმნა დამატებითი 150 კითხვა, რომელიც აპლიკაციას დაემატება, ახალი კითხვების დამატება თამაშს უფრო მრავალფეროვანს და შემეცნებითს გახდის.

Happy Onlife ჩაშვების დღიდან 9,000-მდე მომხმარებელმა ჩამოტვირთა

2020 წელს აპლიკაციისა და სამაგიდო თამაშის სწორი გამოყენების შესახებ ტრენინგები კომუნიკაციების კომისიამ ქვეყნის მასშტაბით 10 სკოლაში 700-ზე მეტ მოსწავლეს ჩაუტარა. ტრენინგებს მასწავლებლები და მოსწავლეების მშობლებიც ესწრებოდნენ. ამასთან ერთად, განათლების სამინისტროს ინიციატივით და ორგანიზებით, აპლიკაციის შესახებ სასწავლო ვებინარი საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა.

პანდემიის პირობებში, დისტანციური სწავლების დროს, Happy Onlife-მა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და მასზე მოთხოვნის ზრდის საფუძველზე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, აპლიკაციის შესახებ საინფორმაციო ვიდეო რგოლი საზოგადოებრივ მაუწყებელზე, „ტელესკოლის“ ეთერში განთავსდა.

Happy Onlife-ით ითამაშეს მე-3, მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეებმა საჯარო სკოლებში, სადაც უსაფრთხო ინტერნეტის დღესთან დაკავშირებით, მოსწავლეებს ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ ინტერაქტიული ტიპის ტრენინგი ჩაუტარდათ.

გამარჯობა რუბი - ფინური წიგნების სერია, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი კლასის ბავშვებში პროგრამირების, კომპიუტერული მეცნიერებებისა და კოდის წერის საწყისების დაუფლებას, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარების განვითარებას. 2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ და მედიააკადემიამ დამატებით 3000 ახალი წიგნი დაბეჭდა.

თბილისის N71 საჯარო სკოლის ადმინისტრაციის მოთხოვნით, „გამარჯობა რუბი“ დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის სავალდებულო საგნად განისაზღვრა და მოსწავლეები, კერძო სკოლების მსგავსად, ფინური წიგნით კომპიუტერული მეცნიერებების საწყისებს უკვე სასწავლო გეგმის ფარგლებში ეუფლებიან. კომუნიკაციების კომისიამ ჩაატარა გამოკითხვა იმ სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებთან, სადაც „გამარჯობა რუბით“ სწავლება მიმდინარეობს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ სწავლების შედეგები მაღალია, ისევე, როგორც მოსწავლეების კმაყოფილების დონე. ფინური წიგნების სერიის მიმართ განსაკუთრებული ინტერესისა და მოთხოვნის გამო, წიგნის ავტორის, ლინდა ლიუკასის სწავლების მეთოდოლოგიით კომუნიკაციების კომისიამ განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2020 წელს დამატებით 50-ზე მეტი მასწავლებელი გადაამზადა.

მედიის ეკონომიკა - ეს არის პროექტი, რომელიც 10-დან 15 წლამდე მოზარდებს ციფრული მედიის ეკონომიკასა და ინტერნეტ-საფრთხეების ამოცნობის უნიკალურ მიდგომებსა და გზებს ასწავლის.
საქართველოს სკოლებში მოსწავლეები ინტერაქტიული ტრენინგების ფორმატით სწავლობენ, როგორ აირჩიონ და გამოიყენონ ციფრული მედია საშუალებები და, რაც მთავარია, იღებენ ინფორმაციას ციფრული მედიის ფინანსური და ეკონომიკური ასპექტების შესახებ.
სწავლება მულტიმედიური პლატფორმებისა და ინტერნეტის გამოყენებით, როგორც ჯგუფებში, ისე ინდივიდუალურად, პრაქტიკული და ინტერაქტიული სამუშაოების გზით მიმდინარეობს. საგაკვეთილო სქემა კურსის ავტორთან, „ზაფირიას მედიაგანათლების ცენტრის“ დირექტორთან, ალესანდრა ფალკონესთან ერთად არის შემუშავებული და მორგებულია სპეციალურად ქართულ სკოლებზე. 2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ განაახლა მედიის ეკონომიკის სილაბუსი და შექმნა ახალი სასწავლო მასალა სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლის საფუძველზეც 100-ზე მეტი მასწავლებელი და „ახალი სკოლის მოდელის“ ქოუჩი გადამზადდა.

კომუნიკაციების კომისიამ მედიაწიგნიერების მიმართულებით განხორციელებული პროექტების შეფასების სისტემა შეიმუშავა. გამოიკითხა ყველა სამიზნე აუდიტორია, მათ შორის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. შეფასების ანგარიშები ადასტურებს, რომ კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების პროექტებზე მოთხოვნა მზარდია, რაც პროექტების ეფექტურობასა და წარმატებას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“

კომუნიკაციების კომისიამ მედიააკადემიასთან ერთად, 2020 წელს მედიაწიგნიერების კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ჩაატარა. მედიაწიგნიერების კონკურსი, რომელიც მოზარდებში მედიაწიგნიერების, კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების უნარების განვითარებას ისახავს მიზნად, მეოთხედ ჩატარდა, თუმცა მასში მონაწილეობა ბაკალავრიატის სტუდენტებმა პირველად მიიღეს.
სტუდენტებისთვის პირველი კონკურსის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიაში სულ 120-მდე საკონკურსო ნამუშევარი შემოვიდა.
სტუდენტებს უნდა აღმოეჩინათ ქართულ მედიასივრცეში, მათ შორის ინტერნეტში, ტელევიზიასა და ბეჭდურ მედიაში გავრცელებული ყალბი ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა საქართველოში მომხდარ ამბავს და ჯერ არ ყოფილა დადასტურებული, როგორც Fake News.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის გამარჯვებულებსა და სხვა კონკურსანტებს, რომლებიც პირველ სამეულში ვერ მოხვდნენ, მაგრამ ხარისხიანი ნამუშევრები წარმოადგინეს, ამასთან, გამოავლინეს მაღალი კომპეტენცია და ეფექტური უნარები, კომუნიკაციების კომისია კარიერულ განვითარებაში დაეხმარება. კომუნიკაციების კომისია კონკურსის მონაწილე 15-მდე საინტერესო ნამუშევრის ავტორ სტუდენტს სერტიფიცირებულ ტრენინგებს ჩაუტარებს. სტუდენტები BBC აკადემიის სასწავლო მასალებსა და მედიაწიგნიერების დეპარტამენტის მიერ შექმნილ პროგრამას გაივლიან, რის შემდეგაც კომუნიკაციების კომისია მათ მისცემს შესაძლებლობას, მედიაწიგნიერების მიმართულებით სხვადასხვა პროექტში მიიღონ მონაწილეობა და საკუთარი გამოცდილება სხვა სტუდენტებსა და მოსწავლეებს გაუზიარონ.
კონკურსის პარალელურად, კომუნიკაციების კომისიამ ფაქტების გადამოწმებისა და ყალბი ინფორმაციის აღმოჩენის შესახებ, თბილისსა და რეგიონებში 6 უნივერსიტეტის 200-მდე სტუდენტს ონლაინ სასწავლო სესიები ჩაუტარა. BBC Academy-ის მასალების გამოყენებით, ინტერაქტიული სესიების ფარგლებში, სტუდენტებმა ისწავლეს, როგორ მოახდინონ მედიაში გავრცელებული ყალბი ინფორმაციის ანალიზი და გადაამოწმონ ფაქტები. აღნიშნული შეხვედრები მათ ასევე, საკონკურსო ნაშრომის მომზადებაშიც დაეხმარა.

2020 წელს კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ სკოლის მოსწავლეებისთვის მესამედ წარმატებით ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეების რეკორდულმა რაოდენობამ მიიღო. 185 მაღალი ხარისხის და საინტერესო ნაშრომიდან, მაღალი კონკურენციის პირობებში, კომპეტენტურმა ჟიურიმ სამი გამარჯვებული გამოავლინა, კონკურსის ერთ-ერთ მონაწილეს კი სპეციალური პრიზი გადაეცა. გამარჯვებულებს კომუნიკაციების კომისიამ ულტრათანამედროვე პრიზები გადასცა.

კორონა ვირუსის პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, ღონისძიებას მხოლოდ ჟიურის წევრები და კონკურსის გამარჯვებულები ესწრებოდნენ.

პირველი ადგილი ლაშა გულუაშვილმა დაიკავა, რომელსაც კომუნიკაციების კომისიისგან საჩუქრად iPhone 11 Pro გადაეცა. მეორე ადგილზე მარიამ ნამიჭეიშვილი გავიდა, რომელმაც საჩუქრად უახლესი მოდელის iPad მიიღო, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი ნენე ჟვანია გახდა, რომელსაც კომუნიკაციების კომისიისგან Beats Studio 3-ის თანამედროვე უსადენო ყურსასმენი გადაეცა. ჟიურის სპეციალური პრიზის მფლობელი ჰასმიკ ბაღდასარიანი გახდა, რომელმაც კომუნიკაციების კომისიისგან საჩუქრად iPhone SE მიიღო.

კონკურსის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით, 10 საჯარო სკოლაში 200-ზე მეტი მოსწავლისთვის ონლაინ გაკვეთილები ჩაატარა.

ისწავლე საუკეთესოსგან – მედიააკადემიის მასტერკლასი

2020 წელს დაიწყო მედიააკადემიის ექსკლუზიური პროექტი – ონლაინმასტერკლასი. ქართულ მედიასივრცეში პირველი ონლაინმასტერკლასი ჟურნალისტიკით დაინტერესებულ პირებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, უფასოდ მიიღონ ცოდნა და ისწავლონ ყველაფერი, რაც პროფესიულ ჟურნალისტს სჭირდება. „ისწავლე საუკეთესოსგან“ - ეს არის პროექტი, რომელიც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს და, ზოგადად, მედიით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, ონლაინ რეჟიმში სთავაზობს სალექციო კურსს.

ამბის თხრობა, ინტერვიუს ჩაწერა, კითხვის დასმის ტექნიკა, ფოტოამბის მომზადება, გადასაღებ მოედანსა და სტუდიაში მუშაობა - ეს ის თემებია, რომლებსაც ოთხი ავტორის 30 ლექცია მოიცავს. ჟურნალისტი ეკა ბერიძე, დრამატურგი ბასა ჯანიკაშვილი, ჟურნალისტი თამთა სანიკიძე და ფოტორეპორტიორი დავით მძინარიშვილი მაყურებელს თავიანთ მრავალწლიან გამოცდილებას უზიარებენ და ასწავლიან ყველაფერს, რაც პროფესიონალ ჟურნალისტს მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის მოსამზადებლად სჭირდება. ონლაინ მასტერკლასი საუკეთესო საშუალებაა საიმისოდ, რომ დაინტერესებულმა პირმა კულისებში შეიხედოს და წარმატებული პროფესიონალთაგან მოისმინოს ის, რაც ეთერში არასდროს ჩანს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭიროა ხარისხიანი ჟურნალისტური პროდუქციის მოსამზადებლად.

„მასტერკლასის“ კურსის პირველი ციკლი მოიცავს ოცდაათ 10-12 წუთიან ვიდეო ლექციას, რომლებიც განთავსებულია მედიააკადემიის YouTube-ის არხზე და ყველასთვის ხელმისაწვდომია – სრულიად უფასოდ, ნებისმიერ დროს.

ონლაინმასტერკლასი, რომელსაც წლის ბოლოსთვის 160 ათასზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, აქტუალურობას არც დღეს კარგავს. პირიქით, პროექტის მიმართ ინტერესი თანდათან იზრდება. იზრდება იმ მომხმარებელთა რიცხვი, ვინც სახლიდან გაუსვლელად, უფასოდ დაეუფლა ჟურნალისტიკის საფუძვლებს და ისწავლა, როგორ იქმნება მედიაპროდუქტი. „მასტერკლასისადმი“ დიდი ინტერესიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისიის მედიააკადემიას დაგეგმილი აქვს არაერთი საინტერესო ავტორის მოწვევა, რათა სალექციო კურსი მომავალში კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი გახდეს.

ონლაინმასტერკლასის პარალელურად, მედიააკადემიის მედიასკოლა უკვე მეორე წელია, მედიის წარმომადგენლებს ეხმარება პროფესიულ წინსვლასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, იცვლება მომხმარებლის ქცევა და სულ უფრო აქტუალური ხდება მულტიმედიური პროდუქტები, მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით მედიის წარმომადგენლებმა მუდმივად გაიღრმავონ ცოდნა და ფეხი აუწყონ ახალ ტენდენციებს.
პანდემიის აქტიურ ფაზაში შესვლამდე, 2020 წელს, მედიასკოლამ რამდენიმე მნიშვნელოვანი სერტიფიცირებული სემინარის ჩატარება მოახერხა.

ამბის თხრობის ტექნიკა სოციალურ მედიაში

გამომდინარე იქიდან, რომ მედიაგარემო სწრაფად ვითარდება და სოციალური მედია ლამის ყოველდღიურად გვთავაზობს სიახლეებს, მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებმა იცოდნენ, როგორ გადმოსცენ ამბავი და შექმნან მულტიმედიური პროდუქტი სოციალური პლატფორმების აუდიტორიისთვის.



გიორგი გოგუას ტრენინგი, რომელიც მედიასკოლის ბაზაზე ჩატარდა, თეორიული ნაწილის გარდა, მოიცავდა პრაქტიკულ სამუშაოსაც და ისეთ კონკრეტულ საკითხებზე იყო აგებული, როგორებიცაა თემის გაშუქების სტრატეგია და აუდიტორიის ანალიზი, ამბის გადმოცემის ის გზები, რომლებიც სოციალურ მედიაში აუდიტორიის მაღალ ჩართულობას უზრუნველყოფს. მედიის წარმომადგენლები გაეცნენ ამბის თხრობის მეთოდებს ციფრულ ეპოქაში, ამბის გადმოცემის გზების ურთიერთმიმართებას ტრადიციულ ჟურნალისტიკასა და ახალ - მულტიმედიურ შესაძლებლობებს შორის.

ფოტოჟურნალისტიკა

თანამედროვე სამყაროში, სადაც ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ, ტრადიციული მედიის ნაცვლად, სოციალური მედია გვევლინება, მნიშვნელოვანია, რეპორტიორმა ზუსტად იცოდეს, ოპერატიულად როგორ მიაწოდოს ინფორმაცია თავის აუდიტორიას, როგორ მოამზადოს ფოტორეპორტაჟი მობილური ტელეფონით. ამ მიზნით ფოტორეპორტიორმა დავით მძინარიშვილმა მედიის წარმომადგენლებს ჩაუტარა ფოტოჟურნალისტიკის ტრენინგი, რომლის მონაწილეებიც გაეცნენ ფოტოგრაფიისა და ფოტორეპორტაჟის ძირითად საკითხებს: ფოტოკამერის მუშაობის პრინციპებს, კომპოზიციას, ექსპოზიციას და სხვ. სერტიფიცირებული ტრენინგის ფარგლებში, განსაკუთრებული დრო დაეთმო მობილურ ფოტოგრაფიას და მობილური ტელეფონით ახალი ამბებისა და ფოტორეპორტაჟის მომზადებას.

მედიაწიგნიერება და ციფრული მოქალაქეობა

კომუნიკაციების კომისიის თაოსნობით, მედიააკადემიაში ჩატარდა მედიაწიგნიერებისა და ციფრული მოქალაქეობის პორტუგალიელი ექსპერტის, ვიტორ ტომეს სემინარი, რომელშიც საუბარი შეეხო მედიაწიგნიერებისა და ციფრული მოქალაქეობის თანამედროვე გამოწვევებსა და როლს. მედიის მუშაკებთან ერთად, სემინარს ესწრებოდნენ კომუნიკაციების კომისიის, მედიააკადემიისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები.

უცხოელმა მკვლევარმა დამსწრეთ გაუზიარა საერთაშორისო გამოცდილება განათლების, მედიისა და მედიაწიგნიერების სფეროებში. ექსპერტმა შეაფასა საქართველოში მედიაწიგნიერების მიმართულებით არსებული შესაძლებლობები, საჭიროებები და გამოწვევები.

> ჟურნალისტებისთვისა და მედიაკომპანიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია ის, რასაც კომუნიკაციების კომისია და მედიააკადემია მედიაწიგნიერების განვითარებისთვის აკეთებენ, ამ შრომის ნაყოფი ბევრს გამოადგება. მნიშვნელოვან საქმეს აკეთებთ მედიაკრიტიკის მიმართულებითაც. ამით თქვენ ტრენინგს უტარებთ არა მხოლოდ მედიას, არამედ მთელ საზოგადოებას. და თუ ამისთვის გაკრიტიკებენ, ესე იგი საქმეს საუკეთესოდ აკეთებთ
>
> - ვიტორ ტომე

ასე შეაფასა მედიაწიგნიერებისა და ციფრული მოქალაქეობის ექსპერტმა ვიტორ ტომემ მედიააკადემიის საქმიანობა.

მედიაკრიტიკის პლატფორმამ, რომელიც მედიააკადემიამ ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობისა და მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით შექმნა, ერთ წელიწადში შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. ვებ-გვერდს მოკლე დროში ნახევარ მილიონზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, აქტიური იყო მედიაკრიტიკის სოციალური მედიის გვერდი, სადაც, მედიაკტრიტიკის მასალების გაცნობასთან ერთად, მომხმარებლები სხვადასხვა საკითხზე თავიანთ მოსაზრებებსაც გამოხატავდნენ.

Mediacritic.ge-ს მიზანი ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობაა, კერძოდ, მედიაკრიტიკის საშუალებით, მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია ყალბი და არაკეთილსინდისიერი მედიაპროდუქტის შესახებ. მედიაკრიტიკის მიზანია, ერთი მხრივ, საზოგადოებას დაეხმაროს იმის გარჩევაში, როგორ მედიაპროდუქტს მოიხმარს და, მეორე მხრივ, პროფესიულ განვითარებაში შეუწყოს ხელი თავად ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს.

მედიაკრიტიკის ერთწლიანი მუშაობა საზოგადოებაში კრიტიკული აზროვნების დონის ამაღლებასა და მოქალაქეთა სწორად ინფორმირებას ემსახურებოდა და ამ მხრივ აქტიური მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

მედიაპროდუქტების პროფესიული ანალიზი მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას, რომელთა სტატისტიკაც ასეთია:

- 58 რეცენზია (მედიაკრიტიკის ანალიტიკური მიმართულება)
- 63 ბლოგი (რუბრიკა საავტორო პროდუქტებისთვის)
- 178 რეპლიკა (ყოველდღიურ ახალ ამბებზე ორიენტირებული ჟანრი)

Mediacritic.ge-ს გამოჩენიდან უნიკალურ ვიზიტორთა რაოდენობამ ნახევარ მილიონს გადააჭარბა, ხოლო მედიაკრიტიკის ფეისბუქის გვერდზე განთავსებულ მასალებს მილიონზე მეტი მომხმარებელი გაეცნო.

ეს შედეგები მიუთითებს პლატფორმის აქტუალურობაზე და ნათლად გვიჩვენებს, რაოდენ დიდია საზოგადოების ინტერესი კვალიფიციური მედიაკრიტიკისადმი.
2019 წელს მედიის ექსპერტებისა და პროფესიონალი ჟურნალისტების მონაწილეობით, შემუშავებულ იქნა მედიაკრიტიკის სარედაქციო კოდექსი, რომელსაც აკისრია მედიააკადემიაში მიმდინარე აკადემიური პროცესების ხელშეწყობისა და, ზოგადად, მედიაკრიტიკის სფეროს განვითარების ფუნქცია. შექმნის დღიდან მედიაკრიტიკის პლატფორმა სწორედ ამ კოდექსში გაწერილი პრინციპებითა და მაღალი ჟურნალისტური სტანდარტებით ხელმძღვანელობს.

მედია ლაბი

2020 წელს აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება მედიააკადემიის მედიალაბმა. ეს არის ლაბორატორია სტარტაპერებისთვის, რომელიც ხელს უწყობს ციფრულ მედიაში საინტერესო პროექტების განვითარებას. მედიალაბი არის ახალი შესაძლებლობა იმისთვის, რომ სტარტაპერებმა უზრუნველყონ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ინოვაციური, პროგრესული და თანამედროვე მედიაპროდუქტების შექმნა და დანერგვა.

მედიალაბის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს სიახლეების დანერგვას ციფრულ მედიაში, მოიზიდოს შემოქმედებითად და ინოვაციურად მოაზროვნე ადამიანები, უზრუნველყოს ბიზნესისა და ინვესტორთა ჩართულობა და ხელი შეუწყოს ძლიერი სტარტაპ საზოგადოების (startup community) შექმნას.
სტარტაპერებს მედიალაბი რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით ეხმარება. მათ შორის არის საერთო სამუშაო სივრცე, „რეზიდენტი“ სტარტაპების ინკუბაცია და დაფინანსება, სტარტაპების აქსელერაცია და ინოვაციური პროექტების განხორციელება.

აქსელერაციის პროგრამის - მიზანია სტარტაპერებს იდეის დახვეწასა და საბოლოო პროდუქტის შექმნაში დაეხმაროს. იმის გასაგებად, რამდენად წარმატებული იქნება შენი იდეა, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზევე მოხდეს იდეის შეფასება და ანალიზი, იდეის სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრა. პროდუქტის შექმნის გზა, რომელიც მუდმივ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, სწორედ ამ ეტაპიდან იწყება. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად მედიალაბმა ციფრული მედიის სფეროში მომუშავე სტარტაპებისთვის შექმნა აქსელერაციის ინდივიდუალური პროგრამა, რომლის მიზანია იდეის დახვეწასა და პროდუქტის შექმნაში დაეხმაროს დამწყებ სტარტაპერებს. აქსელერაციის პროგრამა 2020 წლის სექტემბერში ამოქმედდა და ოთხი თვის მანძილზე პროგრამაში ჩართვის სურვილი 80-მდე სტარტაპმა გამოთქვა. აქსელერაციაში მონაწილე სტარტაპებს საშუალება ეძლევათ, გამოიყენონ მედიალაბის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო სივრცე.

მედიალაბის ინკუბატორი - პროგრამის მიზანია, სტარტაპებს დაეხმაროს პროექტისთვის დაფინანსების მოზიდვასა და პროდუქტის ბაზარზე გატანაში. ბაზარზე პირველად გასვლა სტარტაპერებისთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, როდესაც მათი იდეები და წარმოდგენები რეალობას ეჯახება. ამ რთული ეტაპის გადალახვაში სტარტაპებს სწორედ მედიალაბის სტარტაპინკუბატორი ეხმარება. მისი საშუალებით სტარტაპები გადიან ინკუბაციის პროცესს, რაც გულისხმობს მენტორობას, უფასო ტრენინგებსა და უორკშოპებს, იურისტის, დეველოპერის, ინჟინრისა თუ სხვა სპეციალისტების დახმარებას. მედიალაბი სტარტაპებს ფინანსურადაც ეხმარება.

მედიალაბის საერთო სამუშაო სივრცე. ინოვაციური იდეების განხორციელებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემო, სადაც საერთო ინტერესების მქონე ადამიანებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთი გაიცნონ, გაუზიარონ გამოცდილება და საერთო იდეის გარშემო გაერთიანდნენ. ამ მიზნით მედიალაბმა შექმნა უფასო საერთო სამუშაო სივრცე, სადაც ფრილანსერები და მცირე სტარტაპგუნდები მყუდრო, კომფორტულ გარემოში მუშაობენ. საერთო სამუშაო სივრცე აღჭურვილია თანამედროვე საოფისე აპარატურით, სწრაფი ინტერნეტით, იზოლირებული შეხვედრების ოთახით და სხვა მრავალი ინსტრუმენტით, რაც აუცილებელია კომფორტულად მუშაობისთვის. სივრცის გამოყენება შეუძლიათ როგორც მცირე სტარტაპ ჯგუფებს, ასევე ფრილანსერებს, პროგრამისტებს, დიზაინერებს, ხმის ინჟინრებს, ბლოგერებს და ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც სურს, სტარტაპებს პროდუქტის განვითარებაში დაეხმაროს.

სამუშაო სივრცე გათვლილია 10 გუნდზე და აკმაყოფილებს სტარტაპერების ყველა მოთხოვნას

სამუშაო სივრცე საშუალებას გვაძლევს, ჩავატაროთ სხვადასხვა სახის ღონისძიება 50-მდე მონაწილისთვის

2020 წელს მედიალაბმა წარმატებით შექმნა სტარტაპერების ონლაინსაზოგადოება, ონლაინრესურსებისა და სტატიების გავრცელებით მოიზიდა და გააერთიანა სტარტაპერები. მედიალაბმა სამომავლო სტარპატების შესაქმნელად მოიზიდა წარმატებული ანტრეპრენერები და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანები, აამაღლა ციფრული მედიის სფეროს ცნობადობა როგორც სტარტაპერების, ისე სტარტაპების ეკოსისტემაში ჩართულ ორგანიზაციებში და, რაც მთავარია, წარმატებული სტარტაპები ჩართო მედიალაბის საქმიანობასა და ღონისძიებებში.

www.medialab.ge-ზე
2020 წელს 46 სტატია
განთავსდა

- საინფორმაციო
- საგანმანათლებლო
- მამოტივირებელი

ვებ-გვერდზე სტატიებს **100,000**-ზე მეტი ვიზიტორი გაეცნო

სოციალურ ქსელში პოსტებს **10 მილიონამდე** ნახვა აქვს

2020 წელს მედიალაბმა განახორციელა პროექტები, რომლებიც მიმართულია მედიისა და კომუნიკაციების სფეროს განვითარებისკენ; მისი საქმიანობა, სხვათა შორის, მოიცავდა მეგამონაცემების (Big Data) დამუშავებას, ინფორმაციის შენახვასა და გაცვლას. მეგამონაცემთა დამუშავების პროექტი გულისხმობს საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს. მონაცემები სრულიად დაშიფრულია და დაშიფვრის მეთოდოლოგია შეთანხმებულია საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექციასთან. სატესტო რეჟიმში პროექტი შესაძლებელია გამოიყენოს რამდენიმე სახელმწიფო უწყებამ, მათ შორის ტურიზმის დეპარტამენტმა, სტატისტიკის დეპარტამენტმა, თბილისის მერიამ და დაცული ტერიტორიების სააგენტომ. პროექტის მონაცემებით ისარგებლებენ თავად მობილური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებიც.

მეგამონაცემთა დამუშავების პროექტის გამოყენებით, ტურიზმის დეპარტამენტის სპეციალისტებს ექნებათ შესაძლებლობა დეტალური ინფორმაცია მიიღონ უცხოელთა მიერ მონახულებული ტურისტული ადგილების, საზღვრის კვეთის, ტურისტების მიერ გამოყენებული სერვისებისა და ქვეყანაში გატარებული დროის შესახებ. ეს ინფორმაცია ტურიზმის დეპარტამენტს დაეხმარება ტურისტების ქცევის შესწავლასა და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვაში.

სტატისტიკის დეპარტამენტი მეგამონაცემებს მუნიციპალიტეტების დონეზე მოსახლეობის შიდა მიგრაციისა და შიდა ტურიზმის ანალიზისთვის გამოიყენებს.

თბილისის მერია მონაცემების მეშვეობით, შეძლებს განსაზღვროს სავაჭრო ცენტრების საქმიანობა, უბნების პროფილი და ღონისძიებები, ხოლო დაცული ტერიტორიების სააგენტო პროექტს ბილიკებისა და დაცული ტყე-პარკების ანალიზისთვის გამოიყენებს.

რაც შეეხება მობილური მომსახურების მიმწოდებელ ოპერატორებს, ისინი მეგამონაცემების მიხედვით მოახდენენ აბონენტების სეგმენტაციას და მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად, შეძლებენ მომსახურების მიწოდებისთვის დაფარვის ზონების განსაზღვრას.

2020 წელს მედიალაბმა ჩაატარა სტარტაპიდეების კონკურსი „იდეადრომი“, რომლის მიზანი იყო ციფრული მედიის სფეროში სტარტაპების შესაქმნელად მოეზიდა მეტი ანტრეპრენერი და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანი. კიბერუსაფრთხოება, როგორ დავიცვათ ინფორმაცია მომხმარებლებისა და ბიზნესებისთვის, როგორ ვებრძოლოთ ყალბ ინფორმაციას და როგორ დავიცვათ თავი მისგან, როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ყალბი და ნამდვილი ინფორმაცია, რა გამოწვევები ახლავს თან დისტანციურ მუშაობას, როგორ შევიმუშაოთ ეფექტიანი საკომუნიკაციო სისტემები და როგორ გავხადოთ კლიენტებთან კომუნიკაცია უფრო ეფექტიანი - ეს ის თემებია, რომლებსაც „იდეადრომის“ კონკურსი მოიცავდა.

კონკურსის მონაწილე გუნდები ციფრული მედიის სფეროდან არჩევენ მნიშვნელოვან პრობლემებს. მათ ორი დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ წამოჭრილი პრობლემის ინოვაციური გადაწყვეტა. პროექტის ფარგლებში გუნდებს ეხმარებიან მენტორები, რომლებიც მათ ინდივიდუალურად ამზადებენ ფინალისთვის. ღონისძიების მონაწილეებს ეძლევათ საშუალება, მიიღონ სტარტაპერობის გამოცდილება.

- **თანამშრომლობა კომუნიკაციების კომისიას და ICANN-ს შორის** - კომუნიკაციების კომისიასა და მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციას (ICANN) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი; შედეგად, ორი ორგანიზაცია თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც დომენურ სახელთა სისტემის (DNS) ეკოსისტემის განვითარებისა და ეროვნული დომენური სახელების (IDNs) პოპულარიზაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები ერთობლივ პროექტებზე შეთანხმდნენ, რაც დომენურ სახელთა სისტემის დაცულობის გაძლიერებას, ინტერნეტის სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და საქართველოში ინტერნეტის განვითარებას შეუწყობს ხელს.
2020 წელს კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (ICANN/GAC) საერთაშორისო შეხვედრებში. შეხვედრების მიზანი იყო ისეთი მნიშვნელოვანი თემების განხილვა, როგორიცაა: დომენური სახელების სისტემის ბოროტად გამოყენება (DNS Abuse) და მომხმარებელზე ზეგავლენა, WHOIS-ის მომსახურების ცვლილებები ახალი მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) ფარგლებში, საზოგადოების უსაფრთხოება და სხვა.

- **კომუნიკაციების კომისია EaPeReg-ის აქტიური წევრია** - EaPeReg-ის საქმიანობაში აქტიური ჩართულობით, კომუნიკაციების კომისია ხელს უწყობს საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს ჰარმონიზებას ევროკავშირთან, რაც თავის მხრივ, ევროინტეგრაციის პროცესის საწინდარია.
2020 წლის განმავლობაში კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ EaPeReg-ისა და მისი ექსპერტული ჯგუფების საქმიანობაში. მათ შორის იყო EaPeReg-ის პლენარული შეხვედრები, ასევე სიხშირული სპექტრის აუქციონის საწყისი ფასის დადგენისა და საგნების ინტერნეტის შესახებ გამართული თემატური შეხვედრები და ციფრული რუკის თაობაზე რეგიონალური TAIEX-ის პროექტის ფარგლებში გამართული სამუშაო შეხვედრები. EaPeReg-ის საქმიანობას ხელს უწყობს პროექტი "EU4Digital-ტელეკომის წესები", რომელიც 4 ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: როუმინგული ტარიფების შემცირება პირველ ეტაპზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, ხოლო მეორე ეტაპზე - აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის; სპექტრის ჰარმონიზაცია; ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის გაძლიერება და ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარება, ციფრული რუკის ჩათვლით. 2020 წელს, EaPeReg-ის როუმინგის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა (REWG), კომუნიკაციების კომისიის აქტიური ჩართულობით, დაასრულა რეგიონალურ როუმინგულ ხელშეკრულებაზე მუშაობა. ამავდროულად, ევროკომისიამ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ერთიანი როუმინგული სივრცის შექმნის შესაძლებლობის შესახებ კვლევის დაწყება დაადასტურა. ასევე, 2020 წელს, სპექტრის საკითხებზე EaPeReg-ის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა (SEWG), რომელსაც კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს, მუშაობა დაასრულა სპექტრის რეგიონალურ ხელშეკრულებაზე.
გარდა ამისა, კომუნიკაციების კომისია აქტიურად მონაწილეობდა EaPeReg-ის მარეგულირებლების დამოუკიდებლობისა და ფართოზოლოვანი მომსახურების ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (IRB EWG) აქტივობებშიც, კერძოდ - ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების კუთხით. ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით, განხორციელდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს დეტალური ანალიზი, რომლის საფუძველსაც ექსპერტების მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარი წარმოადგენდა. ასევე, განისაზღვრა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის კრიტერიუმები ევროკავშირის კანონმდებლობაზე დაყრდნობით. შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი, გამოვლინდა შეუსაბამობები მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობასა და ევროკავშირის კანონმდებლობას შორის და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს დეტალური ანალიზის საფუძველზე, საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი სისტემის დამოუკიდებლობა საკმაოდ მაღალი ქულით შეფასდა, თუმცა, გამოვლენილ იქნა 16 შეუსაბამობა 44 ქვე-კრიტერიუმის მიხედვით. გამოვლენილი შეუსაბამობების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ასახულია კომუნიკაციების კომისიის მიერ მომზადებულ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტში. რაც შეეხება ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარებას, კომუნიკაციების კომისია აქტიურად მონაწილეობდა IRB EWG-ის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, პროექტებსა და სემინარებში, რომლებზეც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფართოზოლოვანი მომსახურების, განსაკუთრებით - მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის დანერგვისა

და ინფრასტრუქტურის ციფრული რუკის შედგენის კუთხით, საქართველო რეგიონში ლიდერობს.

- **ITU-სა და EaPeReg-ის ურთიერთთანამშრომლობა კომუნიკაციების კომისიის კოორდინაციით** - საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირსა (ITU) და აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანებას (EaPeReg) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი. თანამშრომლობის კოორდინატორად და საკონტაქტო პირად EaPeReg-ის მხრიდან, კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელი დასახელდა. კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა ITU-ს ევროპის რეგიონის ფორუმში მიიღეს მონაწილეობა. ფორუმი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა, როგორებიც არის 5G-ის დანერგვის სტრატეგია, პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელება. გარდა ITU-ს წევრი ქვეყნებისა, ფორუმში რამდენიმე რეგიონალური ორგანიზაციაც მონაწილეობდა, მათ შორის, ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლების გაერთიანება (BEREC) და აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლების გაერთიანება (EaPeReg), რომელსაც კომუნიკაციების კომისია უკვე ორჯერ, 2015 და 2019 წლებში, თავმჯდომარეობდა.
სესიაზე - 5G-ის ეროვნული სტრატეგიები და პოლიტიკა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის - კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელმა ღონისძიების მონაწილეებს 5G-ის განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული ვითარება გააცნო. კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელმა შეხვედრაზე, ასევე ისაუბრა 5G-ის სტრატეგიასა და სპექტრის რეგიონალურ ხელშეკრულებაზე, რომელიც კომუნიკაციების კომისიის მიერ არის ინიცირებული და რომლის მიზანსაც აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში სპექტრის ჰარმონიზაცია წარმოადგენს.

- **თანამშრომლობა პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისთან** - კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაური და კომუნიკაციების კომისიის წევრი ვახტანგ აბაშიძე პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისის (UKE) ახალ პრეზიდენტს იაცეკ ოკოს და მის მოადგილეს კაროლ კრჟივიცკის შეხვდნენ. მხარეებმა შეხვედრაზე სამომავლო გეგმებსა და 5G ტექნოლოგიის დანერგვის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში წარმატებული და ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობასაც.

- **GeoIGF 2020** - რა გამოწვევებია საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე და რა შესაძლებლობები აქვთ პოტენციურ MVNO-ებს მობილური კომუნიკაციების ბაზარზე ვირტუალური ოპერატორების სავალდებულო დაშვების გადაწყვეტილებით, რა გეგმები აქვს კომუნიკაციების კომისიას ქვეყანაში 5G ტექნოლოგიის დანერგვის მიმართულებით და როგორია საქართველოს .ge ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის ზონის გამოწვევები - აღნიშნულ თემებზე კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ვირტუალურ ფორუმზე სხვადასხვა თემატური სესიების ფარგლებში ისაუბრეს. GeoIGF2020-ზე გამომსვლელებმა სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაციისა და კონკურენციის გაძლიერების კუთხით კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებსა და განხორციელებულ ღონისძიებებზე გაამახვილეს ყურადღება.

- **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტი** - საინფორმაციო საზოგადოება, აუდიოვიზუალური მომსახურება და მედიის მნიშვნელობა, მეცნიერება და ტექნოლოგიები, განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა და სპორტი - ეს ის საკითხებია, რომლებიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-4 თემატურ ონლაინ შეხვედრაზე განიხილეს.
შეხვედრის მიზანს ზემოთ ჩამოთვლილ უმნიშვნელოვანეს სფეროებში ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციისა და საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების თვალსაზრისით საქართველოს პროგრესის შეფასებას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მხრიდან წარმატებულად და დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ აუდიოვიზუალური მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების სფეროებში ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით გაწეული ძალისხმევა და მიღწეული შედეგები.
შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს პოტენციალი ციფრული აბრეშუმის გზის პროექტში და ქვეყნის, როგორც ციფრულ ჰაბად და დატა ცენტრად ჩამოყალიბების უნიკალური შესაძლებლობა.
ამას გარდა, შეხვედრაზე კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა დეტალურად

მიაწოდეს ევროკავშირის წარმომადგენლებს ინფორმაცია, რა გადაწყვეტილებებს იღებს კომუნიკაციების კომისია ფიქსირებული და მობილური მომსახურების ბაზრების ლიბერალიზაციის მიმართულებით, როგორ მიმდინარეობს საქართველოში ფართოზოლოვანი ქსელების განვითარება და 5G ტექნოლოგიის დანერგვის პროცესი, ასევე, რა ნაბიჯები იქნა გადადგმული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივასთან აპროქსიმაციის თვალსაზრისით.

- **EPRA-ს მედიაწიგნიერების კონფერენცია** - როგორ ვითარდება მედიაწიგნიერება, რა გამოწვევები არსებობს მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების მიმართულებით, რა მნიშვნელობა აქვს ერთიანი ქსელის შექმნას და როგორია მედიაწიგნიერების განვითარების გეგმები საქართველოში - ამ თემებზე კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) წევრი ორგანიზაციების ონლაინ შეხვედრაზე ისაუბრა.
კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელმა პარტნიორებს მედიაწიგნიერების პროექტების შესახებ ანგარიში წარუდგინა და კოლეგებს მიაწოდა ინფორმაცია ერთიანი ქსელის განვითარებისთვის სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიების შესახებ.

- **ციფრული ბაზრების ჰარმონიზების მე-5 პანელური შეხვედრა** - 2020 წელს კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლები აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნების ციფრული ბაზრების ჰარმონიზების მე-5 პანელურ შეხვედრაში მონაწილეობდნენ, რომელიც ევროკომისიის ინიცირებით გაიმართა. შეხვედრის მთავარი თემები იყო როუმინგისა და სპექტრის ჰარმონიზების შესახებ რეგიონული ხელშეკრულებები. შეხვედრის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა დაადასტურეს პრინციპული თანხმობა ორივე ხელშეკრულების ხელმოწერაზე. აღსანიშნავია, რომ სპექტრის ჰარმონიზების თაობაზე რეგიონალური ხელშეკრულების იდეა კომუნიკაციების კომისიის მხრიდან დაინიცირდა. რეგიონალური ხელშეკრულებების ხელმოწერა აღმოსავლეთ პარტნიორობის შესაბამისი მინისტრების მიერ, 2021 წლის გაზაფხულზე იგეგმება.

- **IMT სისტემების სპექტრის გამოყენების კოორდინაცია მეზობელ ქვეყნებთან** - რეგიონისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან მიღწეულია შეთანხმებები 2G/3G/4G/5G სისტემებთან დაკავშირებით. მოხდა კოორდინაცია და შედგა მოლაპარაკება აზერბაიჯანის და EaP ქვეყნების ადმინისტრაციებთან IMT ტექნოლოგიების კონკრეტული დონეების და პარამეტრების შესახებ, რაც საქართველოს ტერიტორიაზე მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული სიგნალების მინიმიზაციას და სიხშირეების სწორ განაწილებას გულისხმობს. იმისთვის, რომ არ მოხდეს ასევე, მავნე რადიო ხელშეშლების წარმოქმნა სხვადასხვა დანიშნულების კავშირგაბმულობის ქსელების ფუნქციონირებისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი გამართული ფუნქციონირება.

- **საერთაშორისო კოორდინაცია WRC-19-ის გადაწყვეტილებების შესაბამისად** - რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციის WRC-19-ის რეზოლუცია Res 559-ის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიოკავშირის ბიუროში (ITU BR) გაიგზავნა ინფორმაცია საქართველოსთვის თანამგზავრული სამაუწყებლო სამსახურის (BSS) განაწილების გეგმებში (App 30/30A) გეოსტაციონარული თანამგზავრის ახალი ორბიტალური პოზიციის შერჩევასა და არხების გამოყოფასთან დაკავშირებით. კოორდინაციის მიზანია განახლებული ექვივალენტური დაცვითი ზღვრული მნიშვნელობების EPM შეთანხმება, რათა WRC-23 კონფერენციისთვის გვქონდეს შესაძლებლობა მოვახდინოთ საქართველოს თანამგზავრული სამაუწყებლო რესურსის მოდიფიცირება.

დანართი 1.
კომისიის სტრუქტურა



დანართი 2.
კომისიის ბიუჯეტი

	2020 წლის ფაქტიური
სულ შემოსავლები და რეზერვი	**11,973,591**
რეგულირების საფასური	8,520,911
რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური	3,120,111
საპროცენტო და სხვა შემოსავლები	332,569
სულ ხარჯები	**11,371,143**
ძირითადი საშუალებები	155,006
საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები	28,327
კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის და სხვა კომუნალური ხარჯები	151,514
ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები	91,542
მივლინების ხარჯები	43,345
საბანკო მომსახურების ხარჯი	15,162
კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ხარჯები	63,286
სხვადასხვა საწევრო გადასახადი	28,122

	2020 წლის ფაქტიური
საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	1,212,040
სხვა საერთო ხარჯები	605,431
წარმომადგენლობითი ხარჯები	8,221
მიმდინარე რემონტის ხარჯები	2,872
შრომის ანაზღაურება და სახელმწიფო ბიუჯეტის ანარიცხები	5,523,010
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	9,521
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები	222,935
შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდი	731,756
მედიაწიგნიერების ხარჯები	2,479,053
მედიაწიგნიერება კომისია	*761,216*
მედიააკადემია	*1,717,837*

	2021 წლის გეგმა
სულ შემოსავლები და რეზერვი	**15,252,000**
შემოსავალი რეგულირების საფასურიდან	8,466,930
შემოსავალი რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან	3,133,291
საპროცენტო შემოსავალი	334,782
სარეზერვო ფონდი	3,316,997
სულ ხარჯები	**15,252,000**
კაპიტალური ხარჯები	744,545
შრომის ანაზღაურების ხარჯები	7,782,020
მივლინების ხარჯები	251,527
მომსახურების ხარჯები	1,851,864
ელექტრონული მომსახურების ხარჯები	253,333
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	319,200
კომუნიკაციის ხარჯები	36,864
კომუნლური ხარჯები	62,615
საკანცელარიო ხარჯები	3,700
დაცვის ხარჯები	146,160
საწვავის ხარჯი	32,392
საწევრო ხარჯები	33,779
რემონტისა და შენახვის ხარჯები	243,914
სხვა ხარჯები	22,432
წარმომადგენლობითი ხარჯები	75,800
გაუთვალისწინებელი ხარჯები	25,153
საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	233,410
მედიაწიგნიერების ხარჯები	3,133,291
მედიაწიგნიერების ხარჯები	*669,258*
ა(ა)იპ მედიააკადემიის ხარჯები	*2,464,033*

დანართი 3. მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა

ბოლო წლებთან შედარებით, 2020 წელს მომხმარებელთა მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც ბუნებრივია, კოვიდ პანდემიით გამოწვეული რეალობით სატელეკომუნიკაციო სერვისებზე გაზრდილი მოხმარებითაა გამოწვეული. კომუნიკაციების კომისიასთან არსებულ, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, გაორმაგდა განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობა[58]. 2020 წლის განმავლობაში 822 საჩივარი/პრეტენზია დაფიქსირდა, საიდანაც უმრავლესობა უხარისხო ინტერნეტ მომსახურებას ეხება. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, sheamotsme.ge-ს ფარგლებში, ინტერნეტის ხარისხის შესახებ 127 საჩივარი შევიდა.

2020 წლის თემატურად წარმოდგენილი საჩივრების სტატისტიკა[59]

თემატიკა	რაოდენობა
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება, მათ შორის sheamotsme.ge-ზე შემოწმებული ინტერნეტის ხარისხი	297
ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანება და მომსახურების შეზღუდვის ან/და შეწყვეტის პირობები	139
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა	100
მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე და სადავო დავალიანება	58
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება	55
მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება	28
სააბონენტო ნომრის გასხვისება	11
SMS სპამი	10
საანძო მეურნეობის განთავსების/ექსპლუატაციაში შეყვანის შედეგად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში რადიაციული დასხივება	8
სხვა	152

[58] მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში https://momkhmarebeli.comcom.ge/მომხმარებელთა-ინტერსები/?fbclid=IwAR3BxZ4fvgOMQ9u_C3foOaDObnuM7JmJb6duLV0uZvi-k7BvVO051Qw0Rxo

[59] საჩივრების საერთო რაოდენობა და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდროულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა

დანართი 4. ლიცენზირება და ავტორიზაცია, თანხმობა წილებისა და აქტივების გასხვისებაზე

- გაუქმდა კერძო რადიომაუწყებლობის 3 ლიცენზია
- რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გადაცემაზე თანხმობა არ გაცემულა
- რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კონკურსი არ გამოცხადებულა და ლიცენზია არ გაცემულა
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის არცერთი ლიცენზია არ გაუქმებულა
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის არცერთი ლიცენზიის ვადის გაგრძელება არ განხორციელებულა
- რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიცირება არ განხორციელებულა
- რადიომაუწყებლობის არცერთი ლიცენზიის ვადის გაგრძელება არ განხორციელებულა
- ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად კონკურსი არ გამოცხადებულა და ლიცენზია არ გაცემულა
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში აუქციონი არ გამოცხადებულა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია არ გაცემულა
- 2020 წელს ორჯერ განხორციელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B და №MUX E ლიცენზიების და №MUX D ლიცენზიის მოდიფიცირება
- განხორციელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ერთი ლიცენზიის გადაპირება

2020 წელს კომუნიკაციების კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შპს „ტვ სარფის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F8 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ. კერძოდ, შპს „ტვ სარფის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F8 ლიცენზიის მოქმედების ვადა, აღნიშნული ლიცენზიის მოქმედების ვადის - 22.04.2023 ამოწურვის შემდგომ, აღარ გაგრძელდა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ავტორიზებულ პირებზე გაიცა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის 56 უფლება

2020 წელს ავტორიზებულ პირთან შერწყმის, ასევე ავტორიზებული პირის წილის, აქციებისა და საოპერაციო აქტივების შეძენაზე კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით გაიცა 27 თანხმობა:

- **ავტორიზებული პირის წილის (აქციების) შეძენაზე - 20 თანხმობა;**
- **ავტორიზებული პირის საოპერაციო აქტივის შეძენაზე - 3 თანხმობა;**
- **ავტორიზებული პირის წილის (აქციების) შეძენაზე და შემდგომ ავტორიზებულ პირთან შერწყმაზე - 3 თანხმობა;**
- **ავტორიზებულ პირთან შერწყმაზე - 1 თანხმობა.**

დანართი 5. რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა და თავისუფალი სიხშირული რესურსი

რადიომაუწყებლობისთვის განკუთვნილი ამოწურვადი სიხშირული რესურსის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ დაასრულა მუშაობა ,,ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ" კომუნიკაციების კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №5 დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე. აღნიშნული ცვლილებები რადიომაუწყებლობისთვის ახალი სამაუწყებლო ზონების დადგენასთან ერთად, თავის მხრივ, თავისუფალ სიხშირულ რესურსზე მოახდენს გავლენას. ცვლილებების მიღების შემდეგ, კომუნიკაციების კომისია განახლებულ თავისუფალ სიხშირულ რესურსს გამოაქვეყნებს.

დანართი 6. კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები

N1, 28.02.20 - ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების მოწესრიგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე - დებულების მიზანია დაიცვას ბავშვები და არასრულწლოვნები ინფორმაციის მავნე ზეგავლენისგან და მშობლებს საფრთხეების შემცირების ეფექტური მექანიზმი მისცეს. დადგენილებას საფუძვლად დაედო 2019 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი". განისაზღვრა წესები, რომლის მიხედვითაც პირები, რომლებიც ვებ-გვერდებზე ათავსებენ ფილმებს, ანიმაციურ ფილმებს, სერიალებს, პროგრამებსა და თამაშებს, ვალდებულნი არიან გაუკეთონ სპეციალური ასაკობრივი ნიშანდებები, რომლებიც განსაზღვრულია 18 წლამდე, 15 წლამდე, 12 წლამდე და 7 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებელ პროგრამებზე. კომუნიკაციების კომისია უზრუნველყოფს ბავშვებისთვის საფრთხის შემცველი ინტერნეტ ვებ-გვერდების სპეციალური სარეიტინგო სიის შედგენას და საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას. ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია კვირაში ერთხელ განაახლოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინტერნეტგვერდების წვდომის შეზღუდვის მექანიზმი ინტერნეტში ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინტერნეტგვერდების სპეციალური სარეიტინგო სიის საფუძველზე. დებულება ვრცელდება ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე, რომელიც მომხმარებელს აწვდის ინტერნეტმომსახურებას ან საკუთარი ვებ-გვერდის საშუალებით ინტერნეტში აუდიოვიზუალურ პროდუქციას განათავსებს.

N2, 19.03.20 - „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - საკომუნიკაციო ქსელის სწრაფი განვითარების, ბიუროკრატიული ბარიერების გამარტივების, ახალი აბონენტების აყვანისა და ქსელში ჩართვის, ასევე აბონენტებისთვის მომსახურების მიწოდების დროის შემცირების მიზნით, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს ავტორიზაციის გავლის შემდეგ, ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე my.gov.ge რეგისტრაციის ვალდებულება 2020 წლის 20 აპრილამდე განესაზღვრათ.

N3, 23.04.20 - „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ცვლილების შედეგად, დადგენილება შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის #355 დადგენილებასთან, რომელიც საავტომობილო ტექნიკური დახმარებისთვის განკუთვნილი ნუმერაციის რესურსის 131XX გაცემის წესს უკავშირდება. დადგენილება მოიცავს როგორც საქალაქთაშორისო, საერთაშორისო ავტოსადგურების (1334X) და ტაქსის გამოძახების (132XX) მოკლე ნომრების, ასევე, რკინიგზის სადგურების, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების საინფორმაციო საცნობარო სამსახურებისთვის ოთხციფრა ნომრების გაცემის წესს. ცვლილების შედეგად, აღნიშნული სამსახურებისთვის მთავრობის დადგენილებით გამოყოფილი ნომრები ამოღებულ იქნა წინამდებარე დადგენილებიდან. დადგენილებაში ცვლილების შედეგად, ასევე, გათვალისწინებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის" მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსთვის" ეროვნული სასიგნალო წერტილის კოდის (NSPC) უფასოდ და უვადოდ მინიჭების შესაძლებლობა.

N4, 30.04.20 - სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ერთიან ციფრულ რუკაზე დატანის მიზნით ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმების დამტკიცების შესახებ - კომუნიკაციების კომისიისა და მარეგულირებელი ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით, აუცილებელი გახდა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ერთიანი ციფრული რუკის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს ავტორიზებული პირების მფლობელობაში არსებული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ერთიან გეო-საინფორმაციო სისტემას. ციფრული რუკის ფორმირების მიზნით აუცილებელია, რომ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირების მიერ კომუნიკაციების კომისიაში წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ინფორმაცია კომუნიკაციების კომისიის მიერ შემუშავებული ფორმების შესაბამისად, რაც საშუალებას მისცემს კომუნიკაციების კომისიას განახორციელოს მასზე საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციები და ამოცანები. თავის მხრივ კი, ციფრული რუკის შექმნა და შესაბამისი ბაზის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და ფართოზოლოვანი ქსელის განვითარების სტრატეგიაში მითითებული ვალდებულებების შესრულებას, ასევე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაზიარებას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ელემენტების განსაზღვრას და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირების ინფრასტრუქტურული ბაზრის საქმიანობის ანალიზს. ციფრული რუკა დაეხმარება ერთი მხრივ, ავტორიზებულ პირებს ხარჯების დაზოგვასა, ინფრასტრუქტურის მართვასა და ანალიზში, მეორე მხრივ კი, კომუნიკაციების კომისიას - სატელეკომუნიკაციო ბაზრის განვითარების ტენდენციებისა და პოტენციალის დადგენაში, კონკურენტუნარიანობის გამოვლენასა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე საბითუმო დაშვების რეგულირებაში.

N5, 09.07.20 - „ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების მოწესრიგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 თებერვლის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსში შევიდა ცვლილება და მისი ამოქმედება 2020 წლის 1 სექტემბრამდე გადავადდა, საჭირო გახდა წინამდებარე დადგენილებაში ტექნიკური ცვლილების შეტანა ამოქმედების ახალ თარიღთან დაკავშირებით.

დავის საგანი: ,,შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 25 ივნისის Nგ-20-18/527 გადაწყვეტილება (სანქცია: ჯარიმა 270,000.00 ლარის ოდენობით, კომუნიკაციების კომისიის თანხმობის მოპოვების გარეშე წილის გასხვისებისა და სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო);
სტატუსი: მიმდინარე. დავა განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში

45. მოსარჩელე: შპს ,,რკინიგზის ტელეკომი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: შპს ,,რკინიგზის ტელეკომის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 25 ივნისის Nგ-20-

18/526 გადაწყვეტილება (კომუნიკაციების კომისიის თანხმობის მოპოვების გარეშე წილის გასხვისებისა და სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო);
სტატუსი: მიმდინარე

46. მოსარჩელე: შპს ,,კავკასუს ონლაინი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: ,,შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-18/652 გადაწყვეტილება (სანქცია: ჯარიმა 270,000.00 ლარის ოდენობით, კომუნიკაციების კომისიის თანხმობის მოპოვების გარეშე წილის გასხვისებისა და სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო);
სტატუსი: მიმდინარე

47. მოსარჩელე: შპს ,,რკინიგზის ტელეკომი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: შპს ,,რკინიგზის ტელეკომის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-18/646 გადაწყვეტილება (კომუნიკაციების კომისიის თანხმობის მოპოვების გარეშე წილის გასხვისებისა და სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო);
სტატუსი: მიმდინარე

48. მოსარჩელე: შპს ,,კავკასუს ონლაინი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: შპს „კავკასუს ონლაინის“ (ს/კ 211380833) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-12 / 649 გადაწყვეტილება;
სტატუსი: მიმდინარე

49. მოსარჩელე: შპს ,,რკინიგზის ტელეკომი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: შპს „რკინიგზის ტელეკომის“ (ს/კ 202239737) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს გ-20-12 / 651 გადაწყვეტილება;
სტატუსი: მიმდინარე

50. მოსარჩელე: ,,ინტერნეიშენალ ონლაინ ნეთვორკი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: შპს ,,კავკასუს ონლაინის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის პირველი ოქტომბრის გ-20-18/747 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

51. მოსარჩელე: ,,ნელგადო ლიმითედ“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: შპს ,,კავკასუს ონლაინის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის პირველი ოქტომბრის გ-20-18/747 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

52. მოსარჩელე: შპს ,,ტელერადიო კომპანია რიონი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: შპს „ტელერადიო კომპანია რიონის“ წინააღმდეგ შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“-ის საჩივრის განხილვის თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 20 აპრილის N273/16 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

53. მოსარჩელე: შპს ,,Batumi Media Group”
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 06.02.14 N75/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: იხილება პირველ ინსტანციაში, მოსარჩელე არ ცხადდება სხდომაზე

54. მოსარჩელე: შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2”, შპს “ტელეიმედი” და სხვ.
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მაუწყებლების ვალდებულებას ელექტრონულად შეავსონ სტატისტიკური ანგარიშგების

1.3, 1.4, 1.5, 1.6, 1.7 ფორმები.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ და თბილისის სააპელაციო სასამართლომ სარჩელი და სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილეს, გასაჩივრებულია შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში

55. მოსარჩელე: შპს „ჯეოსელი"
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2016 წლის 19 ივლისის N486/18 გადაწყვეტილება „შპს „ჯეოსელისთვის" ადმინისტრაციული პასუხიმგებლობის დაკისრებისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გადაგზავნის შესახებ", შპს „ჯოდო ტელეკომუნიქეიშენსთან" დაკავშირებით ინფორმაციის წარმოუდგენლობასთან დაკავშირებული საქმე.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აღნიშნული გადაწყვეტილება კომუნიკაციების კომისიის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კომუნიკაციების კომისიის მიერ გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

56. მოსარჩელე: შპს „ახალი ქსელები" და შპს „ახტელი"
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2016 წლის 12 აპრილის N232/18 გადაწყვეტილება „შპს „ახალი ქსელებისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე". კომუნიკაციების კომისიის 2016 წლის 12 აპრილის N231/18 გადაწყვეტილება „შპს „ახტელისათვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე". შპს TECHNOMAX-ის არამართლზომიერ გატარებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.
შედეგი: პირველ ინსტანციაში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში

57. მოსარჩელე: შპს „ახტელი"
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 12 იანვრის N19/18 გადაწყვეტილება „შპს „ახტელისათვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე", საავტორო უფლებების დარღვევა შპს TECHNOMAX LLP-სთან ერთად
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში

58. მოსარჩელე: შპს „Batumi media group"
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 11 მაისის №341/18 გადაწყვეტილებით შპს ,,BATUMI MEDIA GROUP"-ს დაეკისრა ჯარიმა (27,000.00 ლარი), სატელევიზიო არხების საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემის გამო. ამასთან, დაევალა სატელევიზიო არხების საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერი გადაცემის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.
სტატუსი: მიმდინარე

59. მოსარჩელეები: შპს „მაიფონი", შპს „სითი ტელეკომი", შპს „ჯტს"
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 16 მაისის N345/22 გადაწყვეტილება
შედეგი: პირველ ინსტანციაში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებადია სააპელაციო სასამართლოში

60. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი"
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 16 მაისის N345/22 გადაწყვეტილება
შედეგი: პირველ ინსტანციაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში და უზენაეს სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა

61. მოსარჩელე: შპს „ჯეოსელი"
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 11 მაისის N332/18 გადაწყვეტილება

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებადია თბილისის სააპელაციო სასამართლოში

62. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 11 მაისის N331/18 გადაწყვეტილება
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შპს „მაგთიკომის“ მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში

63. მოსარჩელე: შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: „ქ. თბილისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 6 აპრილის N222/10 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში და თბილისის სააპელაციო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებადია საკასაციო წესით

64. მოსარჩელე: შპს „სტერეო+“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 4 აპრილის N220/2 გადაწყვეტილების ნაწილობრივ, MUX D ლიცენზიის მოდიფიცირების და რუსული არხების გადაცემის შეზღუდვის თაობაზე. პროცესზე მოსარჩელემ წარმოადგინა შუამდგომლობა უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით, კერძოდ, „სტერეო+“-ის „დი+“-ით შეცვლის შესახებ, ასევე, გაიზარდა მოთხოვნა და „დი+“-მა გაასაჩივრა მისთვის ლიცენზიის გადაპირების შესახებ კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება.
სტატუსი: მიმდინარე

65. მოსარჩელე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 29 მარტის N172/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებადია სააპელაციო სასამართლოში

66. მოსარჩელე: შპს „კატევე 1“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 15 მარტის N152/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებადია სააპელაციო სასამართლოში

67. მოსარჩელე: შპს „სუპერ ტვ“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის N93/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
სტატუსი: მიმდინარე

68. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2017 წლის 21 დეკემბრის N821/19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „კავკასუს ონლაინის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა

69. მოსარჩელე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N664/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: თბილისის სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში კომუნიკაციების კომისიის მიერ

70. მოსარჩელე: შპს „ტელეკომპანია კავკასია“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N664/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

71. მოსარჩელე: შპს „კატევე 1“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 16 აგვისტოს N486/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა

72. მოსარჩელე: ა(ა)იპ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის 4 აპრილის N198/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

73. მოსარჩელე: შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის 11 ივლისის Nგ-19-18/407 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა

74. მოსარჩელე: შპს “სილქნეტი”
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს Nგ-20-18/648 გადაწყვეტილება
სტატუსი: მიმდინარე

75. მოსარჩელე: შპს “მაგთიკომი”
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 16 აპრილის, Nგ-20-18/404 და 2020 წლის 19 ნოემბრის Nგ-20-18/867 გადაწყვეტილებები
სტატუსი: მიმდინარე

76. მოსარჩელე: შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2”
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის 11 ივლისის Nგ-19-18/407 გადაწყვეტილება
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა

77. მოსარჩელე: შპს „BATUMI MEDIA GROUP”
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 18 ივლისის N გ-19-18/422 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „BATUMI MEDIA GROUP”-ს დაეკისრა ჯარიმა 27,000.00 ლარის ოდენობით, „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის” ბერნის კონვენციის მე-11bis მუხლის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის „საავტორო უფლებების შესახებ” ხელშეკრულების მე-8 მუხლის, „შემსრულებლების, ფონოგრამების, დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ” რომის 1961 წლის კონვენციის მე-13 მუხლის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე- 2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 37-ე, 38-ე, 50-ე, 51-ე მუხლების, ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის გამო (სამაუწყებლო არხების არამართლზომიერი ტრანზიტი)
სტატუსი: მიმდინარე

78. მოსარჩელე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N 664/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო (არაეთიკური რეკლამის განთავსება);
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სააპელაციო საჩივარი; კომუნიკაციების კომისიის მიერ გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში.
სტატუსი: მიმდინარე

79. მოსარჩელე: შპს „ტვ სარფი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია

დავის საგანი: „ტვ სარფის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F8 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 4 ივნისის გ-20-3/485 გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ტვ სარფს“ არ გაუგრძელდება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F8 ლიცენზიის მოქმედების ვადა, აღნიშნული ლიცენზიის მოქმედების ვადის (22.04.2023) ამოწურვის შემდგომ.
სტატუსი: მიმდინარე

80. მოსარჩელე: შპს „დელტა კომმი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: შპს „დელტა კომმის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე განცხადების განხილვის შესახებ კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს N გ-20-20 / 643 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „დელტა კომმის“ 2020 წლის 3 აგვისტოს განცხადება (კომუნიკაციების კომისიაში რეგისტრაციის N შ-20-6/3951) კომუნიკაციების კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე და აღნიშნული ინფორმაცია მიჩნეულ იქნა ღიად.
სტატუსი: მიმდინარე

81. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს N გ-20-20 / 624 გადაწყვეტილება “შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილობრივ კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შესახებ”, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „მაგთიკომის“ მოთხოვნა კონკრეტული/ინდივიდუალური სატარიფო პაკეტის/ შეთავაზების დეტალური აღწერილობის (გეოგრაფიული, ტექნიკური, რაოდენობრივი და ფინანსური პარამეტრების მიხედვით) კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შესახებ მოთხოვნა და აღნიშნული ინფორმაცია მიჩნეულ იქნა ღიად.
სტატუსი: მიმდინარე

82. მოსარჩელე: ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი“
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 3 სექტემბრის N გ-20-18/687 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, აღნიშნული გადაწყვეტილებით ააიპ „არაკომერციული მედია-კავშირი ობიექტივს“ მიეცა წერილობითი გაფრთხილება ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო (არასაარჩევნო პერიოდში სამაუწყებლო ბადეში განათავსა წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა)
სტატუსი: მიმდინარე

83. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი”
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: „მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის № გ-20-9/156 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. შენიშვნა: პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „მაგთიკომის“ მოთხოვნა სადავო აქტის შეჩერების თაობაზე. გარდა ამისა, შპს „მაგთიკომი” კერძო საჩივრით ითხოვდა სადავო აქტის შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას. სააპელაციო სასამართლომ შპს „მაგთიკომის“ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა.
სტატუსი: მიმდინარე

84. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი”
მოპასუხე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: „მობილური ქსელით საცალო მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე (მობილური საცალო ხმოვანი მომსახურება, მობილური ინტერნეტ მომსახურება და მოკლე ტექსტური შეტყობინებები) კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილების (№გ-20-9/559, 25.06.2020) ნაწილობრივ ბათილად ცნობა
სტატუსი: მიმდინარე

85. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“
დავის საგანი: თამბაქოს ნაწარმის მოხმარების პროცესის და მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირება თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ სავალდებულო პიქტოგრამის გარეშე.
შედეგი: შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 5,000.00 ლარის ოდენობით

86. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „ფორმულა“
დავის საგანი: შპს „ფორმულას“ ეთერში გასულ სერიალში დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმის მოხმარების ფაქტი, სერიალის დასაწყისსა და დასასრულს თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ სავალდებულო გამაფრთხილებელი ვიდეორგოლის გარეშე.
შედეგი: შპს „ფორმულა“, ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, გათავისუფლდა სახდელისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა

87. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „ტვ პირველი“
დავის საგანი: შპს „ტვ პირველის“ ეთერში განთავსდა წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამა, რომლის დასასრულს არანაკლებ ბოლო ერთი წამის განმავლობაში, არ იქნა ნაჩვენები საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 25%-ს.
შედეგი: შპს „ტვ პირველი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 1,000.00 ლარის ოდენობით.
გასაჩივრება: გასაჩვრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში შპს „ტვ პირველის“ მიერ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი

88. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „ფორმულა“
დავის საგანი: შპს „ფორმულას“ ეთერში განთავსდა წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამა, რომლის დასასრულს არანაკლებ ბოლო ერთი წამის განმავლობაში, არ იქნა ნაჩვენები საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 25%-ს.
შედეგი: შპს „ფორმულა“, ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 725 ლარის ოდენობით

89. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „ფორმულა“
დავის საგანი: შპს „ფორმულას“ მიერ საპარლამენტო არჩევნების დღეს დაირღვა საარჩევნო კოდექსი, კერძოდ, მოხდა ეგზიტპოლების შედეგების გამოქვეყნება, რა დროსაც არ იყო დასახელებული გამოკითხვის მეთოდი და შესაძლო ცდომილების ფარგლები (საარჩევნო კოდექსის დარღვევა).
შედეგი: შპს „ფორმულა“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 5,000.00 ლარის ოდენობით

90. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „პალიტრა tv”
დავის საგანი: შპს „პალიტრა tv”-ს ეთერში საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების, კერძოდ, პარტიათა რეიტინგების გამოქვეყნება, აღნიშნული კვლევები გამოყენებული იყო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამაში, რომელიც განთავსდა მაუწყებლის ეთერში. ადგილი ჰქონდა კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის გამოქვეყნებისათვის დადგენილი პერიოდის დაუცველობას (საარჩევნო კოდექსის დარღვევა).
შედეგი: შპს „პალიტრა tv” ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 5,000.00 ლარის ოდენობით.
გასაჩივრება: გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში შპს „პალიტრა tv”-ის მიერ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი

91. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „მთავარი არხი“
დავის საგანი: საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში შპს „მთავარი არხის“ მიერ დაირღვა საარჩევნო კოდექსი, რაც გამოიხატა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის გამოქვეყნებისათვის დადგენილი პერიოდის დაუცველობაში. ეთერში მოხდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების (პარტიათა რეიტინგი) გამოქვეყნება 2020 წლის 29 ოქტომბერს 21:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში, რითაც დაირღვა კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრის

გამოკითხვის გამოქვეყნებისათვის დადგენილი პერიოდის დაცვის ვალდებულება.
შედეგი: შპს „მთავარი არხი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 5,000.00 ლარის ოდენობით.
გასაჩივრება: გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში შპს „მთავარი არხის“ მიერ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი

92. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „პოსტვ“
დავის საგანი: თამბაქოს მოხმარების პროცესის ან მათთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირება თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ ვიდეორგოლის განთავსების გარეშე
შედეგი: სიტყვიერი შენიშვნა

93. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „ტელეკომპანია კავკასია“
დავის საგანი: თამბაქოს მოხმარების პროცესის ან მათთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირება
შედეგი: სიტყვიერი შენიშვნა

94. ოქმის შემდგენი: კომუნიკაციების კომისია
მოპასუხე: შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი2“
დავის საგანი: თამბაქოს მოხმარების პროცესის ან მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირება თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ ვიდეორგოლის განთავსების გარეშე.
შედეგი: ჯარიმა - 5,000.00 ლარი

95. კასატორი: შპს ,,იბერია-TV”
მოწინააღმდეგე მხარე: კომუნიკაციების კომისია
დავის საგანი: ,,შპს „იბერია- TV“-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 8 თებერვლის N60/18 გადაწყვეტილება (სანქციის სახეები: ჯარიმა 3,394.47 ლარის ოდენობით საქონლის/მომსახურების განთავსების წესების დარღვევისთვის; წერილობითი გაფრთხილება სპონსორზე მითითების წესების დარღვევისთვის);
სტატუსი: მიმდინარე

96. კასატორი: კომუნიკაციების კომისია
მოწინააღმდეგე მხარე: შპს ,,გ.ს.ი ტექნოლოგია“
დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.12.2018 განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.05.2017 გადაწყვეტილება კომუნიკაციების კომისიის N60/16; 28.01.2016 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე;
სტატუსი: მიმდინარე

დანართი 11.
აუდიტის დასკვნა

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი მომზადების საფუძველის მიხედვით;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

კახი ბექაური	ნათია დევდარიანი
კომისიის თავმჯდომარე	საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსი

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"

თარიღი: 2021 წლის 16 აპრილი

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3
სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	5
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომისია და მისი ძირითადი საქმიანობა	6
2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3 კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორის რეგულირებიდან მიღებული შემოსავალი	8
4 რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი	9
5 მედიაწიგნიერების ხარჯები	9
6 არასაოპერაციო შემოსავალი / (ზარალი)	9
7 საპროცენტო შემოსავალი	9
8 საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	9
9 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია	10

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" (შემდგომში "კომისია") თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, აკადემიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ''აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე'' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომისიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომისიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომისიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS -F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომისიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ხელმომწერის სარეგისტრაციო ნომერი აუდიტორთა რეესტრში SARAS-A-865011
ფირმის სარეგისტრაციო ნომერი აუდიტორთა რეესტრში SARAS-F-320544

თარიღი: 16 აპრილი, 2021
თბილისი, საქართველო

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორის რეგულირებიდან მიღებული შემოსავალი	3	8,520,911	8,692,970
რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი	4	3,120,111	3,458,472
საპროცენტო შემოსავლები	7	332,569	230,620
შრომის ანაზღაურება		(5,523,010)	(5,720,272)
მედიაწიგნიერების ხარჯები	5	(1,979,053)	(2,415,808)
სარეზერვო ფონდიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხის ხარჯი		(500,000)	-
შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ხარჯები		(731,756)	(1,213,904)
სხვა საერთო ხარჯები - (შენობის დაცვის ღირებულება, დაზღვევა, კომისიის ვებ–გვერდის მომსახურება და სხვ.)		(600,816)	(854,338)
საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	8	(1,212,040)	(434,672)
მივლინების ხარჯები		(43,345)	(257,344)
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები		(222,935)	(239,388)
კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯები		(151,514)	(159,955)
ავტომანქანების საწვავის, შენახვის, რემონტისა და დაზღვევის ხარჯები		(91,542)	(135,511)
კონფერენციების ჩატარების, სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯები		(63,286)	(99,489)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(8,221)	(72,383)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(155,006)	(61,272)
სხვადასხვა საწევრო გადასახადები		(28,122)	(50,195)
საბანკო მომსახურების ხარჯები		(15,162)	(13,357)
საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები		(28,327)	(12,666)
მიმდინარე რემონტის ხარჯები		(2,872)	(10,038)
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები		(9,521)	(4,560)
არასაოპერაციო შემოსავალი / (ზარალი)	6	(4,615)	12,858
წმინდა აქტივების ზრდა/(შემცირება)		**602,448**	**639,768**

კახი ბექაური
კომისიის თავმჯდომარე

ნათია დევდარიანი
საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსი

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"
თარიღი: 16 აპრილი, 2021

შენიშვნა 1 კომისია და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომისია") ფინანსურ ინფორმაციას.

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ" საქმიანობა დაიწყო 2000 წლის 1 ივნისიდან.

კომისიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). კომისიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროს და ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება.

კომისიის მმართველობითი ორგანოა კომისია, რომელიც შედგება ექვსი წლის ვადით არჩეული ხუთი წევრისგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრის გზით, სამი წლით, ირჩევს. კომისიის თავმჯდომარე შესაძლებელია არჩეული იქნას ორი ვადითაც.

კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინაშე. კომისიის ძირითადი მიზნებია:

- კომუნიკაციების სფეროში თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- სიხშირული სპექტრის ეფექტური განაწილება;
- მაუწყებლობის სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა და განვითარების უზრუნველყოფა, აგრეთვე, მაუწყებელთა სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.

2017 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის მიერ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, კომისიას განესაზღვრა ახალი ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს მედიაწიგნიერების განვითარებას და ხელშეწყობას. თავის მხრივ, 2018 წელს კომისიამ განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე შექმნა მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობაზე.

დაკისრებულ ფუნქციას დეპარტამენტი ახორციელებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროექტების მეშვეობით, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნების წარმატებული პრაქტიკების შესწავლის, მათი ეფექტიანობის შეფასებისა და საქართველოში განხორციელების შესაძლებლობების ანალიზის შედეგად შეირჩა.

დეპარტამენტის მიზნებია:

- ეროვნული მედიაწიგნეირების ქსელისა და მის მხარდასაჭერად შესაძლო ვებ-გვერდის/პლატფორმის შექმნა და კოორდინაცია;
- სასწავლო-საგანმანათლებლო პროდუქტების შექმნა, სოციალური რეკლამის დამზადება და განთავსება, კონფერენციის ორგანიზება და სხვა მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება;
- ქვეყანაში მედიაწიგნიერების მდგომარეობის შეფასების მიზნით კვლევების ჩატარება.

ასევე, აღნიშნული მიზნების მისაღწევად, 2018 წელს კომისიამ დააფუძნა ახალი იურიდიული ერთეული, ააიპ "მედიააკადემია", რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარებას.

კომისიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქ. №50/18.

შენიშვნა 2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ქვემოთ მოცემული პრინციპების გამოყენებით.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი").

კომისიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომისიის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებით. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომისია გააგრძელებს საქმიანობას მომდევნო 12 თვის განმავლობაში. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებით.

2.2 შემოსავლები

კომისიის შემოსავალი წარმოადგენს:

1. საქართველოს კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორში მოქმედი კომპანიებისგან (რომლებიც ექვემდებარებიან რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) მიღებულ რეგულირების საფასურს, კერძოდ:

ა) ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურით სარგებლობის რეგულირების საფასურს, რომელიც 2020 წელს იყო პირების/მფლობელების შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.75%;

ბ) მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამაუწყებლო კომპანიების რეგულირების საფასურს, რომელიც 2020 წელს იყო კომპანიების შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.5%, აღნიშნული მოსაკრებლისგან თავისუფლდება მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.

2. ავტორიზებული და არაავტორიზებული კომპანიებისგან მიღებულ შემოსავალს რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან, კერძოდ

ა) არაავტორიზებული პირებისგან მიღებულ შემოსავალს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების საფასურიდან, რომელიც შეადგენს ფიქსირებულ 1,000 ლარს ერთ სიხშირეზე.

ბ) ავტორიზებული პირებისგან მიღებულ შემოსავალს დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით რადიოსარელეო სიხშირეებით სარგებლობის უფლების მინიჭებიდან, რომელიც გამოითვლება კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №1-ში მოცემული ფორმულით განსაზღვრული კოეფიციენტების გამოყენებით.

გ) ავტორიზებული პირებისგან მიღებულ შემოსავალს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებიდან/გაგრძელებიდან, რომელიც არის ფიქსირებული ერთ ერთეულზე.

რეგულირებას დაქვემდებარებული კომპანიები კომისიაში ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა წარმოადგენენ გაანგარიშებას რეგულირებას დაქვემდებარებულ შემოსავალზე. კომისია რეგულირების საფასურიდან შემოსავალს აღიარებს რეგულირებას დაქვემდებარებული საქართველოს კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორში მოქმედი კომპანიებისგან რეგულირებას დაქვემდებარებულ შემოსავლებზე გაანგარიშების მიღებისას.

რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება კომისიის გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნილი რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების საფუძველს მიმღებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების განახლება, რა შემთხვევაშიც შემოსავალი აღიარდება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდით და მისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის კომისიისთვის წარდგენით.

2.3 ხარჯები

სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

შენიშვნა 2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოხატული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შენიშვნა 3 კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორის რეგულირებიდან მიღებული შემოსავალი

	2020 წელი	2019 წელი
მაგთიკომი	3,212,335	3,263,215
სილქნეტი	2,810,312	2,844,890
ვიონი საქართველო	816,528	911,632
კავკასუს ონლაინი	242,019	314,808
ტელეიმედი	146,006	133,725
ახალი ქსელები	92,244	101,193
შპს სქაიტელი	73,999	60,701
სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2	71,332	115,684
ფოპნეტი	61,924	65,077
მთავარი არხი	55,768	6,479
ახტელი	47,528	55,213
რკინიგზის ტელეკომი	44,619	47,948
სტერეო +	35,058	29,778
სისტემ ნეტ	32,767	37,170
საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	32,518	32,690
ტელეკომპანია პირველი	32,462	21,186
პისი მაქსი	32,309	25,137
შპს ო ენდ ემ ჯგუფი	30,493	28,202
Georgianairlink	23,922	16,711
ტვ სარფი	21,693	21,835
დელტა კომმი	19,494	4,298
გლობალ ერთი	15,750	17,145
მაიფონი	11,022	9,894
საქართველოს რკინიგზა	6,001	6,081
შპს სერვისბოქსი	4,842	34,523
რადიო იმედი	3,758	4,457
სტუდია მაესტრო	2,487	1,545
PremiumNet InternationalSLR-ის ფილიალი საქართველოში	558	441
სუპერ ტვ	135	150
სხვა შემოსავლები	541,028	481,163
სულ	**8,520,911**	**8,692,970**

შენიშვნა 4 რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი

	2020 წელი	2019 წელი
სილქნეტი	995,542	1,132,788
მაგთიკომი	928,371	1,002,598
ვიონი საქართველო	619,006	628,394
საქართველოს რკინიგზა	27,200	27,200
ახალი ქსელები	25,762	25,762
ახტელი	8,770	8,770
სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური	-	11,000
საქაერონავიგაცია	-	9,870
სს ქართუ ჯგუფი	-	8,000
შპს ალგანი	-	7,000
ქთბილისის მერია	-	4,000
სხვა შემოსავლები	515,460	593,090
სულ	**3,120,111**	**3,458,472**

შენიშვნა 5 მედიაწიგნიერების ხარჯები

მედიაწიგნიერების ხარჯები მოიცავს როგორც უშუალოდ კომისიის მიერ გაწეულ ხარჯებს, ასევე მედიააკადემიის მიერ გაწეულ ხარჯებს, რომელიც დაფინანსებულია იმავე კომისიის მიერ.

	2020 წელი	2019 წელი
სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	261,216	298,471
ააიპ მედიააკადემია	1,717,837	2,117,337
სულ	**1,979,053**	**2,415,808**

შენიშვნა 6 არასაოპერაციო შემოსავალი / (ზარალი)

	2020 წელი	2019 წელი
საკურსო სხვაობიდან შემოსავალი/(ზარალი)	(9,076)	6,383
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,461	6,475
სულ	**(4,615)**	**12,858**

შენიშვნა 7 საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს თიბისი ბანკში გახსნილ მიმდინარე ანაგარიშზე დარიცხულ სარგებელს.

შენიშვნა 8 საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები

„ტელევიზიების რეიტინგების სტატისტიკურ მონაცემებზე წვდომის ხარჯი“ 2019 წელს კომისიის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული და შესაბამისად სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაშიც ჩართული იყო „საერთო ხარჯების“ მუხლში, ხოლო 2020 წელს კომისიის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა ბიუჯეტის „საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯების“ მუხლში და შესაბამისად სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაშიც ასახული იქნა ამავე მუხლში.

შენიშვნა 9 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსი („COVID 19") გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი 2020 წლის 22 მარტიდან - 2020 წლის 22 მაისამდე. 2020 წლის 28 ნოემბრიდან რამდენიმე შეზღუდვა განახლდა და გრძელდება 2021 წლის განმავლობაშიც. კომისიის მენეჯმენტის შეფასებით, COVID-19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია ორგანიზაციის უნარზე, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

*****

www.comcom.ge

კომუნიკაციების
კომისია